



Əmir Əliyev

1923-1982-ci illərdə Azərbaycanın
əməkdar şəhər başçısı, 1970-1982-ci illərdə
Azerbaycan SSR Prezidenti

Çap üçün deyil

რამინ მაჟარულზადე, ისმაილ სადიგოვი, ნაიდა ისაევა

ინფორმატიკა 9

სახელმძღვანელო

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასის
მოსწავლეთათვის

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის
განათლების სამინისტროს მიერ
(ბრძანება №369, 03.06. 2016)

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო – 2017.

საავტორო უფლებები დაცულია. ამ გამოცემის ან მისი რომელიმე ნაწილის
გადაბეჭდვა, კოპირება და ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით გავრცელება
სპეციალური ნებართვის გარეშე კანონსაწინააღმდევობა.

გამომცემლიბა „Yaz“

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები
გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
yazneshr@mail.ru და derslik@edu.gov.az.
წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

ინფორმაცია

შინაარსი

1. კოდირება

1. რასტრული გრაფიკა.....	8
2. ვექტორული გრაფიკა	12
3. ვექტორულ რედაქტორში მუშაობა	16
4. გრაფიკული ინფორმაციის კოდირება	19
5. ხმოვანი ინფორმაციის კოდირება.....	22
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	26

2. კოდირები

6. კომპიუტერის ძირითადი მახასიათებლები	28
7. მართვის პანელი	32
8. დამხმარე პროგრამები. დეფრაგმენტაცია	35
9. დამხმარე პროგრამები. დისკის გაწმენდა	38
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები.....	42

3. გამოყენებითი პროგრამები

10. რთულ ღიუმენტებზე მუშაობა	44
11. მულტიმედიური პრეზენტაციები	48
12. ელექტრონულ ცხრილებზე მუშაობა.....	52
13. დიაგრამები ელექტრონულ ცხრილებში	56
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	60

4. დაპროგრამება


14. რიცხვებზე მუშაობა.....	62
15. სტრიქონები.....	66
16. სიები.....	71
17. ფუნქცია	77
18. დაპროგრამების ენების კლასიფიკაცია	81
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	84


5. ინფორმაციული ტექნოლოგიათი

19. ინფორმაციული მოდელი გრაფებში	86
20. გრაფებთან დაკავშირებული ამოცანები	91
21. კომპიუტერული ქსელები.....	96
22. ინფორმაციის გადაცემა.....	100
23. ვებსაიტების შექმნა	104
24. საინფორმაციო საზოგადოებისადმი მიძღვნილი საიტის შედგენა ...	108
25. დამისამართება ინტერნეტში	113
შემაჯამებელი კითხვები და დავალებები	116
ცნობილი ალგორითმები	117
ტერმინების ლექსიკონი	124

გავიცნოთ სახელმძღვანელოს

1. **მოტივაცია.** სხვადასხვა სიტუაციისა და მოვლენის აღწერა, რომელიც შეკითხვების დასმით სრულდება.
 2. **საქმიანობა.** კვლევითი ხასიათის დავალებები, რომელთა მიზანია საინტერესო მოვლენებისა და პროცესების შესწავლა, მათ შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოვლენა. შესრულებულ სამუშაოზე სამსჯელოდ და შესაძლო შეცდომების გამოსავლენად დასმულია შეკითხვები.
 3. **დაიმახსოვრე.** ჩამოთვლილია ყველა ძირითადი ცნება, რომელიც კონკრეტული თემის ფარგლებში ისწავლება.
 4. **განმარტებები.** გაკვეთილის ძირითადი შემადგენელი ნაწილი: ახალი ცნებები, განმარტებები, განსაზღვრებები და წესები.
 5. **ეს საინტერესოა.** მაგალითების ნიმუშები და საინტერესო ინფორმაცია შეძენილი ცოდნის გასაღრმავებლად.
 6. **შევისწავლოთ დამოუკიდებლად.** დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისა და შეძენილი ცოდნის გამოყენებისათვის.
 7. **შეამოწმე შენი ცოდნა.** თემის ფარგლებში შესწავლილი მასალის განსამტკიცებლად და სწავლის სუსტი მხარების გამოსავლენად გამიზნული კითხვები და დავალებები.
 8. **შემაჯამებელი კითხვები და დავალებები.** შემაჯამებელი ხასიათის კითხვები და დავალებები ცალკეული თემების მიხედვით.





1

კოდირება

1. რასტრული გრაფიკა
2. ვექტორული გრაფიკა
3. ვექტორულ რედაქტორში მუშაობა
4. გრაფიკული ინფორმაციის კოდირება
5. ხმოვანი ინფორმაციის კოდირება

1

რასტრული გრაფიკა



- რომელ გრაფიკულ რედაქტორებს იცნობთ?
- თქვენი აზრით, რა უპირატესობა და ნაკლი აქვს გრაფიკულ რედაქტორ Paint-ს?

საქმიანობა

1

- გახსენით ნებისმიერი გრაფიკული ფაილი გრაფიკულ რედაქტორ Paint-ში;
- აირჩიეთ ინსტრუმენტი Magnifier (მასშტაბი). მაჩვენებელი ამ ინსტრუმენტის სახეს მიიღებს;
- გადაადგილოთ მაჩვენებელი სამუშაო ველში და დააწერეთ თაგვის მარცხენა ღილაკზე. ნახატის ზომები 2-ჯერ გადიდდება (ნახატის შესამცირებლად თაგვის მარჯვენა ღილაკით უნდა ისარგებლოთ);
- რამდენჯერმე გაიმეორეთ ეს ქმედება.




ვიმსჯელოთ:

– რა შეიძლება ითქვას გამოსახულების შესახებ მის გადიდებაზე დაკვირვების შემდეგ?

თქვენ უკვე იცით, რომ კომპიუტერის ეკრანზე გამოსახულება პატარპატარა წერტილების – პიქსელების – ერთობლიობისგან შედგება. იმ წერტილების მართვულთხა ბადეს, რომლებიც გამოსახულებას ქმნის,

რასტრი ეწოდება (ტერმინი „რასტრი“ მომდინარეობს ლათინური „rastrum“-იდან, რომელიც ფოცხს ნიშნავს). გამოთვლითი ტექნიკის დახმარებით შექმნილ და კომპიუტერის მეხსიერებაში ეკრანის პიქსელების შესაბამისი ბიტების ნაკრების სახით შენახულ გამოსახულებას **რასტრულ გრაფიკას** უწოდებენ.



წერტილების ერთობლიობა ეკრანზე გამოსახულებას ქმნის, მაგრამ თუ რასტრულ გამოსახულებას ძალიან გავადიდებთ, ის პატარ-პატარა უჯრებისგან შედგენილ მოზაიკას (ბადეს) დაემსგავსება. რასტრის ყოველი წერტილი ორი პარამეტრით ხასიათდება: ეკრანზე მდებარეობითა და ფერით (თუ მონიტორი ფერადია) ან სიკაშვაშის ხარისხით (თუ მონიტორი შავ-თეთრია).

რასტრული გამოსახულებების შესაქმნელად და მათზე სამუშაოდ ბევრი სხვადასხვა პროგრამა არსებობს. ოპერაციული სისტემა Windows-ის პროგრამა **Microsoft Paint**-ს თქვენ ქვედა კლასებიდანვე იცნობთ. ორგანზომილებიანი ნახატების შესაქმნელად უფრო ფართო შესაძლებლობების მქონე პროგრამების, მაგალითად, **PaintNET**-ის, **Corel Painter**-ის, **Adobe PhotoShop**-ის ან **Corel PHOTO-PAINT**-ის გამოყენება შეიძლება. რასტრულ გამოსახულებებზე სამუშაოდ თავისუფლად გავრცელებადი (უფასო) პროგრამებიც არსებობს. მათ შორისაა **PaintNET**, **GIMP**, **TuxPaint**, **StarOffice Image**.



PaintNET



Adobe PhotoShop



GIMP



TuxPaint

მიუხედავად იმისა, რომ რასტრული გამოსახულება პიქსელების ნაკრებისგან შედგება, ჩვეულებრივ, ცალკეულ პიქსელებზე კი არა, მთელ ფრაგმენტზე მუშაობენ. ამისათვის გრაფიკულ ოედაქტორში სხვადასხვა ინსტრუმენტი – სწორი ხაზი, მართკუთხედი, ოვალი, მრავალკუთხედი, მომრგვალებული მრავალკუთხედი, ფუნჯი, საშლელი, ფერის ჩამსხმელი და სხვ. – არის გათვალისწინებული. მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება აუცილებელი გამოსახულების ცალკეულ პიქსელზე მუშაობა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ შექმნილი გამოსახულების გარკვეულ ნაწილში რაღაც სიმბოლოს (ვთქვათ, (Y)-ს) მოთავსება გვხირდება.

სამახსოვრო

პიქსელი
რასტრი
რასტრული გრაფიკა
ფორმატი **BMP**


თუ ამ ამოცანის შესრულებას იმ ინსტრუმენტების დახმარებით შევეცდებით, რომლებითაც რედაქტორ Paint-ში აქამდე ვმუშაობდით, ეს არც ისე იოლი აღმოჩნდება. იმ მეთოდით კი, რომელსაც ახლა შეისწავლით, ამის გაკეთება ძალიან ადვილად შეიძლება.

გამოსახულების ცალკეული პიქსელის რედაქტირების (მისი ფერის შეცვლის) მიზნით ინსტრუმენტ „ფანჯრით“ (Pencil) სარგებლობენ. ამ დროს მოსახერხებელია რეუიმ „ბადის“ გამოყენება. ამ რეუიმზე პროგრამა Paint-ის მენიუს ბრძანება View⇒Gridlines-ის (პროგრამა PaintNET-ში – View⇒Pixel Grid -ის) დახმარებით გადადიან.

საეგიანობა

2

1. გახსენით გრაფიკული რედაქტორი PaintNET;
2. ინსტრუმენტ -ის (Magnifier – მასშტაბი) გამოყენებით რამდენჯერმე გაადიდეთ სამუშაო ველი;
3. მენიუში აირჩიეთ ბრძანება View⇒Pixel Grid. სამუშაო ველზე გამოჩნდება „ბადე“;
4. აიღეთ ინსტრუმენტი (Pensil – ფანჯარი) და დახატეთ შემდეგი სიმბოლო:



5. ინსტრუმენტ Magnifier-ის დახმარებით დაუბრუნეთ სამუშაო ველს საწყისი ზომები.

ოპერაციულ სისტემა Windows-ში რასტრული გამოსახულებების შენახვის ძირითადი ფორმატია Windows Bitmap. ამ ფორმატის ფაილების გაფართოებაა **BMP**. რასტრული გამოსახულებებისათვის ასევე გამოიყენება (განსაკუთრებით, ინტერნეტში) ფორმატები GIF და JPEG. ბოლო ხანებში ფართო გამოყენება პოვა PNG ფორმატმაც. დასახელებულ პროგრამებში ფაილის ზომების შესამჩნევად შემცირების შემთხვევაში გამოსახულების ხარისხი, პრაქტიკულად, არ უარესდება. მაღალაბრისხოვანი რასტრული გამოსახულების შესანარჩუნებლად ფორმატ TIFF-ს იყენებენ.

რასტრული გრაფიკა საკმაოდ რთული და ზუსტი ნახატების შექმნის საშუალებას იძლევა. ესაა რასტრული გამოსახულებების ძირითადი უპირატესობა. თუმცა რასტრულ გრაფიკას გარკვეული **ნაკლიც** აქვს. ეს ნაკლი მაშინ ვლინდება, როდესაც ნახატს განსაკუთრებით მაღალი სიზუსტე და მკაფიო ხაზები მოეთხოვება. ჯერ ერთი, მაღალი

გარჩევადობის რასტრულ გამოსახულებებს ძალიან დიდი მოცულობა აქვს; მეორეც – სირთულეები თავს იჩენს რასტრული გამოსახულებების გადიდების ან შემცირების დროს. მასშტაბის გადიდებისას რასტრის ელემენტები მოჩანს, რის შედეგადაც გამოსახულება მახინჯდება.


შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გრაფიკულ რედაქტორ Paint-ში გახსენით BMP-ს ფორმატის ნებისმიერი ფერადი ნახატი. შეინახეთ ეს ნახატი JPEG ფორმატში. დახურეთ პროგრამა Paint და ფურცელზე აღნიშნეთ თითოეული ფაილის პარამეტრები (დისკზე დაკავებული მოცულობა). შემდეგ ხელახლა გახსენით ეს ფაილები და მათი შეცვლის (მაგალითად, როგორიმე ნაწილის წაშლის) მერე ახალი სახელით შეინახეთ. მიაქციეთ ყურადღება, როგორ შეიცვლება ამ ფორმატთაგან თითოეულის მოცულობა. გამოარკვიეთ, რატომ დარჩა იგივე ფაილის მოცულობა BMP ფორმატში, ხოლო JPEG-ში – შეიცვალა.

შეამონეთ შენი ცოდნა



1. რა არის რასტრი?
2. რასტრული გამოსახულების მისაღებ რომელ მოწყობილობებს იცნობთ?
3. რა უპირატესობა და ნაკლი აქვს რასტრულ გრაფიკას?
4. დახატეთ მოცემული ნახატი პროგრამა PaintNET-ში.



2 ვეპტორული გრაფიკი




- ფუნქციების წარმოდგენის რომელ ფორმებს იცნობთ მათემატიკაში?

საქმიანობა


1

განსაზღვრეთ წარმოდგენილი გრაფიკებისა და ფორმულების ურთიერთშესაბამისობა.


$$y = \sin x$$




$$y = x^2$$



$$y = kx$$



$$y = x^3$$



ვიმსჯელოთ:

- რომელი უფრო მეტ ადგილს იკავებს კომპიუტერის მეხსიერებაში: ფორმულა თუ მისი შესაბამისი გრაფიკი?

კომპიუტერში გრაფიკული ინფორმაციის წარმოსადგენად ორი მიღება მით სარგებლობენ. პირველი მათგანის – რასტრული გრაფიკის – თავისებურებებს, მის უპირატესობებსა და ნაკლს, ნინა გაკვეთილზე გაეცანით. რასტრული გრაფიკის ნაკლთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშებისას მეორე მიღება – **ვექტორულ გრაფიკას** მიმართავენ. ვექტორული გრაფიკის უპირატესობები ისეთ ნახატებზე, ნახაზებსა და სქემებზე მუშაობისას ვლინდება, რომლებსაც მკაფიო და გამოკვეთილი კონტურების შენარჩუნება ესაჭიროება.

ვექტორულ გრაფიკაში ობიექტი ცალკეული წერტილების (პიქსელების) კი არა, ხაზების ნაკრების მეშვეობით იქმნება. ხაზის ფორმის არჩევა მათემატიკური კანონზომიერებას ემორჩილება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკრანზე ან ამონაბჭყლში ხაზის ადგილის, სიგრძისა და მიმართულების განსასაზღვრავად მათემატიკური ფორმულებით სარგებლობენ. მაგალითად, როგორც იცით, სწორი ხაზის დასახაზავად ორი პარამეტრია საკმარისი. სწორი ხაზის განტოლება $y = kx + b$ ფორმულით გამოისახება. თუ k და b პარამეტრები ცნობილია, კოორდინატთა სიბრტყეზე სწორი ხაზის დასახვა შეიძლება, ანუ ამ დროს არ არის საჭირო სწორის ხაზის თითოეული წერტილის კოორდინატებისა და ფერის მითითება. შედეგად, გრაფიკული გამოსახულების ზომა მცირდება. ამასთან, გამოსახულების გადიდებით ან შემცირებით მისი ხარისხი არ უარესდება.

რასტრული და ვექტორული გამოსახულებების შედარება



თუმცა ვექტორულ გამოსახულებაში ადვილი არ არის ფერთა ერთი გამიღან მეორეზე თანდათანობითი გადასვლა, სასურველი კონტურებისა და საზღვრების გავლება. ეს თვისებები ფოტოსურათსა და ნახატს ახასიათებს. ამიტომ ვექტორულ გრაფიკას, როგორც წესი, სქემებისა და ნახაზების შესაქმნელად იყენებენ.

ვექტორულ გამოსახულებებზე სამუშაოდ ბევრი პროგრამაა შემუშავებული. მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებლია **CorelDRAW**, **Adobe Illustrator**, **Micromedia Freehand**. ინტერნეტში ანიმაციების შესაქმნელად გათვალისწინებული პროგრამა **Micromedia Flash** ასევე ვექტორული გრაფიკის პრინციპებს ეფუძნება. ყველა ჩამოთვლილი პროგრამა კომერციული პროდუქტია, მაგრამ თავისუფლად გავრცელებადი (უფასო) **Micromedia**-ც არსებობს. მათ მიეკუთვნება **Inkscape**, **OpenOffice.org Draw**, **Skencil**.



Adobe Freehand



Adobe Flash



Inkscape

ყველა ვექტორულ რედაქტორს ხატვისა დაახლოებით ერთნაირი ინსტრუმენტები აქვს. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანია **მონიშვნის ინსტრუმენტი**. პროგრამა **OpenOffice.org Draw** სწორი ხაზების, სხვადასხვა სახის მრუდების, მართეულებების, წრეხაზებისა და სხვა ფიგურების დახატვის საშუალებას იძლევა.

და რედაქტირებისათვის

ძალასთვრები



ვექტორული გრაფიკა ფორმულა მონიშვნის ინსტრუმენტი ფორმატი **ODG**

სამგანზომილებიანი გრაფიკის ინსტრუმენტები პარალელების, კონუსის, ცილინდრისა და სხვა გეომეტრიული სტრუქტურების დასახატავადაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, ამ პროგრამის დახმარებით ვებგვერდების მართვის სხვადასხვა ელემენტის (ლილაკების, ტექსტური ველების, რადიოლაპებისა და ა.შ.) შექმნა შეიძლება. შექმნილ გამოსახულებებს ინახავენ ან თავად პროგრამის ფორმატის – **ODG**-ს სახით, ან სხვა ცნობილ ფორმატებად – **BMP**-ედ, **GIF**-ად, **JPEG**-ედ, **PNG**-ედ, **TIFF**-ად და **WMF**-ად – გარდაქმნის საშუალებით.

სამგანზომილების გრაფიკის ინსტრუმენტები

2

- ჩართეთ პროგრამა OpenOffice.org Draw. გაიხსნება პროგრამის ძირითადი ფანჯარა;
- სახატავი ველის ზომებისა და მისი ორიენტაციის განსასაზღვრავად გადაადგილეთ მაჩვენებელი სახატავ ველში, შექმდეგ კი დააწერ თავგვის მარჯვენა ღილაკზე. გახსნილ კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ პუნქტი **Page⇒PageSetup**. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
- ფორმატის განყოფილება **Paper**-ში დაადგინეთ ფურცლის ფორმატი, მისი ორიენტაცია (**Landscape**), გვერდის მინდვრები;
- დასახატავი ფიგურების უფრო ზუსტი გამოსახულების მისაღებად შექმნით ბადე და გამოაჩინეთ იგი. ამისათვის სახატავ ველში ხელახლა გახსენით მენიუ და პუნქტ **Grid**-ში გააქტიურეთ ბადის პარამეტრების მაჩვენებლები;
- დააწერ ფიგურების ფორმატული ფანჯრის ქვედა ნაწილში მდებარე ელიფსის (Ellipse) ღილაკზე და დახატეთ შესაბამისი ფიგურა. დააწერ ფიგურების ტექსტის ასაკრეფ ღილაკ **Text**-ზე და ელიფსში ჩაწერეთ სიტყვა **დასაწყისის**;
- იმავე თანამიმდევრობით დახატეთ მართკუთხედისა (Rectangle) და კვლავ ელიფსს (Ellipse) ფიგურები, ჩაწერეთ მათში, შესაბამისად, სიტყვები **პრდანებათა თანამიმდევრობა** და **დასასრული**;
- დააწერ ლინეატის **Line Ends with Arrow**-ზე და ისრეპით შეაქრთეთ დახატული ფიგურები. შედეგად მიიღება ხაზოვანი ალგორითმის ზოგადი ბლოკ-სქემა;
- ცალკეული მოიქატებისაგან შედგენილი ბლოკ-სქემის გადასაადგილებლად და დასაკონტრებლად აუცილებელია მისი დაჯგუფება. ამისათვის თქვენთვის ცნობილი ერთ-ერთი მეთოდით მონიშნეთ ყველა რიცხვი. შექმდეგ თავგვის მაჩვენებელი მონიშნულ ობიექტებზე დააყენეთ და მის მარჯვენა ღილაკზე დააწერ ფიგურების მენიუში აირჩიეთ



- ბრძანება Group. ყველა მონიშნული ობიექტი ერთ ჯგუფად გაერთიანდება;
9. შექმნილი ვექტორული გამოსახულების შესანახად აირჩიეთ მენიუს ბრძანება File⇒Save As. გახსნილ შესაბამის დიალოგურ ფანჯარაში მიუთითეთ ფაილის ტიპი *ODF Drawing* და მიანიჭეთ ფაილს სახელი **alqoritm.odg**;
10. აირჩიეთ მენიუს ბრძანება File⇒Export. გახსნილ შესაბამის დიალოგურ ფანჯარაში მიუთითეთ ფორმატი JPEG. ბლოკ-სქემა რასტრული გამოსახულების სახით შეინახება;
11. დახურეთ პროგრამა OpenOffice.org Draw.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გადადით იმ საქაღალდეში, რომელშიც ბლოკ „საქმიანობაში“ შექმნილი ფაილები, alqoritm.odg და alqoritm.jpg, გაქვთ შენახული. ჯერ შეადარეთ, რა ადგილი უკავია ამ ფაილებს დისკზე. შემდეგ ისინი რიგრიგობით გახსნით OpenOffice.org Draw-სა და Paint-ში. რამდენჯერმე გაადიდეთ გამოსახულება და შეადარეთ მათი ხარისხი (კონტურების სიზუსტე). ემთხვევა თუ არა ხილული შედეგი იმას, რაც ისწავლეთ?

შეამონეთ შეინახულება?



1. რა არის ვექტორული გრაფიკა?
2. რისგან იქმნება ვექტორული გამოსახულება?
3. რა უპირატესობა და ნაკლი აქვს ვექტორულ გრაფიკას?
4. დახატეთ ალგორითმული კონსტრუქციების, „სრული განშტოებისა“ და „არასრული განშტოების“, ბლოკ-სქემები.
5. დახატეთ კომპიუტერის მოწყობილობის სტრუქტურული სქემა.

3

ვექტორულ რედაქტორის გუგაობა





- რა არის გრაფიკული პრიმიტივი?
- რომელი გრაფიკული პრიმიტივებით სარგებლობდით პროგრამა Google SketchUp-ში?

საქმიანობა

1

1. დახატეთ მოცემული ნახატი გრაფიკულ რედაქტორ Paint-ში;
2. შეეცადეთ, შეუცვალოთ ფიგურებს ურთიერთმდებარეობა;
3. გახსენით ვექტორული რედაქტორი OpenOffice.org Draw;
4. პანელ Drawing-ზე (ხატვა) დააწერუნეთ ღილაკ Basic Shapes-ზე (პანელი Drawing, ჩვეულებრივ, პროგრამის მთავარი ფანჯრის ქვედა ნაწილში მოთავსებული). თუ ის ეკრანზე არ ჩანს, მაშინ საჭიროა მისი გააქტიურება მენიუს ბრძანება View⇒Toolbars-ის დახმარებით);
5. გახსნილ ფანჯარაში ჯერ კვადრატის, მერე სამკუთხედისა და, ბოლოს, წრეხაზის არჩევით მივიღებთ ზემოთ მოცემულ ნახატს;
6. მონიშნეთ ობიექტი „კვადრატი“, შემდეგ კი მენიუ Modify⇒Arrange⇒Bring to Front-ში აირჩიეთ პუნქტი (). მონიშნული კვადრატი წინა პლანზე გადმოინაცვლებს.



ვიმსჯელოთ:

– რატომ არის შეუძლებელი რასტრულ რედაქტორში იმ მოქმედების შესრულება, რომელიც ადვილად სრულდება ვექტორულ რედაქტორში?

ვექტორულ რედაქტორში მოქმედების შესრულებას ის თავისებურება ახასიათებს, რომ გეომეტრიული ფიგურები (ობიექტები) დახატვის შემდეგაც დამოუკიდებელი რჩება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ობიექტებზე, რომლებიც ვექტორულ გამოსახულებას ქმნის, მერეც შეიძლება მოქმედების ჩატარება. რასტრულ გამოსახულებებში ასე არ არის: გეომეტრიული ფიგურები (ობიექტები) „თავისუფალი“ მხოლოდ ხატვის მომენტშია. შემდეგ ისინი ფერადი წერტილების გროვად იქცევა.

დაინასოვანი

უნა
დაჯგუფება
დაცალენება

ვექტორულ გრაფიკაში დახატული ყოველი გრაფიკული პრიმიტივი ცალკე შრეზე მდებარეობს. ანუ ვექტორული გამოსახულება შედგება შრეებისგან, რომელთა რაოდენობა მისი შემადგენელი ობიექტების რაოდენობის ტოლია. ვექტორულ გამოსახულებაში ობიექტები ვიზუ-

ალურად თითქოს ერთმანეთზეა გადაფარებული, მაგრამ სინამდვილეში ისინი აპსოლუტურად დამოუკიდებელია.



ვექტორულ რედაქტორში დახატული ფიგურების დაჯგუფებით მთელი ობიექტის შექმნა შეიძლება. მოქმედება **დაჯგუფებას** თქვენ წინა გაკვე-თილზე გაეცანით. ჯგუფის მიმართ განხორციელებული მოქმედება მის შემადგენელ ყველა ობიექტს ეხება. მაგრამ ზოგჯერ აუცილებელი ხდება გარკვეული ცვლილების შეტანა ჯგუფში შემავალ ერთ რომელიმე ობი-ექტში. ამისათვის დაჯგუფების საპირისპირო ბრძანება **განცალკევებას** (Ungroup) მიმართავეთ.

თქვენ უკვე იმუშავეთ მარტივი სამგანზომილებიანი ფიგურების შექმნაზე პროგრამა Google SketchUp-ში. პროგრამა OpenOffice.org Draw-საც გააჩნია სამგანზომილებიან გრაფიკაზე მუშაობის ფართო შესაძლებლობები.


სამიანობა

2

1. გახსენით პროგრამა OpenOffice.org Draw;
2. აირჩიეთ მენიუს ბრძანება File⇒New⇒Drawing.
გაიხსნება სუფთა სახატავი ველი;
3. გააქტიურეთ ინსტრუმენტების პანელი 3D Objects. ამისათვის აირჩიეთ მენიუს ბრძანება View⇒Toolbars⇒3D-Objects;
4. თანამიმდევრობით დახატეთ კუბი (Cube), სფერო (Sphere), ცილინდრი (Cylinder), კონუსი (Cone), პირამიდა (Pyramid), რგოლი (Torus);
5. სახატავ ველში მონიშნეთ სფერო და დააწაპუნეთ მასზე თაგვის მარჯვენა ღილაკით. გახსნილ კონტრესტურ მენიუში აირჩიეთ პუნქტი 3D Effects. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
6. დააწვაპუნეთ ფანჯრის ზედა ნაწილში მდებარე ღილაკ Illumination-ზე (განათება). აირჩიეთ პარამეტრები Light source (სინათლის წყარო) და Ambient light (გარსშემოდენილი სინათლე). თაგვის ან გვერდის მოძრაობის პანელების დახმარებით შეცვალეთ სინათლის წყაროს მდებარეობა და დააკვირდით, როგორ იცვლება სამგანზომილებიანი ფიგურის განათება. ობიექტისთვის არჩეული თვისებების მისანიჭებლად დააწვაპუნეთ ღილაკ Assign-ზე (მინიჭება);




7. რედაქტორის ამ შესაძლებლობების გამოყენებით, შექმნით მზის სისტემის სამგანზომილებიანი მოდელი;



8. დაარქვით ფაილს შესაბამისი სახელი და შეინახეთ იგი თქვენს საქალალდეში.

შევისწავლოთ ამოუკიდებლად


1. გაარკვიეთ პროგრამა OpenOffice.org Draw-ის პანელ Drawing-ის ღილაკების დანიშნულება.
2. გამოიყენეთ მენიუ Arrange-ის სხვა პუნქტები და დააკვირდით, როგორ შეიცვლება ამ დროს მონიშნული ობიექტის მდებარეობა სხვა ობიექტების მიმართ.




შეამონეთ შენი ცოდნა



1. რასტრული და გრაფიკული გამოსახულებების განმასხვავებელ რომელ თავისებურებებს გაეცანით?
2. რა უპირატესობა აქვს გრაფიკული რედაქტორის შრეებზე მუშაობას?
3. რატომ არ არის გრაფიკულ რედაქტორ Paint-ში დაჯგუფების პრინციპი?
4. შექმნით ქვემოთ მოცემული ფიგურები ვექტორულ რედაქტორში.



5. დახატეთ ვექტორულ რედაქტორში ქიმიური ნივთიერების მოლეკულის მოდელი. შეეცადეთ, გამოიცნოთ ამ ნივთიერების სახელწოდება.




4 გრაფიკული ინფორმაციის კოდირება

- ინფორმაციის რა სახეებს იცნობთ?
- როგორ ხდება ტექსტური ინფორმაციის კოდირება კომპიუტერში?


საჭიროება

1. უჯრებიან ფურცელზე დახაზეთ მართვულთხედი ჰორიზონტალური და ვერტიკალური უჯრების შესაბამისი რაოდენობით;

0110
1001
1001
0110



00111100
01111110
11100111
11000011
11000011
11100111
01111110
00111100



2. მოძებნეთ უჯრები, რომელიც შეესაბამება „1“-ს და გააფერადეთ ისინი;
3. შეადარეთ მიღებული გამოსახულებები ერთმანეთს.

კოდიზურება:

- რომელი ცხრილის გამოსახულებაა უფრო მკაფიო? რა უნდა გავაკეთოთ, რომ მეორე გამოსახულება უფრო ხარისხიანი გამოვიდეს?
- შეგვიძლია, თუ არა, ეს ნულებიანი და ერთიანებიანი ცხრილები მიღებული გამოსახულებების კოდებად ჩავთვალოთ?

წარმოდგენის ფორმისგან (რასტრულია თუ ვექტორული) დამოუკიდებლად, გრაფიკული ინფორმაცია კომპიუტერის ეკრანზე რასტრის ფორმატით კოდირდება. ამასთან, ყოველი გამოსახულება ფერადი ნერტილების – პიქსელებისგან ფორმირებული მართვულთხე ცხრილისგან შედგება. თითოეული ნერტილის ფერი და სიკაშკაშე რიცხვით გამოისახება, რაც გრაფიკული ინფორმაციის წარმოსადგენად ორობითი კოდის გამოყენების საშუალებას იძლევა.

ბიტების რაოდენობას, რომელიც გამოსახულების ერთი პიქსელის ფერის კოდირებისათვის გამოიყენება, ფერის სილრმეს უწოდებენ. როგორც თქვენთვის ცნობილია, 1 ბიტით 2 ფერის კოდირება (2^1) შეიძლება, 2 ბიტით – 4 ფერის (2^2), 4 ბიტით – 16 ფერის (2^4), 8 ბიტით – 256 ფერის (2^8). ციფრულ ვიდეოში ფერის სილრმისათვის 15 ბიტია საკმარისი. იმისათვის, რომ ფოტოსურატზე ფერი ბუნებრივი იყოს, სულ ცოტა, 24 ბიტია აუცილებელი.



1 ბიტი (2 ფერი)



4 ბიტი (16 ფერი)



24 ბიტი (16777216 ფერი)

გრაფიკული გამოსახულების მოცულობის დასადგენად საჭიროა, ვიცოდეთ პიქსელების რაოდენობა სიგანესა და სიმაღლეზე (შესაბამისად, a და b), ასევე ფერის სიღრმე (n). მაშინ გრაფიკული გამოსახულების მოცულობა (V) შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$V = a \cdot b \cdot n$$

გაგალითი

რასტრულ გამოსახულებაში, რომლის ზომა 256×256 პიქსელია, 512 ფერია გამოყენებული. რა ადგილს დაიკავებს ეს გამოსახულება კომპიუტერის მეხსიერებაში?

ამონსნა: ჯერ ვიპოვოთ გამოსახულების შემადგენელი პიქსელების საერთო რაოდენობა. რიცხვ 2 -ის ხარისხების გამოყენებით, შეგვიძლია, გავამარტივოთ გამოთვლები.

$$a \cdot b = 256 \cdot 256 = 2^8 \cdot 2^8 = 2^{16}.$$

ვინაიდან პალიტრა 512 ფერს შეიცავს, წარმოვადგინოთ ეს რიცხვი 2 -ის ხარისხების სახით და ვიპოვით ფერის სიღრმეს:

$$512 = 2^n \Leftrightarrow 2^9 = 2^n \Leftrightarrow n = 9.$$

მაშისადამე, ფერის კოდირებისათვის გამოიყენებულია 9 ბიტი. ამგვარად, რასტრული გამოსახულების მიერ დაკავებული მეხსიერების მოცულობა იქნება

$$V = 2^{16}. 9 \text{ ბიტი} = 2^3. 9 \text{ ბაიტი} = 72 \text{ კბაიტი}$$


დაგენერაცია

ფერის სილრმე
ფერის შემავსებელი
კოდირება PGB
კოდირება CMYK

მონიტორის ეკრანზე ნებისმიერი ფერი **სამი ძირითადი ფერის** – წითლის (Red), მწვანის (Green) და ლურჯის (Blue) – შერევით მიიღება. კოდირების ასეთ სისტემას **RGB** (იკითხება „ერ-ჯი-ბი“) ეწოდება. ამ ფერების გარკვეული თანაფარდობით შერევით

ნებისმიერი სხვა ფერის მიღება შეიძლება, რომლის აღქმაც კი შეუძლია ადამიანის თვალს. სამივე ფერის არარსებობა იძლევა შავ ფერს, ხოლო თეთრი სამივე ფერს ას-ასი პროცენტით შეიცავს.

თუ თითოეული ძირითადი ფერის სიკაშვამის კოდირებისთვის 8 ბიტი (256 -დან) გამოიყენება, მაშინ გამოსახულების ყოველი წერტილის კოდირებას 24 ბიტი დასჭირდება. კოდირების ასეთი სისტემა $16,8$ მილიონი ფერის ცალსახად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ფერადი გამოსახულებების 24 -ბიტიანი ორიბითი რიცხვების დახმარებით კოდირებას **სრულ ფერად კოდირებას** (True Color) უწოდებენ.




ბეჭდვისას მიზანშეწონილია არა ამ სამი ძირითადი ფერის, არამედ შემავსებელი ფერების გამოყენება. შემავსებელი ფერებია: ცისფერი (Cyan), მენამული (Magenta) და ყვითელი (Yellow). ვინაიდან საღებავი ნივთი-

ერებები არასრულყოფილია, ამ ფერების შერევით იდეალური შავი ფერი არ მიიღება. ამიტომ ბეჭდვისას შავი ფერი (Black) ცალკე გამოიყენება. კოდირების ასეთ სისტემას **CMYK** (იკითხება „ცმიკი“) ეწოდება. შავი ფერი, ლურჯისგან განსასხვავებლად, K ასოთი აღინიშნება.

თუ ფერების პალიტრის გადმოცემისას დიდი სიზუსტე არ მოითხოვება, ნაკლები რაოდენობის ბიტებს იყენებენ. მაგალითად, გამოსახულების კოდირებას 16-ბიტიანი ორობითი რიცხვების დახმარებით **High Color**-ს უწოდებენ. ასეთი გამოსახულებების მოცულობა (დისკზე დაკავებული ადგილი) სრულფერებიან (True Color) გამოსახულებასთან შედარებით ცოტათი ნაკლებია (ცხადია, ხარისხიც ნაკლებია).

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გრაფიკულ რედაქტორ Paint-ში გახსენით BMP ფორმატის ნებისმიერი ფერადი გამოსახულება. შეინახეთ ეს ნახატი კოდირების სხვადასხვა სქემის (Monochrome Bitmap, 16 Color Bitmap, 256 Bitmap, 24-bit Bitmap) გამოყენებით. დახურეთ პროგრამა და გადადით იმ საქალალდები, რომელშიც ამ ფაილებს ინახავთ. შეადარეთ შენახული ფაილების ზომები და შეეცადეთ, ახსნათ მათ შორის არსებული განსხვავების მიზეზი.



შეამონეთ შენი ცოდნა

- რომელ ფერებს უწოდებენ ძირითადს?
- განსაზღვრეთ, რა გამოსახულება მიიღება, თუ ციფრ 1-ის შესაბამის უჯრებს გავაფორადებთ?
- რასტრული გამოსახულების, რომლის ზომა 32X32 პიქსელია, შესანახავად გამოყოფილია 512 ბაიტი ადგილი. ფერების რა მაქსიმალურ რაოდენობას შეიძლება შეიცავდეს გამოსახულების პალიტრა?
- 256-ფერიანი გამოსახულების ზომა 1034X640 პიქსელია. განსაზღვრეთ გრაფიკული ფაილის მოცულობა.
- რა მოცულობას დაიკავებს გამოსახულება, რომლის ზომაა 640X480 პიქსელია, 16-ბიტიანი კოდირების შემთხვევაში?

0	0	0	0	0	0	0	0	0	1	1	1	0	0
1	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	1	1
1	1	0	0	0	1	1	0	0	0	0	0	1	1
1	1	1	1	1	1	1	0	0	0	0	0	1	1
1	1	0	1	1	0	1	1	0	0	0	0	1	1
↓	1	1	1	1	1	1	1	0	0	0	0	0	1
1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	0
0	1	1	1	1	1	0	1	1	1	1	1	1	0
0	0	0	1	1	0	0	1	1	0	0	0	1	1
0	0	0	0	0	0	0	1	1	0	0	0	1	1
0	0	0	0	0	0	1	1	1	0	0	1	1	1
0	0	0	0	0	1	1	1	1	0	0	1	1	1
0	0	0	0	0	1	1	1	1	0	0	1	1	1

5

ხმოვაი ინფორმაციის კოდირება



- რას წარმოადგენს ბგერა ფიზიკის თვალსაზრისით?
- კომპიუტერის რომელი მოწყობილობაა განკუთვნილი ხმოვან ინფორმაციაზე სამუშაოდ?

საჭიროება

1

ტექსტურ რედაქტორში შექმნით შემდეგი ცხრილი. ჩანერეთ შესაბამის ადგი-ლებზე ინფორმაცია მოცემული მოწყობილობების შესახებ.


მოწყობილობა	დანიშნულება, მუშაობის პრინციპი
მიკროფონი	
დინამიკები	
ხმის ბარათი	

ვიმსჯელოთ:


— როგორ უკავშირდება ეს მოწყობილობები ერთმანეთს კომპიუტერში?

კომპიუტერი, ისევე როგორც თანამედროვე ელექტრონულ მოწყო-ბილობათა უმრავლესობა (ფოტო და ვიდეოკამერები, მობილური ტელე-ფონები და სხვ.), ციფრული მოწყობილობაა, რადგანაც ინფორმაციის შენახვისა და დამუშავებისას ის რიცხვებზე (ციფრებზე) მუშაობს.

მულტივად ცვლადი ფიზიკური სიდიდეების აღსანიშნავად ხშირად იყენებენ ტერმინ „ანალოგურს“. მაგალითად, ადამიანის სახმო იოგების მიერ ლაპარაკისას წარმოქმნილ ბერით ტალღებს ანალოგური ბუნება აქვს. მიკროფონის შეუძლია ამ ტალღების ცვლად ელექტრულ სიგნალებად გარდაქმნა, რომლებიც ასევე ანალოგური ბუნებისაა.




ვინაიდან კომპიუტერი ციფრული მოწყობილობაა, ანალოგურ მოწყო-ბილობებთან სამუშაოდ მას გარდამექნება სჭირდება. ასეთი გარდამ-ქმნელი კომპიუტერის ხმის ბარათშია ჩადგმული. მიკროფონიდან მიღებულ ელექტრონულ სიგნალებს (ანალოგურ სიგნალებს) ციფრულ სიგნალებად ხმის ბარათზე განთავსებული ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი (analog-to-digital converter, ADC) გადააქცევს.




გარდა ამისა, კომპიუტერის ხმის ბარათი ისეთი მოწყობილობითაც არის აღჭურვილი, რომელიც ციფრულ მონაცემებს ანალოგურ სიგნა-

ლებად (ბგერებად) გარდაქმნის. **ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი (digital-to-analog converter, DAC)** მიღებულ ციფრულ სიგნალებს კვლავ ანალოგურ სიგნალებად გადააქცევს და მათ ყურსაცმებს ან დინამიკებს გადასცემს. ამ მოწყობილობებს, თავის მხრივ, ანალოგური სიგნალები ხმის სახით გამოაქვს „გარეთ“.



ციფრულ-ანალოგური და ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელები სხვა მოწყობილობებსაც აქვთ, მაგალითად, კომპაქტ-დისკების პლეერს (MP3 - პლეერს). მისი ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი დისკიდან ამოკითხულ ციფრულ მონაცემებს ბგერის სახის ანალოგურ სიგნალებად გადააქცევს.



კოდირების ასეთი სისტემა ბგერას გარკვეულად ამახინჯებს, ვინაიდან ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელიდან მიღებული სიგნალი ორიგინალისაგან ცოტათი განსხვავდება. ეს განსხვავება განსაკუთრებით შესაძინევია მაღალხარისხოვანი საორკესტრო მუსიკის ჩაწერისა და მოსმენის დროს.

სხვა მონაცემების მსგავსად, ხმაც (ბგერა) კომპიუტერში ფაილებში ინახება. ძირითადად სამი სახის ხმოვან ფაილებს (აუდიოფაილებს) იყენებენ: **wav-ს**, **mp3-ს** და **midi-ს**.

Wav. ამ ფორმატის ფაილი ხმოვანი ფაილია, რომელიც შეიცავს მუსიკის ფრაგმენტებს ციფრული ფორმით. **Wav** (ინგლ. wave-დან – ტალღა) ფაილებში ინახება საკუთრივ Windows-ისა და თევენ მიერ შექმნილი აუდიოფაილები.

დაიმასოდეთ

ანალოგური სიგნალი
ციფრული სიგნალი
ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი
ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი
ხმის ბაროთი
ფონოგრაფი

MP3. ეს არის ფორმატი, რომელიც გულისხმობს ხმოვანი ფაილების შეკუმშვას მათ მიერ დისკზე დაკავებული მოცულობის შემცირების მიზნით. MP3-ფაილის ყოველი წუთი მეხსიერების დაახლოებით 1 მბაიტს იკავებს. შესაძლებელია wav ფორმატის ფაილების mp3

ფორმატის ფაილებად გარდაქმნა.

MIDI. ამ ფორმატის ფაილები შეიცავს ინფორმაციას ნოტებისა და მათი წარმოქმნელი მუსიკალური ინსტრუმენტების შესახებ. სინთეზატორი ისე უკრავს მელოდიას, როგორც ამას მუსიკოსი ნოტების დახმარებით აკეთებს.

საინტერაცია...

თქვენ უკვე გაიგეთ, როგორ ხდება კომპიუტერში ხმოვანი ინფორმაციის კოდირება. ადამიანები დიდხანს ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ ჩაეწერათ ხმა და გადაეცათ იგი მომავალი თაობებისთვის.

ცნობილია, რომ მერჩევი სხეული ხმას გამოსცემს, მაგალითად, დოლი დარტყმისას რხევას (ვიბრაციას) იწყებს და ამ რხევებს გარემომცველ ჰაერს გადასცემს. ამ დროს წარმოქმნილი ბერებით ტალღები ჰაერში ვრცელდება და ჩვენს ყურძელდე აღნევს.

1876 წელს შეიქმნა **ტელეფონი**. ბერებითი ვიბრაციის აღსაქმელად მასში მებრანა - თხელი ელასტიკური ფირფიტა - არის მოთავსებული. დიდ გამომგონებელ ტომას ედისონს აინტერესებდა, შესაძლებელი იყო თუ არა მებრანის ვებრაციის ჩაწერა. ედისონმა აიღო სახმო მიღი და მებრანას ნემსი შეუერთა. როდესაც რუპორს შიგნიდან რაღაც ეხებოდა, მებრანასთან ერთად ირხეოდა ნემსიც, რომელიც მის ქვეშ მოთავსებულ ქაღალდზე ნაკვალევს ტოვებდა.



პირველი ფონოგრაფი

ამგვარად, ხმის ჩაწერა მოხერხდა, მაგრამ როგორ უნდა გახმოვანებულიყო ეს ჩანაწერი? ედისონს კიდევ ერთი შესანიშნავი იდეა მოუკიდა: ჩვეულებრივი ქაღალდის ფურცლის მაგივრად მან კალის ფოლგა გამოიყენა. როდესაც ნემსით ფოლგას მოხვეულ ცილინდრს ეხებოდნენ, ნემსი მასზე დარებს აჩენდა. ამ დარების სილრმე ნემსის ვებრაციის სიხმირის შესაბამისად იცვლებოდა.

ედისონს კვლავ ახალი იდეა ეწვია: ხომ შეიძლებოდა ამ პროცესის უკულმა შებრუნება!

თუ ნემსის წვერი ხახუნისას ლარის ფსკერს შეეხება, ის, ისევე როგორც ხმის ჩაწერისას, მებრანის რხევას გამოიწვევს! ედისონმა აპარატის ესკიზი დახატა და ლაბორატორიის თანამშრომლებს გადასცა. როგორც კი აპარატი დამზადდა, ედისონმა ის გამოსცადა. მან ცილინდრი დაატრიალა და სახმო მიღმი (რუპორში) ცნობილი საბავშვო ლექსი „მერის ჰყავდა ბეკევა“ წაიკითხა. ნემსმა ცილინდრზე დარები გაკაწრა. შემდეგ ედისონმა ნემსის წვერი ლარის დასაწყისში მოათავსა, ცილინდრი დაატრიალა და გასარებულმა სახმო მიღმი საკუთარი ხმა გაიგონა.

ასე გაჩნდა ქვეყნად პირველი ხმის ჩაწერი მოწყობილობა – **ფონოგრაფი**. მისმა შემდგომმა განვითარებამ გრამფონისა და პატეფონის შექმნა განაპირობა.

ხმის ჩაწერა და ფაილების ერთი ფორმატიდან მეორედ გარდაქმნა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის დახმარებით ხორციელდება.

ინტერნეტში ამ პროგრამების საძიებლად მიმართეთ საიტ www.google.com-ს სიტყვებით: „**sound conversion software**“.

ვიდეოინფორმაციის კოდირებისას საჭირო ხდება როგორც კადრების (გამოსახულების) თანამიმდევრობის, ისე ხმის კოდირება. ამ დროს ფაილის საერთო მოცულობის შესამცირებლად სხვადასხვა მეთოდით სარგებლობენ, მაგალითად, ორ მეზობელ კადრს შორის მხოლოდ განსხვავებას იწერენ.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

ინტერნეტში მოძებნეთ რაიმე ინფორმაცია, მაგალითად, მუჟამად ჰუსაინ ჟაჰრიარის პოემა "Heydərbabaya salam"-ის ფაილი და საკუთარ კომპიუტერში სხვადასხვა ფორმატით (ტექსტი, ხმა, ვიდეო) გადმოქაჩით. შეადარეთ ერთმანეთს ამ ფაილების ზომები. რომელი ფორმატია უდიდესი და რომელი – უმცირესი მოცულობის? შეეცადეთ, ახსნათ ამის მიზეზი.


შეამოხვა შენი ცოდნა

1. რა ფუნქციას ასრულებს მოწყობილობა ADC? DAC?
2. კიდევ რომელი თქვენთვის ცნობილი მოწყობილობის სახელწოდება შეიცავს სიტყვა „ფონს“?
3. როგორ კოდირდება ხმოვანი ინფორმაცია კომპიუტერში?
4. რა ტიპის ხმოვანი ფაილები არსებობს?
5. რა არის ფონოგრაფი და როგორ მუშაობს იგი??

შემაჯამაბალი კითხვები და დავალებები

1. რა განსხვავებაა რასტრული და ვექტორული გამოსახულებების გადმოცემაში?
2. დაასახელეთ ვექტორული გრაფიკის უპირატესობები და ნაკლოვანებები.
3. რომელი ფორმულით გამოითვლება გრაფიკული გამოსახულების მოცულობა?
4. რას გულისხმობს ცნება „ფერის სიღრმე“ გრაფიკულ გამოსახულებაში?
5. დაადგინეთ შესაბამისობა:

ა) რასტრული გრაფიკული რედაქტორი;	1) .bmp;
ბ) ვექტორული გრაფიკული რედაქტორი;	2) .odg;
გ) რასტრული ფორმატი;	3) PaintNET;
დ) ვექტორული ფორმატი.	4) OpenOffice Draw.
6. ბიტების რა მინიმალური რაოდენობა დაგვჭირდება რასტრული გამოსახულების კოდირებისათვის, თუ მისი შექმნისას 1025 სხვადასხვა ფერია გამოყენებული?
7. შავ-თეთრი გამოსახულების ზომა 640X320 პიქსელს შეადგენს. რას უდრის ამ გამოსახულების საინფორმაციო მოცულობა?
8. რომელი ფაილი დაიკავებს კომპიუტერის მესხიერებაში მეტ ადგილს: 2056 სიმბოლოს შემცველი ტექსტი Unicod-ის კოდირებით თუ 10X10 პიქსელის ზომის 4-ფეროვანი რასტრული გამოსახულება?
9. რა დანიშნულება აქვს კომპიუტერის ხმის ბარათს?
10. რა ფორმატის ხმოვანი ფაილები გამოიყენება უფრო ხშირად თანამედროვე მობილურ ტელეფონებში?



2

კომპიუტერი

6. კომპიუტერის ძირითადი
მახასიათებლები
7. მართვის პანელი
8. დამხმარე პროგრამები.
9. დამხმარე პროგრამები.
დისკის გაწმენდა

6

კომპიუტერის ძირითადი მახასიათებლები



- რა სახის პერსონალურ კომპიუტერებს იცნობთ?
- კომპიუტერის რომელ ნაწილს უნდღებენ მის „ტვინს“?

საქმიანობა

1

შეავსეთ ცხრილი იმ კომპიუტერის მონაცემების მიხედვით, რომელზეც მუშაობთ.

პარამეტრი	პარამეტრის მნიშვნელობა
ოპერაციული სისტემა	
პროცესორის სახელწოდება	
პროცესორის სიჩქარე	
ოპერატორიული მეხსიერების მოცულობა	
მონიტორის ეკრანის გარჩევადობა	

ვიმსჯელოთ:

- როგორ ფიქრობთ, ამ მახასიათებლთაგან რომელი განსაზღვრავს ერთი კომპიუტერის უპირატესობას მეორის წინაშე?

თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ კომპიუტერების სიმძლავრე და შესაძლებლობები (გამოთვლების სიჩქარე) წლიდან წლამდე განუხრელად იზრდება. ამ ზრდას, პირველ რიგში, ის მოწყობილობები განაპირობებს, რომელთაგანაც კომპიუტერის სისტემა შედგება. რაც უფრო მაღალია ამ მოწყობილობათა შესაძლებლობები, მით უფრო მაღალი იქნება კომპიუტერის საერთო შესაძლებლობები.

კომპიუტერის ძირითადი მოწყობილობაა **ცენტრალური პროცესორი**, ან, უბრალოდ, **პროცესორი**. პროცესორის მუშაობის სისწრაფე არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც კომპიუტერის სიმძლავრეზე მოქმედებს. პროცესორის სისწრაფედ იმთავითვე ჩაითვალა მის მიერ ერთ ნამში შესრულებულ ოპერაციათა რაოდენობა. ეს იმ მოცემულობას ეფუძნებოდა, რომ კომპიუტერი ერთი და იმავე ტიპის ამოცანებს წყვეტდა, სხვადასხვა იპერაციის შესრულებას კი დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ანდომებდა. თანამედროვე კომპიუტერებში ასე არ არის. პროცესორის ბრძანებათა ნაკრებში შემავალი ბრძანებები, შესასრულებელი მოქმედებების სირთულის თვალსაზრისით, არერთგვაროვანია. ამიტომ პროცესორის მიერ სხვადასხვა ბრძანების შესრულებაზე დახარჯული დროც შესაძლოა, მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს. ამასთან, პროგრამების მუშაობის სისწრაფე მხოლოდ პროცესორით არ განისაზღვრება. ის კომპიუტერის სისტემის სხვა კომპონენტებზეც (მაგალითად, ვიდეოსისტემის სიმძლავრეზე) არის დამოკიდებული. გარდა ამისა, თანამედროვე

კომპიუტერები რამდენიმე ოპერაციას (მათ შორის, ცალკეულ ბრძანებებსაც) ჰარალელურად, ანუ ერთდროულად ასრულებს.

ც საინტე- რესორს...

კომპიუტერის პროცესორი თანამედროვე სიჩქარით კი არა, ადამიანისთვის ჩვეული რიტმით რომ მუშაობდეს, მაშინ:

- სიგნალებს კლავიატურიდან იგი ათ ნელინადში ერთხელ მიღებდა;
- თაგვის მაჩვენებლის ერთი კუთხიდან მეორეში გადაადგილებას ათასწლეულები დასჭირდებოდა.

პროცესორის მიერ ნებისმიერი ბრძანების შესრულება ელემენტარული ოპერაციების შესრულების თანამიმდევრობად შეგვიძლია, წარმოვადგინოთ. ნებისმიერ ელემენტარულ ოპერაციას, რომელიც ცვლის პროცესორის მდგომარეობას, განსაზღვრული დრო – ერთი ტაქტი სჭირდება. ბრძანებათა უმრავლესობა რამდენიმე ტაქტში სრულდება. პროცესორის ტაქტების სიხშირეს (**ტაქტურ სიხშირეს**) სპეციალური გნერატორი აღძრავს.

თუ ორი პროცესორი ერთმანეთისგან მხოლოდ ტაქტური სიხშირით განსხვავდება, მაშინ მათ მიერ მონაცემთა დამუშავების სიჩქარე ტაქტური სიხშირის პირდაპირპროპორციული იქნება. ამიტომ ტაქტური სიხშირე კომპიუტერის სიმძლავრის ძირითად მაჩვენებლად განიხილება.

სიხშირის გასაზომად მიღებულია ფიზიკური სიდიდე 1 ჰერცი (ჰც). ვინაიდან პირველ პერსონალურ კომპიუტერებში ტაქტების რაოდენობა წამში რამდენიმე მილიონს შეადგენდა, ტაქტური სიხშირისთვის დაწესდა სტანდარტული საზომი ერთეული – 1 მეგაჰერცი (1 მჴც). თანამედროვე პერსონალური კომპიუტერების ტაქტური სიხშირე გიგაჰერცებით (გვც) იზომება.

პროცესორის ტაქტური სიხშირე კომპიუტერული სისტემის სიმძლავრის ერთადერთი მაჩვენებელი როდია. ერთხაირი ტაქტური სიხშირის მქონე კომპიუტერებიც შეიძლება სხვადასხვა სიმძლავრით ხასიათდებოდეს. გარდა ამისა, კომპიუტერის შესაძლებლობები მარტო პროცესორზეც არ არის დამოკიდებული. თუ კომპიუტერის სხვა კომპონენტები პროცესორს მონაცემებს მისი შესაბამისი სიჩქარით არ მიაწვდის, პროცესორი მოცდება, რაც, საბოლოო ჯამში, სისტემის საერთო სიმძლავრეს დააქვეითებს.

ცენტრალური პროცესორის ნაწილს, რომელიც გამოთვლებზეა პასუხისმგებელი, ბირთვი ეწოდება. პირველ კომპიუტერებს მხოლოდ ერთი ბირთვის ჰქონდა. თანამედროვე კომპიუტერებში იორი ან მეტი ბირთვია. რამდენიმე ბირთვის არსებობა რამდენიმე ამოცანის (პროგრამის) პარალელურად შესრულების საშუალებას იძლევა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კომპიუტერის სიჩქარეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მეტი ბირთვი აქვს ცენტრალურ პროცესორს, მით მეტია მისი შესაძლებლობები.

კომპიუტერის მუშაობის დროს მის პროცესორსა და ოპერაციულ მეხსიერებას შორის მონაცემთა განუწყვეტელი გაცვლა მიმდინარეობს. ამ გაცვლის სიჩქარე კომპიუტერული სისტემის მწარმოებლურობის ძირითადი მაჩვენებელია. ის, ერთი მხრივ, მეხსიერების მიკროსქემის პარამეტრებზე, ხოლო მეორე მხრივ, კომპიუტერის მთელი სისტემის თავისებურებზეა დამოკიდებული.

დიმახსოვე

ცენტრალური პროცესორი
ტაქტური სიხშირე
ბირთვი
ოპერაციული მეხსიერება
ქაშ-მეხსიერება
მყარი დისკი
ვიდეოადაპტერი

ჩვეულებრივ, სალტის (მონაცემთა გადაცემისათვის გათავალისწინებული ელექტრული გამტარის, რომელიც პროცესორსა და მეხსიერებას ერთმანეთთან აერთებს) სიხშირე პროცესორის სამუშაო სიხშირეზე რამდენჯერმე ნაკლებია. ეს კი მუშაობაში შეფერხებას იწვევს.



ამ შეფერხების აღმოსაფხვრელად პროცესორი სპეციალური კეშ-მეხსიერებითა აღჭურვილი. პროცესორის მიკროსქემაზე მოთავსებული მცირე ზომის ქეშ-მეხსიერება მისი სიხშირით მუშაობს. კი თხევისა და ჩანაცემის დროს მონაცემთა ასლი ოპერაციული მეხსიერებიდან ქეშ-მეხსიერებაში ჩაინერება. როდესაც პროცესორი ხელმეორედ უბრუნდება ამ მონაცემებს, მათ უშუალოდ ქეშ-მეხსიერებიდან იღებს, რომელიც მოცდენა-შეფერხებების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

კომპიუტერის პროცესორისა და ოპერაციული მეხსიერების სიჩქარის მაჩვენებლები არსებით გავლენას ახდენს გამოითვლების შესრულების სისწრავეზე. მაგრამ, როგორც იცით, თანამედროვე კომპიუტერები მარტო გამოთვლებისთვის არ გამოიყენება. ამიტომ კომპიუტერის მწარმოებლურობაზე მისი სხვა მახასიათებლებიც მოქმედებს. ეს მახასიათებლებია:

- ოპერატიული მეხსიერების მოცულობა;
- გარე მეხსიერების მოცულობა;
- ვიდეოსისტემის ხარისხი.

კომპიუტერის მუშაობის სიჩქარის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია **ოპერატიული მეხსიერების მოცულობა** (RAM). თანამედროვე კომპიუტერები მრავალამოცანიან რეჟიმში მუშაობს. ოპერაციული სისტემა ყოველი მომუშავე ამოცანისთვის (პროგრამისთვის) ოპერატიულ მეხსიერებაში ცალკე ადგილს გამოყოფს. თუ ყველა ამოცანისთვის საჭირო ოპერატიული მეხსიერების საერთო მოცულობა არსებული იყო, მეხსიერების მოცულობას გადააჭარბებს, ოპერაციული სისტემა მყარ დისკვიზე დამატებით ადგილს შექმნის. მაგრამ ვინაიდან მყარი დისკისთვის მიმართვის სიჩქარე ბევრად ნაკლებია ოპერატიული მეხსიერებისთვის მიმართვასთან შედარებით, ეს კომპიუტერის მუშაობას ანელებს. კომპიუტერზე ოპერატიული მეხსიერების დამატებითი მოდულების დაყენებით ასეთი მოქმედების აუცილებლობა მცირდება და მთელი სისტემის მუშაობის სიჩქარე იზრდება.

კომპიუტერის ასევე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მყარი დისკის მოცულობა. თუ პროგრამებისა და მონაცემების ხანგოძლივი შენახვის-თვის განკუთვნილი დისკის მოცულობა არასაკმარისია, აუცილებელი ხდება დიდი მოცულობის დისკების გამოყენება.

კომპიუტერზე მუშაობისას მომზარებელს განუწყვეტლივ უხდება მონიტორში ყურება, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია **მონიტორ-ვიდეო-ადაპტერის** წყვილის სწორად შერჩევა. ამ დროს ძირითადი მაჩვენებელია კადრების რაოდენობა წამში. თუ ეს სიდიდე წამში 70 კადრზე ნაკლებია, ადამიანის თვალი (და მისი ტვინი) ეკრანზე გამოსახულების ციმციმს აღიქვამს, რაც ადვილად დალლას იწვევს.

კომპიუტერის პარამეტრების მისათითებლად ზოგიერთ არასტანდარტულ შემოკლებასა და აღნიშვნას იყენებენ. კომპიუტერის ყოველ მყიდველს უნახავს ჩანაწერები, რომლებიც ერთმანეთისგან მძიმით ან “/” სიმბოლოთი გამოყოფი-

ლი ლათინური ანბანის ასოებითა და ციფრებითაა შედგენილი. მაგალითად, ნახატზე მითითებულია ნოუთბუქის შემდეგი პარამეტრები: პროცესორის მოდელი (Intel Core i3-3217U), მისი ტაქტური სიხშირე (1,7GHz – 1,7 გჰც). შემდევ ჩამოთვლილია ოპერატორი მეხსიერების მოცულობა, მისი მოდელი (4GB DDR3L) და მყარი დისკის მოცულობა (500 GB HDD).



HP 250 G3

Intel Core i3-3217U 1,7GHz, 4GB DDR3L, 500GB HDD, DVD+/-RW, Intel HD 4400, 802.11n WLAN, BT, 15.6 HD w/CAM display, Çanta, Dr.Web Antivirus, Mouse, Win 7 Pro

HP 3500 MT PC

Intel Pentium G2030, 500GB HDD 7200 SATA, DVD+/-RW, 2GB PC3-10600+ w/ HP W2072a 20-inch Widescreen LCD Monitor Dr.Web Antivirus, Win 7 Pro

კომპიუტერების აპარატული უზრუნველყოფა სწრაფი ტემპით მიღის წინ, მათი საშუალო მაჩვენებლები ყოველდღიურად იცვლება. 2015 წელს პერსონალური კომპიუტერების ტაქტური სიხშირე 4 გჰც-ს შეადგინდა. ზოგადი დანიშნულების კომპიუტერების ოპერატორული მეხსიერების მოცულობამ უკვე რამდენიმე გიგაბაიტამდე მიაღწია, ხოლო იმ პერსონალურ კომპიუტერებში, რომლებიც უფრო რთული ამოცანების შესასრულებლადაა განკუთვნილი, ეს მაჩვენებელი 16 გიგაბაიტამდე აღწევს. მყარი დისკის მოცულობა 500 გიგაბაიტს და მეტს შეადგენს.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

1981 წელს გამოშვებული პირველი IBM კომპიუტერ 8088/86-ის პროცესორის ტაქტური სიხშირე 4,77 მჰც იყო. 1993 წელს Pentium-ის პროცესორს ეს მაჩვენებელი 66 მჰც-ის ტოლი ჰქონდა, ხოლო 1997 წლის ბოლო გამოშვების Pentium-ის პროცესორში მან უკვე 233 მჰც-ს მიაღწია.

შეადარეთ თქვენი კომპიუტერის პროცესორის ტაქტური სიხშირე Pentium-ის ყველაზე მძლავრი პროცესორის ანალოგიურ პარამეტრს. მასზე რამდენჯერ უფრო მძლავრია თქვენი კომპიუტერი?

შეამოხვა ვანი ცოდნა

1. კომპიუტერის რომელი ძროთადი მახასათებელი განსაზღვრავს მის სიმძლავრეს?
2. რა არის ტაქტური სიხშირე და რა ერთეულებით იზომება იგი?
3. სად არის მოთავსებული ქეშ-მეხსიერება და რა დანიშნულება აქვს მას?
4. რა მოცულობის ოპერატორული მეხსიერება და მყარი დისკი აქვს ქვემოთ მოყვანილი მახასათებლების მქონე კომპიუტერს?

Intel core i7 2600k 3.4/Asus P4PE-2x/16 GB DDR3/1,5 TB HDD/Video Asus Radeon AX600 Pro 128 MB TV-out/DVD+RW NEC/ATX

მართვის პანელი



- რა შემთხვევაში ჩნდება სამუშაო მაგიდაზე არსებული პიქტოგრამების მოწესრიგების აუცილებლობა?
- როგორ დაგახარისხოთ პიქტოგრამები სამუშაო მაგიდაზე პროგრამის ტიპის შესაბამისად?

როგორც იცით, კომპიუტერის ოპერაციული სისტემა მართავს მის აპარატულ და პროგრამულ უზრუნველყოფას და მოხმარებელსა და კომპიუტერს შორის დამაკავშირებლის როლს თამაშობს. მომხმარებელთა მოთხოვნების მრავალფეროვნების გამო ხშირად აუცილებელი ხდება სისტემის მართვის პარამეტრების შეცვლა.

გასულ წელს თქვენ ისწავლეთ, როგორ უნდა მოაწესრიგოთ პიქტოგრამები კომპიუტერის სამუშაო მაგიდაზე. ამისათვის გამოიყენება კონტექსტური მენიუ, რომელიც სამუშაო მაგიდის თავისუფალ ადგილსა თაგვის მარჯვენა ღილაკზე დაწკაპუნების შედეგად იხსნება.

მომხმარებლისთვის მოსახერხებელი რომ იყოს, ოპერაციული სისტემა Windows-ისა და მისი ელემენტების მართვის ყველა ინსტრუმენტი **Control Panel-ზე** (მართვის პანელზე) არის მოთავსებული.

საქმიანობა

1

- გახსენით მენიუ Start;
- აირჩიეთ პუნქტი Control Panel და გახსენით შესაბამისი ფანჯარა;
- მართვის პანელის ინსტრუმენტები კატეგორიებად (Category) არის დაჯგუფებული. გაეცანით თითოეული კატეგორიის ინსტრუმენტებს;
- ყველა ინსტრუმენტის ერთ სიაში გამოსახვისთვის შედით განყოფილება View by-ში (დათვალიერება) და აირჩიეთ სიაში პუნქტი Large Icons (მსხვილი პიქტოგრამები) ან Small Icons (წვრილი პიქტოგრამები);
- დახურეთ ფანჯარა Control Panel.



ვიმსჯელოთ:

- რამდენ კატეგორიადა დაყოფილი მართვის პანელის ინსტრუმენტები?
- რომელ კატეგორიაში უნდა იყოს სამუშაო მაგიდაზე პიქტოგრამების მოსახესრიგებელი ინსტრუმენტები?

სათანადო ინსტრუმენტების არჩევით, შე-
საძლებელია, მაგალითად, ოპერაციული სის-
ტემის ენების, ფანჯრების გარეგნული ხედის
მართვა, მენიუ Start-ის გამოჩენა, კომპიუ-
ტერის ახალი მომხმარებლის შექმნა. ზოგი-
ერთი პროგრამა მართვის პანელს თავის ინსტრუმენტებს უმატებს. ამი-
ტომ სხვადასხვა კომპიუტერში მისი შემადგენლობა სხვადასხვანაირია.

მართვის პანელის ბევრი პუნქტი, პრაქტიკულად, არ გამოიყენება, ვინაიდან გულისხმობის პრინციპით დაყენებული რეგულირება მომხმარებელ-
თა უმრავლესობას აკმაყოფილებს. ასეთ პუნქტებს მიეკუთვნება Mouse (თაგ-
ვი), Sound (ხმა), Ease of Access Center (სპეციალური შესაძლებლობების ცენტრი). მაგრამ ისეთი პუნქტებიც არსებობს, რომლებითაც ოპერაციული
სისტემის მართვისას ხშირად სარგებლობენ. ასეთია, მაგალითად,
Personalization (ცერსონალიზაცია). მართვის პანელის ბევრი ინსტრუმენტი,
უშუალოდ პანელის გარდა, სხვა ადგილებზეც მოიპოვება. ასე მაგალითად,
პუნქტ Personalization-ზე გადასასვლელად საკრაისა, თავვის მარჯვენა
ღილაკით სამუშაო მაგიდის თავისუფალ ადგილას დავაწყაპუნოთ და
კონტექსტურ მენიუში იმავე სახელწოდების პუნქტი ავირჩიოთ.

კლავიატურის წყობა განსაზღვრავს იმ სიმბოლოებს, რომლებიც
კლავიშებზე დაჭრისას გამოისახება ეკრანზე და ენის ყველა სიმბოლოს
შეტანის საშუალებას იძლევა. კლავიატურის სასურველი წყობის
დაყენების შემდეგ ტექსტის აკრეფისას, ენების პანელის დახმარებით,
მარტივად შეიძლება ერთი ენიდან (მაგალითად, ინგლისურიდან) მეორეზე
(მაგალითად, ქართულზე) გადასვლა.

საჭმიანობა


2

- გახსენით მართვის პანელი;
- კატეგორია  -ში (საათი, ენა და რეგიონი) დააწკაპუ-
ნეთ მითითება Change keyboards or other input methods (კლავიატურის წყობის
ან ინფორმაციის შეტანის სხვა საშუალების წყობის შეცვლა);
- გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში გადადით ჩანართ Keyboards and Languages-
ზე (კლავიატურა და ენები) და დააწკაპუნეთ ღილაკ
ზე (შეცვალეთ კლავიატურა);
- გახსნილი დიალოგური ფანჯარის, Text Services and Input Languages-ის
(ტექსტის შეტანის ენები და მომსახურება), განყოფილება Default Input
Language-ში (ტექსტის შეტანის ენა გულისხმობის პრინციპით) აირჩიეთ ენა,
რომლის გამოყენებაც გულისხმობის პრინციპით.
თუ სიაში ეს ენა არ არის, მაშინ შემდეგი ნაბიჯები გადადგით:
- განყოფილება Installed services-ში (დაყენებული მომსახურების სახეები)
დააწკაპუნეთ ღილაკ Add-ზე (დამატება);
- ჩამოშლილ სიაში აირჩიეთ ჯერ ის ენა, რომლის დაყენებაც გსურთ,
მაგალითად, Arabic (Saudi Arabia), შემდეგ კი აირჩიეთ პუნქტი Keyboard
(კლავიატურა);


დაიბასოვანი

მართვის პანელი
კლავიატურის წყობა

7. აირჩიეთ კლავიატურის სასურველი წყობა, მაგალითად, Arabic (101) და დააწერეთ ღილაკ OK-ზე. ენა სიას დაემატება.



8. იმისათვის, რომ ნახოთ კლავიატურის წყობა ნებისმიერი ენისათვის, დააწერეთ ღილაკ Properties-ზე (თვისებები).



შევისწავლოთ დაორუკილებლად

გადაიყვანეთ მართვის პანელი Large icons-ის (მსხვილი პიქტოგრამების) დათვალიერების რეჟიმზე. გამოიყენეთ პიქტოგრამა Mouse (თაგვი), გახსენით დიალოგური ფანჯარა Mouse Properties (თაგვის თვისებები). დაათვალიერეთ ფანჯარის ჩანართები და შეცვალეთ თაგვის პარამეტრები (მაგალითად, მაჩვენებლის გადადგილების სიჩქარე, მისი გარეგნული ხედი).

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა არის მართვის პანელი და რისგან შედგება იგი?
2. რას ნიშნავს კლავიატურის წყობა და რა წყობაა გააქტიურებული თქვენს კომპიუტერში ამ მომენტში?
3. რომელი კლავიშების კომბინაციით სარგებლობთ თქვენს კომპიუტერში ერთი ენობრივი წყობიდან მეორეზე გადასასვლელად?

8

დამხმარე პროგრამები. დევლოპერთაცია

- რა არის პროგრამული უზრუნველყოფა და რა სახეებად იყოფა იგი?
- რომელ პროგრამებს მიაკუთვნებენ სისტემურ პროგრამულ უზრუნველყოფას?

სისტემური პროგრამული უზრუნველყოფის უმეტეს ნაწილს **დამხმარე პროგრამები**, ანუ **უტილიტები**, შეადგენს. ისინი კომპიუტერის მომსახურების, შემოწმებისა და მომართვისთვის, ასევე ტექნიკური ოპერაციების შესრულებისთვისაა განკუთვნილი. ჩვეულებრივ, ამ პროგრამებს მომხმარებლები მართავენ.


დამხმარე პროგრამების ფუნქციები მჭიდროდაა დაკავშირებული ოპერაციული სისტემის შესაძლებლობებთან, რის გამოც მათი უმრავლესობა სისტემის შემადგენლობაში შედის. მაგრამ დამოუკიდებელი დამხმარე პროგრამებიც არსებობს.

კომპიუტერში არსებული ყველა პროგრამა, მათ შორის პროგრამების მუშაობის შედეგად მიღებული მონაცემებიც, ოპერაციულ სისტემასთან ერთად, მყარ დისკზე ინახება. ამიტომ მყარი დისკი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მყარი დისკის მომსახურება დადებით გავლენას ახდენს კომპიუტერის საერთო მნარმანებლურობაზე, მისი არარსებობა კი კომპიუტერის მუშაობის სისწრაფეს აქვეითებს.

დისკის იმ ნაწილს, რომელშიც მონაცემები ინახება, სექტორი ჰქვია. დისკს აქვს ზედა და ქვედა მხარეები. თი-თოვეულ მათგანზე არის წრიული **ბილიკები** და სექტორები. დაფორმატების დროს თი-თოვეული ბილიკი გარკვეული ზომის (ჩვეულებრივ, 512 ბაიტის ტოლ) სექტორებად იყოფა. დისკის გამოყენებისას მისი ჩამნერ/წამკითხავი თავაკები ამ ბილიკებს გააივლის და ინფორმაციას სექტორში ან სექტორთა ჯგუფში ჩაწერს (ან ამოიკითხავს). ამგვარად, სექტორი დისკის მეხსიერების უმცირესი უპანია, რომელსაც განსაზღვრული ზომა გააჩნია.

დამხმარე პროგრამები

სექტორი
ბილიკი
ფრაგმენტაცია
დეფრაგმენტაცია



მექანიკური ზემოქმედების ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ზოგჯერ დისკზე დაზიანებული სექტორები ჩნდება. მათ **ცუდ სექტორებს** (bad sectors) უწოდებენ. ოპერაციულ სისტემას არ შეუძლია ინფორმაციის შესანახვად მათი გამოყენება. თუ დისკზე შენახული ფაილის ნაწილი ცუდ სექტორში აღმოჩენდება, ოპერაციული სისტემა მას ვერ წაიკითხავს და გამოიტანს შეტყობინებას შეცდომის შესახებ (File system error). Windows-ის ოპერაციული სისტემის შემადგენლობაში არსებული პროგრამა **Scan Disk**-ის დახმარებით შესაძლებელია მყარი დისკის სტრუქტურაში შეცდომის აღმოჩენა და გასწორება.

საქმიანობა


1

მყარი დისკის შემოწმება არსებული შეცდომების აღმოჩენის მიზნით

1. ორჯერ დააწერა სამუშაო მაგიდაზე არსებულ პიქტოგრამა Computer-ზე;
2. მარჯვენა ღილაკით დააწერაპუნეთ C დისკის (ან სხვის) პიქტოგრამაზე;
3. კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ ბრძანება Properties;
4. გადადით ჩანართ Tools-ში და დააწერაპუნეთ ღილაკ Check now-ზე;
5. გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში დააწერაპუნეთ ღილაკ Start-ზე. ჰორიზონტალური ინდიკატორი გრივენებთ, შემოწმების რომელი ნაწილი დამთავრდა. სამუშაოს დასასრულს კომპიუტერი გამოიტანს ინფორმაციას განსაზღვრული სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

ვიმსჯელოთ:

- აღმოჩენდა თუ არა დისკზე ცუდი სექტორი?
- რამდენი თავისუფალი ადგილია დისკზე?



კომპიუტერის მყარ დისკზე მიღიარდობით სექტორია. ამიტომ ოპერაციული სისტემა ცალკეულ სექტორზე კი არა, სექტორთა ჯგუფზე მუშაობს. სექტორთა ჯგუფს კლასტერს უწოდებენ. კლასტერის ზომა მყარი დისკის ზომით (ჩვეულებრივ, 4 კბ) განისაზღვრება. კლასტერების რაოდენობა, რომელსაც თითოეული ფაილი იკავებს, მთელი რიცხვია. მყარ დისკზე ფაილის შენახვის პროცესი ასე მიმდინარეობს: ოპერაციული სისტემა ფაილის ნაწილს ერთ თავისუფალ კლასტერში ინახავს, მეორე ნაწილს – მეორე თავისუფალ კლასტერში და ა.შ. თუ ჩაწერა ნაწილობრივ შევსებულ დისკზე მიმდინარეობს, ერთი ფაილის კუთვნილი კლასტერები მიმდევრობით ინერება. თუ დისკი გადავსებულია, მასზე შესაძლოა, ვერ მოიძებნოს ფაილის დამტევი ერთიანი არე (ანუ მეზობელი კლასტერები). მიუხედავად ამისა, ფაილი მაინც ჩაიწერება, თუკი დისკზე მოიძებნება ბევრი პატარ-პატარა თავისუფალი უბანი, რომელთა საერთო ზომა ფაილის ჩასაწერად საკმარისი აღმოჩენდება. ამ შემთხვევაში ფაილი რამდენიმე ფრაგმენტად ჩაიწერება. თუ კომპიუტერი დიდი



ხნის განმავლობაში იხმარება, ბევრი ფაილი დისკზე ფრაგმენტებად გაფანტული აღმოჩნდება. ფაილების ასეთ მდგომარეობას ფრაგმენტაცია ეწოდება. ასეთ დანაწილებულ ფაილებზე მუშაობისას კომპიუტერის სიჩქარე მცირდება, ვინაიდან იმ კლასტერების ძებნას, რომლებზედაც ფაილები ინახება, მეტი დრო სჭირდება. ფრაგმენტაცია ოპერაციულ მეხსიერებაშიც ხდება ხოლმე, კერძოდ, მეხსიერების დაშლისა და განმეოდის დროს. ფრაგმენტაციის მოსაცილებლად, ანუ დისკის **დეფრაგმენტაციისათვის**, სპეციალური უტილიტები არსებობს. დეფრაგმენტაციის დროს დისკზე გაფანტული ფაილები ახალ ადგილებზე ოპტიმალური ფორმით ჩაინერება. Windows-ის სისტემაში დისკის დეფრაგმენტაციისათვის პროგრამა **Disk Defragmenter**-ით სარგებლობენ.

საჭიროება

2

მყარი დისკის დეფრაგმენტაცია

- გახსენით მენიუ Start;
- პუნქტ All Programs-ის არჩევის შემდეგ გადადით საჭალალდე Accessories-ში;
- გახსენით საქალალდე System Tools და აირჩიეთ პუნქტი Disk Defragmenter. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
- აირჩიეთ საჭირო დისკი და დააწერაპუნეთ ღილაკ Analyze disk-ზე. დაიწყება დისკის ანალიზი. ამ პროცესს გარკვეული დრო დასჭირდება. დაელოდეთ მის დამთავრებას;
- თუ პროგრამა დეფრაგმენტაციის შესრულებას შემოგთავაზებთ, დააწერაპუნეთ ღილაკ Defragment disk-ზე.

დისკის დეფრაგმენტაციის ჩატარების სიხშირე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ინტენსიურად იყენებთ კომპიუტერს. თუ ყოველდღე მუშაობთ, მიზანშეწონილია ამის კვირაში ერთხელ გაკეთება. თუ კომპიუტერთან იშვიათად ჯდებით, მაშინ დეფრაგმენტაცია შეგიძლიათ, ორ-სამ თვეში ერთხელ ჩატაროთ.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

კონტექსტური მენიუს პუნქტ Properties-ის დახმარებით, შეადარეთ ერთმანეთს რამდენიმე ფაილის ჭეშმარიტი ზომა (Size) თქვენს კომპიუტერში მათ მიერ დისკზე დაკავებულ ადგილს (Size on disk). ახსენით თითოეულ შემთხვევაში ფაილის ჭეშმარიტ ზომასა და მის მიერ დისკზე დაკავებულ ადგილს შორის არსებული განსხვავების მიზეზი.

შეამონეთ შეინიშნეთ



- რა არის სექტორი და კლასტერი?
- როგორ ინახება ფაილები კლასტერებში დისკზე?
- რატომ ხდება დისკზე ფრაგმენტაცია?
- განსაზღვრეთ, რამდენ კლასტერს დაიკავებს დისკზე ფაილი, თუ მისი მოცულობა 302 კბ-ია?

9

დამხმარე პროგრამები. დისკის განვითარება



- ალმოგიჩენიათ თუ არა თქვენს პერსონალურ კომპიუტერში თქვენთვის უსარგებლო პროგრამები და ფაილები? როგორ იქცევით ასეთ შემთხვევაში?
- რას ნიშნავს პროგრამის ან კომპიუტერის „დაკიდება“? ამ შემთხვევაში რას აკეთებთ ხოლმე?


კომპიუტერით სარგებლობის პროცესში მასში აუცილებლად გროვდება სხვადასხვა სახის უსარგებლო ფაილები. ასე, მაგალითად, ვებსაიტების დათვალიერებისას შესაძლებელია დროებითი ფაილების წარმოშობა. ისკვიზე ზედმეტი ადგილის დამკავებელი ფაილების ალმოჩენისას ნების-მიერ მომხმარებელს უჩნდება სურვილი, წაშალოს ისინი. მათგან დისკის გასაწმენდად გათვალისწინებულია დამხმარე პროგრამა **Disk Cleanup**.

საჭიაოება

1

უსარგებლო ფაილებისგან მყარი დისკის განმენდა

- გახსენით მენიუ Start;
- აირჩიეთ ბრძანება All Programs⇒Accessories⇒System Tools⇒Disk Cleanup. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;



- თუ სისტემაში ერთზე მეტი დისკია, აირჩიეთ გასაწმენდი დისკი; სხვა შემთხვევაში გადადით შემდეგ პუნქტზე. სიაში საჭირო დისკის ასარჩევად ისარგებლეთ ისრიანი თილაკით;
- დააწკაპუნეთ ღილაკ OK-ზე. პროგრამა დაითვლის და მიგითითებთ, რა ადგილის გათავისუფლებაა შესაძლებელი დისკზე;
- მონიშნეთ ის ფაილები, რომელთა წაშლაც გსურთ, და დააწკაპუნეთ ღილაკ OK-ზე.

ვისჯელთ:

- რა ადგილი უკავია ინტერნეტის დროებით ფაილებს (Temporary Internet Files) დისკზე, რომლის განმეოდაც გინდათ?
- რა ადგილი გათავისუფლდა დისკზე?

მიზანშეწონილად ითვლება დისკების გამწმენდი პროგრამის თვეში ერთხელ გაშვება. დალოგურ ფანჯარა Disk Cleanup-ში არის გვერდი More Options, სადაც შეგიძლიათ, ნახოთ სისტემის მიერ გამოუყენებელი კომპონენტების მოსაძებნი რამდენიმე პარამეტრი.

თქვენს კომპიუტერში ოდესლაც ჩანს რილი პროგრამები გარკვეული ნის შემდეგ შეიძლება აღარ დაგჭირდეთ და მათი წაშლა მოისურვოთ.

დამასრულება

- Disk Cleanup
- Task Manager

ყურადღება!


არასოდეს წაშალოთ პროგრამები, რომელთა დანიშნულება ზუსტად არ იცით!

სამიანობა

2

დაყენებული პროგრამების წაშლა

1. გახსენით პროგრამა Disk Cleanup;
2. გადადით გვერდ More Options-ზე;



3. განყოფილება Programs and Features-ში დააწაპუნეთ ღილაკ Clean up-ზე. გაიხსნება თქვენს კომპიუტერში დაყენებული პროგრამების სია;
4. დააწაპუნეთ იმ პროგრამის სახელნოდებაზე, რომლის წაშლაც გსურთ. პროგრამის სახელი მოინიშნება, მის ქვეშ კი მისი აღნერილობა გამოჩინდება;
5. საჭირო პროგრამის მონიშვნის შემდეგ დააწაპუნეთ ღილაკ Uninstal/Change-ზე. ეკრანზე გამოჩინდება შეტყობინება წაშლის ოპერაციის დადასტურების შესახებ;
6. თუ ნამდვილად გსურთ მონიშნული პროგრამის სისტემიდან ამომლა, დააწაპუნეთ ღილაკ OK-ზე, თუ არა და – ღილაკ Cancel-ზე.

ზოგჯერ ისე ხდება, რომ პროგრამა, რომელზედაც მუშაობთ, თქვენს ბრძანებებზე აღარ პასუხობს. კლავიატურის კლავიშებზე დაჭერას არავი-


თარი შედეგი აღარ მოაქვს. ასეთ შემთხვევებში ამბობენ, რომ პროგრამა „დაკიდა“. ოპერაციული სისტემა ცდილობს, თვითონ გადაწყვიტოს ეს პრობლემა. მაგრამ თუ ლოდინის დრო არ გაქვთ, დამხმარე პროგრამა Task Manager-ის დახმარებით, შეგიძლიათ, დაასრულოთ დაკიდებული პროგრამის მუშაობა. თუ ამ მეთოდს დროის დასაზოგავად მიმართავთ, გაითვალისწინეთ, რომ ყველა დაუმასხოვრებელი მონაცემი დაგეკარგებათ. მაგრამ თუ ის დოკუმენტი, რომელზეც მუშაობდით, თქვენთვის მნიშვნელოვანია, დაიცადეთ რამდენიმე წუთი, ვიდრე ოპერაციული სისტემა თავად გადაწყვეტდეს ამ პრობლემას.

საქმიანობა

3

დაკიდებული პროგრამის მუშაობის დასრულება


1. გახსენით ამოცანათა პანელის კონტრექსტური მენიუ. ამისათვის თაგვის მარჯვენა ღილაკით დააწკაპუნეთ პანელის თავისუფალ ადგილას. მენიუში არჩიეთ პუნქტი Start Task Manager (ან დააჭირეთ კლავიშების კომბინაცია <Ctrl+Shift+Esc>-b). გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;



2. გადადით ჩანართ Applications-ში. აქ გამოისახება იმ პროგრამების სია, რომლებიც მოცემულ მომენტში სრულდება. ყურადღება მიაქციეთ პროგრამების მდგომარეობას (სტატუსს). მომუშავე პროგრამებს, როგორც წესი, აქვს სტატუსი Running („მუშაობს“), ხოლო დაკიდებულ პროგრამებს – Not responding („არ პასუხისმგება“);
3. გახსენით პროგრამა Paint და დააკირდით ჩანართ Applications-ში მიმდინარე ცვლილებებს;
4. მოძებნეთ სიაში სტრიქონი პროგრამა Paint-ის სახელნოდებით და დააწკაპუნეთ ღილაკ End Task-ზე. პროგრამის შესრულება შეწყდება და სიაში მისი სახელწოდება წაიშლება.
- გაითვალისწინეთ, რომ ეს ოპერაცია, როგორც წესი, დაკიდებულ პროგრამებთან მიმართებით სრულდება.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

პროგრამა Task Manager-ის გვერდ Processes-ის (პროცესები) დახმარებით დაადგინეთ, რამდენი პროცესი სრულდება მოცემულ მომენტში თქვენი კომპიუტერის ოპერაციულ მეხსიერებაში, მეხსიერების რა ნანილს იკავებს ისინი ერთად, რომელ პროცესს (პროგრამას) უჭირავს მეტი ადგილი. ჩართეთ რომელიმე ვებბრაუზერი და დააკვირდით, როგორ იცვლება პროცესების რაოდენობა.



შეამოხა
შეიძლება?


1. რის შედეგად ჩნდება კომპიუტერში უსარგებლო ფაილები?
2. ახსენით პროგრამა Disk Cleanup-ის დანიშნულება.
3. როგორ დავრნმუნდეთ, რომ მომუშავე პროგრამა დაეკიდა?
4. რა გზით შეიძლება კომპიუტერის ოპერაციული მეხსიერებიდან დაკიდებული პროგრამის ამოშლა?

შემაჯამარებელი პითსვები და დავალებები

1. დაასახელეთ კომპიუტერის ძირითადი მახასიათებლები. როგორ შეიძლება კომპიუტერის პარამეტრების დადგენა?
2. რა როლს ასრულებს მართვის პანელი Windows-ის ოპერაციულ სისტემაში? შესაძლებელია თუ არა, რომ კომპიუტერს მართვის პანელი არ გააჩნდეს? ახსენით თქვენი პასუხი.
3. რა ჰქვია დისკზე მეხსიერების გარკვეული მოცულობის უმცირეს ბლოკს?
4. მყარ დისკზე ჩაწერილია 305 კბ, 604 კბ და 2340 კბ-ის მოცულობის სამი ფაილი. რომელი ფაილის ზომა იქნება დისკზე დაკავებული ადგილის შესაბამისი?
5. რისთვისაა განკუთვნილი პროგრამა Task Manager?
6. პროგრამული უზრუნველყოფის რომელ სახეს მიეკუთვნება პროგრამები Task Manager და Disk Cleanup?
7. თუ სახლში კომპიუტერი გაქვთ, ჩაატარეთ მისი ერთ-ერთი დისკის ფრაგმენტაციის ანალიზი. განსაზღვრეთ დისკის სრული მოცულობა, მეხსიერების თავისუფალი ნაწილის მოცულობა, თავისუფალი ადგილის პროცენტული რაოდენობა, კლასტერის ზომა.
8. რომელი გამონათქვამია მცდარი?
 - ა) პროცესორის ტაქტების სიხშირე ჰერცებით იზომება;
 - ბ) ქეშ-მეხსიერება კომპიუტერის მყარ დისკზეა მოთავსებული;
 - გ) ოპერაციული მეხსიერების მოცულობა მყარი დისკის მოცულობაზე მეტია;
 - დ) დამხმარე პროგრამები კომპიუტერის სისტემურ პროგრამებს მიეკუთვნება;
9. შეადარეთ ორი კომპიუტერის პარამეტრები. რომლის პარამეტრებს აქვთ უპირატესობა? ახსენით თქვენი პასუხი:

Notebook X1/1920×1080/Intel® Core™ i7/2.5 GHz /RAM 16Gb/ HDD 256 Gb/Veb-kamera 1.3 Mpiksel/Windows 8.1 (64-bit)/25.4×38.1×3.3 sm/2.7 kg

Notebook X2/1366×768/Intel® Celeron®/2.16 GHz / RAM 4Gb/HDD 1500Gb/Veb-kamera 0.3 Mpiksel/Windows 8.1 (64-bit)/38.1×25.9×2.54 sm/2.6 kg



3

გამოყენებითი პროგრამები

10. რთულ დოკუმენტებზე მუშაობა
11. მულტიმედიური პრეზენტაციები
12. ელექტრონულ ცხრილებზე მუშაობა
13. დიაგრამები ელექტრონულ ცხრილში

გამოყენებითი პროგრამები

10

რთულ დოკუმენტებზე მუშაობა



- რას ეწოდება ტექსტრი დოკუმენტი?
- რა სახის ობიექტები შეიძლება იყოს ტექსტურ დოკუმენტში?

საქმიანობა

1

სითბოს იმ რაოდენობას, რომელიც ლლობის ტემპერატურამდე მიყვანილ კრისტალურ ნივთიერებას მყარი კრისტალური მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასასვლელად უნდა მიეწოდოს, დნობის სითბო ეწოდება. დნობის სითბო დამოკიდებულია კრისტალის მასასა და სახეობაზე:

$$Q = \lambda m t.$$

სადაც Q – დნობის სითბო, m – სხეულის მასა, t – ხოლო λ – დნობის კუთრი სითბო. ნივთიერების დნობის კუთრი სითბო არის ფიზიკური სიდიდე, რომელიც გამოიყენება ლლობის ტემპერატურამდე მიყვანილი 1 კგ მასის მქონე სხვადასხვე მყარი სხეულის სრულ გალლობაზე დახარჯული სითბოს რაოდენობებს შერის სხვაობის განსასაზღვრავად.

ფორმულა	საზომი ერთეული
$\lambda = \frac{Q}{m t}$	$[\lambda] = 1 \frac{\text{კგ}}{\text{კგ}}$
განსაზღვრება	განსაზღვრება
ნივთიერების დნობის კუთრი სითბო – სითბოს იმ რაოდენობის ტოლი ფიზიკური სიდიდე, რომელიც საჭიროა ლლობის ტემპერატურამდე მიყვანილი 1 კგ მასის კრისტალური ნივთიერების გასადნობად.	1 ჯოული 1 კილოგრამზე – ეს არის დნობის ისეთი კუთრი სითბო, როდესაც 1 კგ კრისტალური ნივთიერების გასადნობად 1 ჯოული სითბო იხარჯება.

შექმნით ასეთი დოკუმენტი ტექსტურ რედაქტორში (Microsoft Word-ში ან OpenOffice.org Writer-ში). ამისათვის შეასრულეთ შემდეგი ალგორითმი:

- გახსენით პროგრამა Microsoft Word;
- შეიტანეთ და დააფორმატეთ შემდეგი ტექსტი: სითბოს იმ რაოდენობას, რომელიც უნდა მიეწოდოს ლლობის ტემპერატურამდე მიყვანილ კრისტალურ ნივთიერებას მყარი კრისტალური მდგომარეობიდან თხევად მდგომარეობაში გადასასვლელად, დნობის სითბო ეწოდება. დნობის სითბო კრისტალის მასასა და სახეობაზეა დამოკიდებული.


3. გადადით ახალ საზზე და შეიტანეთ ფორმულა $Q = \lambda m$. ბერძნული ალფაბეტის ასოს λ -ს შესატანად შრიფტების სიაში აირჩიეთ Symbol და დააჭირეთ კლავიატურის ასო $<L>$ -ს (კლავიატურის ინგლისური წყობისას).

ღილაკ -ის დახმარებით მოათავსეთ ფორმულა სტრიქონის ცენტრში;
4. შეიტანეთ მოცემული დოკუმენტის მომდევნო აბზაცი;

5. ცხრილის შესატანად ისარგებლეთ მენიუ Insert-ის ღილაკ -ით. ააგეთ ცხრილი, რომელიც ორი სვეტისა და ოთხი სტრიქონისგან შედგება;

6. შეავსეთ ცხრილის უჯრები ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები;


7. ფორმულის შესატანად აირჩიეთ მენიუ Insert და დააწაპუნეთ ღილაკ -ზე. გაიხსნება ინსტრუმენტების პანელი Equation tools და დოკუმენტში გაჩნდება ფორმულის ჩასაწერი ველი;



8. წილადების შესატანად დააწაპუნეთ პანელ Equation tools-ის ღილაკ Fraction-ზე. სიაში აირჩიეთ ჩვეულებრივი წილადის ვარიანტი. კურსორის შესაბამისად მრიცხველასა და მნიშვნელში მოთავსებით, შეიტანეთ ფირმულის სათანადო სიმბოლოები;

9. ცხრილის უჯრებში ჩანაწერები ნიმუშის მიხედვით განალაგეთ: პირველი სამი სტრიქონის ჩანაწერები გაასწორეთ ცენტრის მიმართ, ბოლო სტრიქონისა კი – მარცხნა კიდის მიმართ. დააფორმატეთ შესაბამისი ჩანაწერები მუქი შრიფტით გამოყოფით;


10. შეცვალეთ ცხრილის პირველი და მესამე სტრიქონების უჯრების ფერი. ამისათვის დააწაპუნეთ ფანჯრის სათაურის ზოლში განთავსებულ ღილაკ Table Tools-ზე. გაიხსნება შესაბამისი ინსტრუმენტების პანელი;



11. სია Shading-ში აირჩიეთ შესაბამისი ფერი. არჩეული ფერი შეღებავს ცხრილის გააქტიურებულ (რომელშიც კურსორია ჩასმული) უჯრას;

12. დაარქვით ფაილს სათანადო სახელი (მაგალითად, დნობის სითბო) და შეინახეთ დოკუმენტი.

ზოგჯერ შეიძლება არ მოგეწონოთ ნახატის მდებარეობა ტექსტში. მაგალითად, თქვენ გსურთ, რომ ნახატი ორ აბზაცს შორის კი არა, ტექსტის შუაში იყოს ჩასმული, ან გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში მდებარეობდეს. ალბათ, გინახავთ ასეთი განლაგება სახელმძღვანელოებში ან სხვა ბეჭდურ გამოცემებში. გამოსახულებების დოკუმენტის სათანადო ადგილას განსათავსებლად ტექსტურ რედაქტორ Word-ში სახატავი ინსტრუმენტების პანელზე



(Picture Tools) ორი ინსტრუმენტი: Position და Text Wrapping არის გათვალისწინებული.



სახატავი ინსტრუმენტების პანელის
გამოსაჩენად აუცილებელია გრაფიკულ
გამოსახულებაზე ორჯერ დაწკაპუნება.

ტესტურ რედაქტორში არსებობს დოკუმენტისთვის განსაკუთრებული ეფექტების მქონე დეკორატიული ტექსტების დამატების შესაძლებლობა.

ამისათვის გათვალისწინებულია ინს-

ტრუმენტი WordArt. მისი დახმარებით შესაძლებელია ტექსტის შემოტრიალება, გადახრა, მისთვის ჩრდილის მინიჭება და სხვა ეფექტების გამოყენება. მეზიუ Insert-ში ამ ღილაკზე დაწკაპუნებით გახსნილ ფანჯარაში ნებისმიერი თქვენთვის სასურველი შაბლონის არჩევა შეგიძლიათ.

საქმიანობა

2

მოკემული ნიმუშის მოსამზადებლად შეასრულეთ მითითებული ნაბიჯები.

სამართლებულობრივი დოკუმენტები

ხმელეთის ტექსტორეგზი ძირითადად ტყებისა და გაღლილ სიერ ცუდების ბინარობები. მათ პროპონორცულა აგებულების ძლიერი სხული, კარგად განვითარებული გრძელი კილურები და კუნიოვანი კისერი აქვთ. ისინი სამართლით, სიჩრიითა და ხაზურით გადაავრცელდან.




- შექმნით ახალი ფაილი ტექსტურ რედაქტორში;
 - მენიუ Insert-ში დააწვერეთ ლილაკ WordArt-ზე და გახსნილ ფანჯარაში ნებისმიერი შაბლონი აირჩიეთ;
 - გახსნილ ფანჯარაში, ველ Text-ში ჩანერეთ ტექსტის სათაური (ხმელეთის ძუძუმნოვრები) და დააწვერეთ ლილაკ OK-ზე;
 - ახალი ხაზიდან აკრიფეთ შემდეგი ტექსტი:

ხმელეთის ძუძუმნოვრები ძირითადად ტყეებსა და გამლილ სივრცეებში ბინადრობენ. მათ პროპორციული აგებულების ძლიერ სხეული, კარგად განვითარებული გრძელი კიდურები, კუნთოვანი კისერი აქვთ. ისინი სიარულით, სირბილითა და ხტუნვით გადაადგიონდებიან.

ხმელეთის ცხვოველთა უმრავლესობას ბალახისმჭამელები შეადგენენ, მაგალითად, წყვილჩლილიქოსანთა წარმომადგენელები – ირმები, ანტილოცეპტი, ჟირაფები, თხები, ცხვრები და სხვ. მათვე მიეკუთვნებიან აგრეთვე ენტჩილიქოსანთა ნარმომადგენელები (ცხენი, ზეპრა, ვირი) და კურდღლისებრნი.

 - მოძებნეთ (ვაკეათ, ინტერნეტში) ამ ტექსტის შესაბამისი სურათი და ჩასვით იგი ლოკალურად;

6. გადაიტანეთ თაგვის მაჩვენებელი ნახატზე და დაწკაპუნეთ მარჯვენა ღილაკზე;
7. გახსნილ კონტექსტურ მენიუში აირჩიეთ სტრიქონი Text Wrapping, ხოლო ქვემენიუში – პუნქტი Square;
8. გადაადგილეთ ნახატი დოკუმენტის სათანადო ადგილას;
9. შეინახეთ დოკუმენტი შესაფერისი სახელით.



შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გაეცანით სახელმძღვანელოში თემა „ინფორმაციის გადაცემის“ საქმიანობის ბლოკში მოცემულ დავალებას (გვ.100). ამ თემაზე შექმნით ტექსტურ რედაქტორში ერთგვერდიანი დოკუმენტი. ჩასვით მასში მითითებული ნახატები. ამ ნახატებით სარგებლობისათვის გადმოქარეთ ინტერნეტიდან (საიტ derslik.edu.az-იდან ან informatik.az-იდან) ამ სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია ან მე-6 კლასის ინფორმატიკის სახელმძღვანელო. მოძებნეთ ის გვერდები, რომლებზეც ეს ნახატებია, შეინახეთ ისინი ნებისმიერი საშუალების გამოყენებით და ყოველი სურათი ტექსტის შესაბამის ადგილას ჩასვით.

შეამოხვე შეინახო

1. როგორ განვათავსოთ ნახატები ტექსტის სხვადასხვა ადგილას?
2. რა შემთხვევებში იყენებენ იმსტრუმენტ WordArt-ს?
3. ტექსტურ რედაქტორ WordArt-ის შესაძლებლობების გამოყენებით, მოამზადეთ ერთ-ერთი ამ დოკუმენტთაგანი: სიგელი, დიპლომი ან სერთიფიკატი.
4. მოამზადეთ ტექსტურ რედაქტორში ქვემოთ მოცემული დოკუმენტი და შეასრულეთ მათემატიკის სახელმძღვანელოდან აღებული დავალება.

შეავსეთ ცხრილი ნამრავლის ხარისხის სახით ჩანარით

$(-3,2x)^2 \cdot (-3,2x)^4 =$	$3^7 \cdot 3^5 \cdot 3^2 =$	$(-0,6)^4 \cdot (-0,6) =$
$(a - b)^5 \cdot (a - b)^8 =$	$7^2 \cdot 7^4 \cdot 7 \cdot 7^6 =$	$16^2 \cdot 16 \cdot 16 \cdot 16^5 =$
$(x + 2y)^9 \cdot (x + 2y)^{10} =$	$12^4 \cdot 12 \cdot 12^2 =$	$2,3 \cdot 2,3^2 \cdot 2,3^6 \cdot 2,3 =$
$\left(\frac{3}{4}x\right)^{11} \cdot \left(\frac{3}{4}x\right)^8 \cdot \left(\frac{3}{4}x\right)^9 =$	$x^{11} \cdot x^2 \cdot x^3 \cdot x^4 =$	$(1,(5))^3 \cdot \left(\frac{14}{9}\right)^8 =$

11 მულტიმედიური პროგრამათა ცისტკი

- რა არის მულტიმედია?
- როგორ ამატებენ ხმასა და ვიდეოს **OpenOffice Impress**-ში შექმნილ პრეზენტაციას?


უმცროს კლასებში თქვენ შეისწავლეთ ელექტრონული პრეზენტაციების შექმნა, სლაიდებისთვის ტექსტების, გრაფიკის, ნახატების, ხმოვანი და ვიდეოფაილების, ცხრილების, დიაგრამებისა და სხვა ობიექტების დამატება, სლაიდების ობიექტებისთვის ანიმაციის ეფექტების მინიჭება. ამ სამუშაოს თქვენ ძირითადად პროგრამა **OpenOffice Impress**-ში ატარებდით. ახლა კი ცოდნასა და უნარებს Microsoft Offices-ს პაკეტში შემავალ სხვა ფართოდ გავრცელებულ პროგრამაში, **Power Point**-ში, მუშაობით გაიმყარებთ.

საქმიანობა

1

მულტიმედიური პრეზენტაციის შექმნა პროგრამა **Microsoft Power Point**-ში პრეზენტაციის შექმნაზე მუშაობის დაწყებამდე შეასრულეთ შემდეგი: შექმენით კომპიუტერში ახალი საქაღალდე „აზერბაიჯანელი პოეტები“, ინტერნეტში მოძებნეთ და გადმოქარჩეთ გამოსახულებები ხუთი ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის პორტრეტებით, პატარ-პატარა ნაწყვეტები მათი ლექსებიდან და ეს ყველაფერი შესაბამის საქაღალდეში შეინახეთ. ასევე ინტერნეტში ან ვიდეოფაილებიან დისკიზე მოძებნეთ ვიდეოორგოლი ამ პოეტებიდან რომელიმეს შესახებ და მასაც იმავე საქაღალდეში მიუჩნდეთ ბინა.

1. გაუშვით პროგრამა Microsoft Power Point. გაიხსნება პროგრამის მთავარი ფანჯარა და მასთან ერთად, ახალი ფაილი, რომელიც ერთი სლაიდისგან შედგება. როგორც წესი, ფანჯარის შუაში აქტიური სლაიდი თავსდება. ყველა სლაიდს (ამასაც და იმ ახლებსაც, რომლებსაც შემდეგ შექმნით) დაინახავთ ფანჯარის მარცხენა ნაწილში მდებარე სლაიდების ველში.




2. კლავიშ **<Enter>**-ის ან ბლოკ **Slides**-ის ინსტრუმენტების პანელის ღილაკ



- ის გამოყენებით შექმნით რამდენიმე (5-6) ახალი სლაიდი;
 3. გააძტიურეთ პირველი სლაიდი. ჩვეულებრივ, ეს სლაიდი სატიტულო სლაიდად გვევლინება. მასზე ინერება პრეზენტაციის სახელწოდება და ინფორმაცია ავტორის შესახებ. ველ **Click to add title**-ში მიუთითეთ პრეზენტაციის სათაური (**აზერბაიჯანელი პოეტები**). თუ გსურთ, რომ სათაური უფრო მიმზიდველი იყოს, ისარგებლეთ **WordArt**-ის ინსტრუმენტებთ. მაგალითისთვის, სათაური შეიძლება ასეთი გამოგივიდეთ:

აზერბაიჯანელი პოეტები

4. ველ **Click to add subtitle**-ში შეიტანეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ;
 5. გააძტიურეთ მეორე სლაიდი და მისთვის სხვა მაკეტი აირჩიეთ. ამისათვის ბლოკ **Slides**-ის ინსტრუმენტების პანელზე დაანიჭუნეთ ღილაკ **Layout** -ზე. გამოისახება სლაიდების სხვადასხვა მაკეტი.



6. აირჩიეთ მაკეტი **Content with Caption**. ჩვეულებრივ, ამ მაკეტს ერთ სლაიდზე ტექსტისა და ნახატის განსათავსებლად იყენებენ;
 7. ველ **Click to add title**-ში მიუთითეთ სლაიდის სახელწოდება – ერთ-ერთი პოეტის სახელი. ჩანსრეთ ველ **Click to add text**-ში ამ პოეტის ლექსის ერთი სტრიფი.
 8. სლაიდისთვის იმ ნახატის დასამატებლად, რომელზედაც პოეტის




პორტრეტია გამოსახული, ისარგებლეთ ლილაკთა ჯგუფ -ით. აირჩიეთ

მათში ლილაკი , ვადადით გრაფიკული გამოსახულებების (აზერბაიჯანელი პიეტებს) შემცველ საქალალდეში და აირჩიეთ შესაბამისი ნახატი;

9. გაააქტიურეთ მესამე სლაიდი. აირჩიეთ მისთვის მეორე სლაიდის ანალოგიური მაკეტი. ეს სლაიდი იმ პორტს მოუძღვენით, რომლის ვიდეორგოლიც გაქვთ. სლაიდის სათაურში ამ პორტის სახელი შეიტანეთ, ხოლო ლექსისთვის განკუთვნილ ველში შესაბამისი ვიდეო მოათავსეთ. ამისათვის მენიუ Insert-ში




დააწყაპუნეთ ლილაკ movie-ზე. მოძებნეთ შესაბამის საქალალდეში საჭირო ვიდეოფაილი და დაამატეთ იგი სლაიდს. ეკრანზე გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა;



თუ გსურთ, რომ სლაიდის გახსნისას ვიდეო ავტომატურად გავიდეს, აირჩიეთ ვარიანტი Automatically. თუ ვარიანტ When Clicked-ს აირჩევთ, მაშინ ვიდეოს გასაშვებდ თაგვის მარცხენა ლილაკით უნდა ისარგებლოთ. ჩვეულებრივ, პრეზენტაციის დემონსტრირების დროს უპირატესობას მეორე ვარიანტს ანიჭებენ. სლაიდზე ნახატის სახით გამოტანილი იქნება ვიდეოფაილის კადრი. ნახატის ზომას და მის ადგილს სლაიდზე თქვენი სურვილის მიხედვით დაარეგულირებთ;

10. ანალოგიურად შეავსეთ დაანრჩენი სლაიდები;
11. ერთი სლაიდიდან მეორეზე გდასვლის ეფექტის გამოსაყენებლად აირჩიეთ მენიუ Animations. გადაატარეთ თაგვის მაჩვენებელი შემოთავაზებული ეფექტების ჩამონათვალზე და მოსალოდნელი ეფექტის წინასწარ სანახავად ცოტა დაიცადეთ. აირჩიეთ გადასვლის სასურველი ეფექტი და თუ მის გამოყენებას ყველა სლაიდისთვის გადაწყვეტთ, ამავე პანელზე ლილაკ Apply to All-ზე დააწყაპუნეთ;



12. მენიუ Insert-ში დააწყაპუნეთ ლილაკ-ზე (Header and Footer). გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში აღნიშნეთ ჩანაწერი Slide Number და დააწყაპუნეთ ლილაკ Apply to All-ზე. პრეზენტაციაში სლაიდები თანამიმდევრობით გადაინორმება, დაწყებული პირველი სლაიდიდან;



13. გადადით მენიუ Slide Show-ზე და დააწყაპუნეთ ლილაკ-ზე. დაიწყება მომზადებული პრეზენტაციის სლაიდების თანამიმდევრული დემონსტრირება;
14. სლაიდების დემონსტრირების დასასრულებლად და ჩვეულებრივ რეჟიმზე გადასასვლელად დააჭირეთ ლილაკ <Esc>-ს;
15. დაარევით ფაილს შესაბამისი სახელი და შეინახეთ იგი საქალალდე „აზერბაიჯანელ პორტებში“.

პრეზენტაციის შექმნის შემდეგ ან მასზე მუშაობის პროცესში ზოგჯერ საჭირო ხდება სლაიდების თანამიმდევრობის შეცვლა. სლაიდებზე მუშაობა, როგორც წესი, ნორმალური დათვალიერების რეჟიმში (Normal View) მიმდინარეობს. მაგრამ პრეზენტაციაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად ეს რეჟიმი საკატალისი არ არის. ამისათვის შესაძლებელია სლაიდების დახარისხების რეჟიმით (Slide Sorter View) სარგებლობა. ამ რეჟიმზე გადასასვლელად, პროგრამის ფანჯრის ქვედა ნაწილში არსებული სტატუსის  პანელის ღილაკებიდან უნდა ავირჩიოთ ღილაკი

დაიგასსოვთ

სლაიდების ველი აქტიური სლაიდი



Slide Sorter View ან მენიუ View-ში დავაწყაპუნოთ ღილაკ -ზე (Slide Sorter). ამ რეჟიმში შეგვიძლია, მარტივად შევუცვალოთ ადგილები სლაიდებს, დავამატოთ ახალი სალიდები და წავშალოთ ზოგიერთი მათგანი.

- **სლაიდების თანამიმდევრობის შეცვლა.** პრეზენტაციაში სლაიდისთვის ადგილის შესაცვლელად, დააყენეთ თაგვის მაჩვენებელი ამ სლაიდზე და, მარტენა ღილაკიდან თითის აუღებლად, გადაადგილეთ მაჩვენებელი ახალ ადგილას. შემდეგ აიღეთ თითი ღილაკიდან.
- **სლაიდის წაშლა.** სლაიდის წასაშლელად, მონიშნეთ იგი და დააჭირეთ კლავიშ **<Delete>**-ს ან **<Backspace>**-ს. ამავე მიზნით შესაძლებელია ასევე ინსტრუმენტების პანელის ღილაკ -ის გამოყენება.
- **ახალი სლაიდის დამატება.** პრეზენტაციისთვის ახალი სლაიდის დასამატებლად, ჯერ მონიშნეთ ის სლაიდი, რომლის შემდეგაც უნდა ჩასვათ ახალი, და დააწყაპუნეთ ღილაკ New Slide-ზე. ახალი სლაიდის გასარედაქტირებლად გადადით ჩვეულებრივ რეჟიმზე.

შეისწავლოთ დამოუკიდებლად

პრეზენტაცია რომ უფრო მიმზიდველი გახადონ და ამავე დროს მსმენელს ინფორმაცია წანილ-წანილ და გარკვეული თანამიმდევრობით მიაწოდონ, სლაიდის ზოგიერთ ელემენტს ანიმაციის ეფექტს ანიჭებენ. გასულ წელს თქვენ ამის პროგრამა OpenOffice Impress-ში გაკეთება ისწავლეთ. ბურებრივია, ანალოგიური სამუშაოს შესრულება პროგრამა Microsoft Power Point-შიც შეიძლება. მენიუ Animations-ში დააწყაპუნეთ ღილაკ -ზე და შეისწავლეთ იმავე სახელწოდების პანელი, რომელიც პროგრამის ფანჯრის მარჯვენა ნაწილში გაჩინდება. გამოიყენეთ სხვადასხვა ანიმაციური ეფექტი თქვენ მიერ შექმნილი პრეზენტაციის, აზერბაიჯანელი პოეტების, სლაიდების ობიექტების მიმართ.

შეამოხვა შეი ცოდნა



1. რა იგულისხმება პრეზენტაციის მულტიმედიურ ობიექტებში?
2. როგორ დავამატოთ პრეზენტაციას ხმა და ვიდეოფაილი?
3. შექმნით პრეზენტაცია ნებისმიერ თემაზე. გამოიყენეთ პრეზენტაციის ობიექტების მიმართ Motion Paths-ის ეფექტები.

12

ელექტრონულ ცხრილებზე მუშაობა



- რა მიზნით გამოიყენება ელექტრონული ცხრილები?
- როგორ ჩაინერება ფორმულა ელექტრონულ ცხრილში?

ელექტრონული ცხრილების მართვისათვის განკუთვნილ პროგრამებს (ცხრილურ პროცესორებს) სხვადასხვა ტიპის მონაცემებზე – სიმბოლოებით წარმოდგენილზე (ტექსტებზე), რიცხობრივზე, ლოგიკურზე, დროისა და თარიღის ალმნიშვნელზე და ა.შ – მუშაობის შესაძლებლობა გააჩნია. უჯრაში ჩანერილი მონაცემის ტიპზეა დამოკიდებული, კერძოდ რა ოპერაციის ჩატარება შეიძლება მასზე. ასე მაგალითად, თუ უჯრაში შევიტანთ რიცხვ 43248-ს და უჯრის ფორმატად ტექსტს მივუთითებთ, უჯრის შენაარსი აღიქმება, როგორც სიმბოლოების (4,3,2,4,8) თანამიმდევრობა. თუ უჯრის რიცხობრივი ფორმატი იქნება მითითებული, მაშინ ელექტრონული ცხრილი ამ ჩანაწერს რიცხვად აღიქვამს. უჯრის მიმართ თარიღის ფორმატის გამოყენების შემთხვევაში უჯრაში ჩანერილი რიცხვი აღიქმება, როგორც 2018 წლის 28 მაისი (დღეების რაოდენობა 01.01.1900-დან 28.05.2018-მდე 43248-ს შეადგენს).

საჭიროება


1

- გახსენით ელექტრონული ცხრილი Microsoft Excel;
- შეიტანეთ ნებისმიერ უჯრაში რომელიმე რიცხვი, მაგალითად, **6723**. დააჭირეთ კლავიშ **<Enter>-ს**;
- კვლავ შევსებულ უჯრას დაუბრუნდით. ინსტრუმენტების პანელზე სია **General** -ის განყოფილება Number-იდან აირჩიეთ პუნქტი Date და დააკვირდით, რა ცვლილება მოხდა უჯრაში;
- დააწარწერთ ინსტრუმენტების

- პანელის ღილაკ -ზე (Format) და მენიუში აირჩიეთ პუნქტი Format Cells. გაიხსნება შესაბამისი დიალოგური ფანჯარა;
- გადადით ამ ფანჯარის ჩანართ Number-ში. ყურადღება მიაქციეთ განყოფილება Category-ში მითითებულ მონაცემებს;
 - სიის ელემენტების არჩევით, გაეცნით მონაცემების წარმოდგენის ნიმუშებს.

ვიძისჯელოთ:

- რამდენი ტიპი გააჩნია ფორმატ Date-ს (თარიღის) მონაცემებს?
- რა რიცხვი უნდა შევიტანოთ უჯრაში, რომ პროცენტული (Percent) ფორმატის მითითებით ფორმატის შეცვლის შემთხვევაში უჯრის შიგთავსი 45%-ს აჩვენებდეს?



ელექტრონული ცხრილი, პირველ რიგში, მონაცემებზე გამოთვლების ჩატარების ავტო-მატიზაციისთვის არის განკუთვნილი. ამისათვის ცხრილის უჯრებში **ფორმულები** შეაქვთ. ფორმულაში შეიძლება შედიოდეს რიცხობრივი მონაცემები, ოპერაციების ნიშნები, სხვადასხვა ფუნქცია, ასევე ცხრილის ობიექტების მისამართები. უჯრების მისამართების შემცველი ფორმულები შეიძლება შევადაროთ მათემატიკურ განტოლებებს: განტოლებებში უჯრების მისამართების ადგილას ცვლადები იწერება.

ფორმულის ჩანაწერში უჯრის მისამართის ან უჯრების დიაპაზონის მისათითებლად **ბმულებს** იყენებენ. ბმულების მემკვიდრეობით ელექტრონული ცხრილის ნებისმიერი უჯრების ერთმანეთთან დაკავშირება და ცხრილის მონაცემების სათანადო დამუშავება შეიძლება.

B1	f _x	=A1*A1+23
A	B	C
1 12	=A1*A1+23	
2 4		
3 43		
A		

ხშირად ერთი და იმავე ტიპის ამოცანების ამოსახსნელად ერთნაირ ფორმულებს იყენებენ. ერთი და იმავე ფორმულის სხვადასხვა უჯრაში ცალ-ცალკე შეყვანა რომ არ დასჭირდეთ, მის ასლს ქმნიან. არსებობს უჯრის შიგთავის ერთი და იმავე სტრიქონის ან სვეტის უჯრებში კოპირების მოსახერხებელი მეთოდი. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გავააქტიუროთ ის უჯრა, რომლის შიგთავისი კოპირებაც გვჭირდება (უჯრის ირგვლის მუქი შავი ჩარჩო გაჩინდება). შემდეგ თაგვის მაჩვენებელი ჩარჩოს მარჯვენა ქვედა კუთხეში არსებულ პატარა კვადრატთან (მაჩვენებელი მიიღებს + სახეს) უნდა დავაყოვნოთ და, თაგვის მარცხენა ღილაკიდან თითოს აუღებლად, მაჩვენებელი სტრიქონის ან სვეტის გასწვრივ გადავადგილოთ, მერე კი მოვაშოოთ თითო თაგვის ღილაკს. შედეგად აქტიური უჯრის ფორმულა ყველა მონიშნულ უჯრაში დაკავშირდება. ანალოგიური მეთოდით ნებისმიერი უჯრის შიგთავის სწრაფად და მარტივად დაკოპირდება სხვა უჯრებში.

ელექტრონულ ცხრილში ფორმულის ერთი უჯრიდან მეორეში კოპირებისას ფორმულებში გამოყენებული უჯრების მისამართები (ბმულები) ავტომატურად იცვლება. მათ **შეფარდებით ბმულებს** უწოდებენ. შეფარდებითი ბმული ჩვეულებრივი ფორმით იწერება, მაგ.: F3, E7.

ზოგჯერ ფორმულის ერთი ადგილიდან მეორეში კოპირებისას არ არის აუცილებელი ბმულის შეცვლა. ასეთ შემთხვევებში ელექტრონულ ცხრილებში აპსოლუტურ ბმულებს იყენებენ. აპსოლუტურ ბმულებში სვეტის აღმნიშვნელ ასოსა და სტრიქონის ნომრის წინ სიმბოლო \$ იწერება, მაგალითად: \$F3, \$E\$7.

თუ ფორმულის კოპირებისას ბმულის მხოლოდ ერთი რომელიმე ნაწილი – სვეტის აღმნიშვნელ ასო ან სტრიქონის ნომერი – იცვლება, მაშინ შერეულ ბმულს იყენებენ. ამ დროს სიმბოლო \$ ბმულის იმ ნაწილის წინ იწერება, რომელიც უცვლელი უნდა დარჩეს, მაგალითად, \$F3, E\$7.

დაიგანვითავა

ფორმულა

ბმული

შეფარდებითი ბმული

აპსოლუტური ბმული

შერეული ბმული

შეფარდებითი და აპსოლუტური ბმულების გამოყენება ელექტრონულ ცხრილში

1. გახსენით ელექტრონული ცხრილი. გაიხსნება ცარიელი დოკუმენტი (სამუშაო წიგნი);
2. A1 უჯრაში შეიტანეთ ტექსტი: **1 აშშ დოლარი = ... მანათს;**
3. A2 უჯრაში ჩანრერთ აშშ დოლარის მიმდინარე კურსი (მაგალითად, 1,5);
4. დანარჩენი უჯრები ქვემოთ მოცემული ნიმუშის მხედვით შეავსეთ;

A	B	C	D	E	F	G
1	1 აშშ დოლარი = ... მანათს					
2	1,5					
3	Nº	საქონლის დასხველება	ფასი (USD)	რაოდნობა	ლირულება (USD)	ლირულება (AZN)
4	1	სისტემური ბლოკი	200	2		
5	2	მონტიკორი	250	2		
6	3	კლავიატურა	30	2		
7	4	თაგვი	15	2		
8	5	პრინტერი	90	1		
9	6	სკანერი	32	1		
10		ჯამი				

5. F4 უჯრაში შეიტანეთ ფორმულა $=D4*E4$ და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს. უჯრაში გაჩნდება ფორმულის მიხედვით შესრულებული გამოთვლის შედეგი – რიცხვი 400, კურსორი კი მეზობელ უჯრაში გადაინაცვლებს;
6. ისევ გადადით F4 უჯრაში. ის მუქი ჩარჩოთი (**400**). შემოისაზღვრება. პროგრამა Excel-ში ასე აქტიური უჯრები მოინიშნება. დააყოვნეთ თაგვის მაჩვენებელი ჩარჩოს მარჯვენა ქვედა კუთხეში არსებულ პატარა კვადრატთან. მაჩვენებელი + სახეს მიიღებს. დააჭირეთ თაგვის მარცხენა ლილაკს და თითის აუდებლად გადაატარეთ თაგვი მე-9 სტრიქონამდე;
7. F4 უჯრის ფორმულა დაკომინდება F5:F9 უჯრების დიაპაზონში. მონიშნული დიაპაზონის ყველა უჯრაში აისახება ამ ფორმულის მიხედვით შესრულებული გამოთვლის შედეგი. ამ უჯრებში გადასვლისას დააკვირდით, როგორ იცვლება ბმულები ფორმულებში;
8. ჩანრერთ G4 უჯრაში ფორმულა $=F4*$AS2$. უჯრაში გაჩნდება სისტემური ბლოკის ღირებულება მანათები. გამოიყენეთ მე-6 ნაბიჯის ინსტრუქცია და დააკომინდეთ ეს ფორმულა G5:G9 უჯრების დიაპაზონში;
9. იმისათვის, რომ აშშ დოლარებში გამოითვალის მოწყობილობათა ღირებულება, მონიშნეთ უჯრების დიაპაზონი F4:F10. დააწკაპუნეთ ინსტრუქციას პანელის ღილაკ **AutoSum** - ზე ან მენიუ Formulas-ის შესაბამის ღილაკზე. გამოითვლება ყველა საქონლის საბოლოო ღირებულება, რომელიც F10 უჯრაში აისახება;

A	B	C	D	E	F	G
1	1 აშშ დოლარი = ... მანათს					
2	1,5					
3	Nº	საქონლის დასხველება	ფასი (USD)	რაოდნობა	ლირულება (USD)	ლირულება (AZN)
4	1	სისტემური ბლოკი	200	2	400	600
5	2	მონტიკორი	250	2	500	750
6	3	კლავიატურა	30	2	60	90
7	4	თაგვი	15	2	30	45
8	5	პრინტერი	90	1	90	135
9	6	სკანერი	32	1	32	48
10		ჯამი			1112	1668

10. ანალოგიურად გამოითვლება საქონლის ღირებულება მანათებში;
11. შეცვალეთ A2 უჯრაში აშშ დოლარის კურსი მანათთან მიმართებით და დააკვირდით ცვლილებებს უჯრებში;
12. დაარქეით ფაილს სათანადო სახელი და შეინახეთ იგი.

ზოგჯერ გამოთვლების წარმოებისას სხვადასხვა სტანდარტულ ფუნქციას (მათემატიკურს, ლოგიკურს, ფინანსურს, სტატისტიკურს და სხვ.) იყენებენ. ამ ფუნქციებს გაეცნობით დიალოგურ ფანჯარაში, თუ ფორმულების პანელის ღილაკზე დააწერ დანართულება.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გაეცანით მათემატიკური ფუნქციების $|x|$ (ABS), \sqrt{x} (SQRT), $\sin x$ (SIN), $\cos x$ (COS) ჩანაწერებს პროგრამა Excel-ში. გამოყავით ელექტრონული ცხრილის A სვეტი (x) არგუმენტისთვის, სვეტები B-E კი – შესაბამისი ფუნქციებსთვის. გამოიანგარიშეთ ფუნქციების მნიშვნელობა არგუმენტის 10 სხვადასხვა მნიშვნელობისთვის.

შეამოხვე შეიძლება?

1. მონაცემთა რა ტიპები გამოიყენება ელექტრონულ ცხრილებში?
2. რას ნიშნავს აბსოლუტური ბმული ფორმულაში და როგორ აღნიშნება იგი?
3. შეადგინეთ ცხრილი მოცემული ნიმუშის მიხედვით. ამისათვის:
 - ა) უჯრა A1-ში მიუთითოთ მიმდინარე წელი;
 - ბ) ჩანერეთ სათანადო უჯრებში თქვენი მეგობრების სახელები, გვარები, დაბადების თარიღები;
 - გ) პირველი მათგანის ასაკის გამოსათვლელად უჯრა D4-ში ჩანერეთ შესაბამისი ფორმულა. დააკოპირეთ ეს ფორმულა D სვეტის დანარჩენ უჯრებში.

A	B	C	D
2017			
გვარი	სახელი	დაბადების წელი	ასაკი
აბასლი	ელენი	2002	15
ალენადე	გონია	2001	
იაგუბლა	რუსტამი	2003	

4. უჯრა A2-ში მიუთითოთ ავტომობილის სიჩქარე, უჯრა B2-ში – დრო, რომელსაც ის გზის გავლას ანდომებს. გამოთვალეთ უჯრა C2-ში ავტომობილის მიერ გავლილი გზა ($=?1..$). ცვალეთ სიჩქარის (უჯრა A2-ის შიგთავსის) და დროის (უჯრა B2-ის შიგთავსის) მნიშვნელობა და დააკვირდით, როგორ იცვლება გავლილი გზა (უჯრა C2-ის შიგთავსი);
5. მოცემულია ელექტრონული ცხრილის ერთი ფრაგმენტი. როგორი იქნება C2 და C 3 უჯრების მნიშვნელობა C1 უჯრიდან მათში ფორმულის დაკოპირების შემდეგ?

A	B	C
1	45	110
2	50	23
3	12	70

13 დიაგრამები ელექტრონულ ცხრილში



- როგორ აგებენ დიაგრამას ტექსტურ რედაქტორში?
- დიაგრამების რა სახეებს იცნობთ?

საქმიანობა

1

- გახსენით ელექტრონული ცხრილი Microsoft Excel;
- ააგეთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობის ამსახველი ცხრილი. ცხრილის სათაური ჩაწერეთ A1 უჯრაში, ხოლო თავად ცხრილი განათავსეთ A3: J5 უჯრების დიაპაზონში.

მოსახლეობის რაოდენობის განაწილება ასაკის მიხედვით (2015 წლის დასაწყისისათვის)

	0-9	10-19	20-29	30-39	40-49	50-59	60-69	70 და ზევით	სულ
მოსახლეობის რაოდენობა ასაკის ადამიანი	1489,1	1427,5	1866,5	1465,1	1305,9	1170,7	473,1	395,1	9593,0
მოსახლეობის რაოდენობა პროცენტში	15,6	14,9	19,4	15,3	13,6	12,2	4,9	4,1	100

- დაარქვით ფაილს სათანადო სახელი (მაგალითად, აზერბაიჯანის მოსახლეობა) და შეინახეთ იგი.




ვიმსჯელოთ:

- რამდენია 50 წლამდე ასაკის მოსახლეობის რაოდენობა?
- რომელი დიაგრამის – სვეტოვანის თუ წრიულის – მეშვეობით არის უფრო მოსახერხებელი ამ ცხრილის წარმოდგენა?

ელექტრონული ცხრილები ძირითადად დიდი მოცულობის ერთგვაროვანი რიცხობრივი მონაცემების სწრაფად და ხარისხიანად დამუშავებისათვის არის განკუთხვნილი, მაგრამ მონაცემთა გრაფიკული ფორმით წარმოდგენა უფრო თვალსაჩინო და ადვილად გასაგებია. ცხრილის მონაცემების გრაფიკული ფორმით წარმოდგენის ძირითადი საშუალებაა დიაგრამა.

დიაგრამა გათვალისწინებულია გრაფიკული ფორმით მონაცემთა თვალსაჩინოდ წარმოსადგენად. იგი საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავა-ანალიზოთ მონაცემები, შევადაროთ ისინი ერთმანეთს და გამოვავლინოთ ის კანონზომიერებები, რომლებიც ცხრილში არ ჩანს.

ელექტრონულ ცხრილებში შეიძლება აიგოს ხაზოვანი, წრიული, სვეტოვანი და სხვა დიაგრამები.




ხაზოვანი დიაგრამა, ანუ გრაფიკი – დიაგრამის ტიპი, რომელშიც სიდიდეთა მნიშვნელობები ერთმანეთთან ხაზებითაა შეერთებული, რაც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ სიდიდეთა ცვლილებას ერთი წერტილიდან მეორეში გადასვლისას.

ნრიული დიაგრამა – დიაგრამის ტიპი, რომელიც სექტორებად დაყოფილ წრეს ნარმოადგენს. თითოეული სიდიდის შეფარდებითი მნიშვნელობა გამოისახება სექტორით, რომლის ფართობი მნიშვნელობათა საერთო ჯამში ამ მნიშვნელობის ხვედრით წილს შეესაბამება.

ჰისტოგრამა, ანუ სვეტოვანი დიაგრამა – დიაგრამის ტიპი, რომელიც სხვადასხვა სიმაღლის (სიგრძის) ვერტიკალური ან ჰორიზონტალური სვეტებისგან შედგება. ამ სვეტების სიმაღლე სიდიდეთა გარკვეულ მნიშვნელობებს შეესაბამება, რაც მათი შედარების საშუალებას იძლევა.

ელექტრონული ცხრილის ერთ სვეტში ან სტრიქონში განლაგებულ მონაცემებს მონაცემთა რიგს (მნიშვნელი) უწოდებენ. დიაგრამის აგებისას აუცილებელია ჯერ მონაცემთა რიგის გამოყოფა, შემდეგ კი დიაგრამის ტიპის არჩევა. დიაგრამა არის რთული ობიექტი, რომლის შემადგენელი ელემენტებია: რიგი, ლერძი, სათაური, ლეგენდა, დიაგრამის აგების უბნები.




დიაგრამა შეიძლება აიგოს ელექტრონული ცხრილის როგორც ერთი, ისე რამდენიმე რიგის მიხედვით. უჯრების მონიშვნული დიაგრამისთვის დიაგრამის აგება მონაცემთა რამდენიმე რიგის მიხედვით წარმოებს. ამ შემთხვევაში თითოეულ რიგად მონიშვნული დიაპაზონის შესაბამის სტრიქონს ან სვეტს იღებენ. სათაურად მომზმარებლის მიერ მოწოდებული ტექსტი ითვლება, რომელსაც, როგორც წესი, თიაგრამის ზედა ნაწილში ათავსებენ. დიაგრამის გამოტანისას შეიძლება დაემატოს ლეგენდა – რიგების დასახელების სია (ცვლადების აღნიშვნები). აგების ველები, რომლებიც ლერძებითაა შემოსაზღვრული, მონაცემთა რიგების განსათავსებლადაა განკუთვნილი. შედეგების ანალიზის გასაადვილებლად აგების უბანზე ბადის დატანა შეიძლება.


დანართის უპირვესობა

დიაგრამა
ხაზოვანი დიაგრამა
ნრიული დიაგრამა
ჰისტოგრამა
ლეგენდა


- გახსენით ელექტრონული ცხრილის ფაილი „აზერბაიჯანის მოსახლეობა“;
- ცხრილის საფუძველზე დიაგრამის ასაგებად მონიშნეთ უჯრების დიაპაზონი A3:14.
- მენიუ Insert-ის ბლოკ Chart-ში დააწერეთ ლილაკ Pie-ზე. შედეგად პროგრამა შემოგთავაზებთ წრიული დიაგრამების სხვადასხვა ტიპს;



- აირჩიეთ პირველი ვარიანტი. სამუშაო ველში პატარა ჩარჩოში აიგება წრიული დიაგრამა. თუ დიაგრამის მარჯვენივ მოთავსებული ლეგენდა სრულად არ ჩანს, შეგიძლიათ გაჭიმოთ ჩარჩო მანამდე, სანამ ლეგენდა მთლიანად არ გამოისახება;
- პარალელურად ინსტრუმენტების პანელზე დიაგრამის მაკეტისა და სტილის შესაძლო ვარიანტები გამოჩენდება; აირჩიეთ პირველი მაკეტი (Layout 1) და მეათე სტილი (Style 10);



- დიაგრამის ყოველ სექტორში მითითებული იქნება ასაკობრივი ჯგუფი და მისი ხელი რიცხვითი წილი (პროცენტებში) მოსახლეობის საერთო რიცხვში. დააწერეთ სათაურზე: „მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი ადამიანი)“ და ამ ველში შეიტანეთ ტექსტი: „აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხობრივი განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2015 წლის დანართისთვის)“.



- დაარქვით ფაილს შესაბამისი სახელი და შეინახეთ იგი.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად


შეადარეთ ბოლო დიაგრამის პროცენტული მნიშვნელობები იმ მნიშვნელობებს, რომელიც გაცვეთილის დასაწყისში მოცემული ცხრილის პირველ სტრიქონში (მოსახლეობის რაოდენობა, ათასი ადამიანი) არის წარმოდგენილი.

ესამოვავ შენი ცოდნა




- რა ობიექტებისგან შედგება დიაგრამა?
- დიაგრამების რომელი ძირითადი ტიპები არსებობს ელექტრონულ ცხრილებში?
- შეადგინეთ შემდეგი ცხრილი და მისი შესაბამისი დიაგრამა;

A	B	C
ოცუანებები		
სახულისაფარებელი	ფართობი მლნ. კვ. კმ	მოცულობა მლნ. კუბ. კმ
ნეტი	178,6	710,4
ატლანტიკის	91,6	329,7
ინდონეზიის	76,2	282,6
ჩინუ. ყანელობარი	14,8	18,1



- გადახედეთ დიაგრამებს და უასუხეთ შეკითხვებს:
 - რა ინფორმაციაა ასახული დიაგრამებზე? როგორ გაიგეთ ეს?
 - როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის ცხრილის სახით წარმოდგენა?
 - ყველაზე მეტად რა აინტერესებთ მოზარდებს?



შემაჯამახებელი კითხვები და დავალებები

1. როგორ გესმით ცნება „ტექსტური დოკუმენტის ობიექტები“?
2. როგორ განვათავსოთ ნახატი ტექსტის მიმართ სხვადასხვა ადგილას?
3. ახსენით მოცემული ღილაკების დანიშნულება.



4. როგორ მივუთითოთ მთელ მულტიმედიურ პრეზენტაციაში სლაიდიდან სლაიდზე გადასვლის ერთნაირი ეფექტი?
5. რა განსხვავებაა შეფარდებით, აბსოლუტურ და შერეულ მისამართებს შორის?
6. რა უნდა ჩავწეროთ ელექტრონული ცხრილის E3 უჯრაში ოთახის მოცულობის გამოსათვლელდ?

	A	B	C	D	E
1					
2	სიგრძე		7	მეტრი	
3	სიგანე		3,5	მეტრი	V
4	სიმაღლე		3,5	მეტრი	

7. მოცემულია ელექტრონული ცხრილის ფრაგმენტი. უჯრა C1-ში ჩაწერილია ფორმულა =A1-\$BS1. განსაზღვრეთ მონაცემთა მნიშვნელობა C2 და C3 უჯრებში მათში C1უჯრიდან ფორმულის დაკოპირების შემდეგ.

	A	B	C
1	117	29	
2	98	-12	
3	45	23	

8. დიაგრამების რომელი ტიპის გამოყენება მიგაჩნიათ მიზანშეწონილად წლის თითოეულ თვეში მზიანი დღეების რაოდენობის საჩვენებლად?

4

ՀԱՅՐՈՑՐԱԹԵՎԱ

14. ՌՈՒՅՈՒՅՆԵՐԻ ԹԱՐԱԾՈՅԻ
15. ՍԳՐՈՂՈՆԵՐԻ
16. ՏՈՂԵՐԻ
17. ՊԱՐԱԿԱՆԱԿԱՆ ԱՐԴՅՈՒՆԱԴՐՈՒԹՅՈՒՆ
18. ՀԱՅՐՈՑՐԱԹԵՎԱ ԵՆԵՐԵՎԱՆ ԿՐՈՆԱԿԱՐԱՎՈՐՈՒՄ

14

რიცხვებზე მუშაობა



- რა არის პროგრამა?
- დაპროგრამების ენა Python-ის რომელ ოპერატორებს იცნობთ?

საქმიანობა

1

გაეცანით პროგრამის მოცემულ ფრაგმენტს Python-ის ენაზე და განსაზღვრეთ, რას აკეთებს იგი. კომპიუტერში შესრულების გარეშე დაადგინეთ, რა მნიშვნელობას მიიღებს ი ცვლადი პროგრამის დასასრულს.

```
i = 1
while i <= 10:
    print(i*i)
    i = i + 1
```

ვიმსჯელოთ:

- რატომ წერია ოპერატორი `print` და ოპერატორი `while` სხვადასხვა დონეზე?
- როგორი იქნებოდა | ცვლადის საბოლოო მნიშვნელობა, სტრიქონი `i=i + 1` ოპერატორ `while`-ის დონეზე რომ ეწეროს?

Python-ის დაპროგრამების ენაზე პროგრამული კოდი ჩვეულებრივი ტექსტური ფაილია. ეს ფაილი ასოების, ციფრების, შუალედების (ინტერვალების), სასვენი ნიშნებისა და სხვა სიმბოლოებისგან შედგება. ტექსტი სტრიქონებად იყოფა. Python-ის ყველა ოპერატორი რამდენიმე სტრიქონზე შეიძლება ჩაიწეროს. ოპერატორის რამდენიმე სტრიქონზე დასაწერად სიმბოლო `" - "`-ს იყენებენ.

რამდენიმე ხნის წინ დაწერილი პროგრამის ტექსტის მოგვიანებით რომ დავუბრუნდეთ, გაგვიჭირდება იმის გახსენება, თუ რას აკეთებს ამ პროგრამის ესა თუ ის ნაწილი. იმისათვის, რომ პროგრამის დეტალები გვახსოვდეს და იგი სხვებისთვისაც გასაგები იყოს, მიზანშეწონილია მის განსაზღვრულ ადგილებში **კომენტარების** განთავსება. კომენტარი პროგრამის წამკითხველისთვის განკუთვნილი განმარტებაა. კომენტარებში შეიძლება ალინიშნოს, რა მიზნით შეიქმნა პროგრამა, ვინ არის მისი შემქმნელი, როდის შეიტანეს მასში ცვლილებები, რა დანიშნულება აქვს პროგრამაში არსებულ ფუნქციებს.

Python-ის ენაზე კომენტარები სიმბოლო `"#"`-ის შემდეგ იწერება. პროგრამის მანქანურ კოდზე გადაყვანისას კომენტარებს არ ითვალის-

წინებენ. ამიტომ, როდესაც პროგრამის რომელიმე ნაწილის „გაყინვის“ აუცილებლობა ჩნდება, მას კომენტარის სახით აღნიშნავენ.

Python-ის ენაზე დაწერილი პროგრამის ლოგიკურად შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის სტრუქტურასა და აპზაცებს სტრიქონის დასაწყისში. აპზაცი იპერატორების ჯგუფებად გაერთიანებისთვის გამოიყენება. ოპერატორების ჯგუფი ზოგჯერ სხვა ჯგუფის შემადგენლობაში შედის და რაც უფრო ღრმად შედის მასში, მით უფრო დიდია აპზაცი. გაითვალისწინეთ, რომ ოპერატორების ერთი ჯგუფის ფარგლებში აპზაცი ერთნაირი უნდა იყოს.

თქვენ უკვე იცნობთ რიცხვით სიდიდეებსა და არითმეტიკულ იპერაციებს Python-ის ენაზე. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მათ.

დაგენერივალი

კომენტარი
აპზაცი
არითმეტიკული ოპერაცია
შედარების ნიშნები

იპერაცია	ალტერნატივურად
$x + y$	შეერება (x და y რიცხვების ჯამი)
$x - y$	გამოკლება (x და y რიცხვების სხვაობა)
$x * y$	გამრავლება (x და y რიცხვების ნამრავლი)
x / y	გაყოფა (x და y რიცხვების განაყოფი, ნილადი)
$x // y$	ნაშთიანი გაყოფა (განაყოფი – მთელი რიცხვი)
$x \% y$	ნაშთი, რომელიც x და y რიცხვების გაყოფის შედეგად მიიღება
$x ** y$	ახარისხება (x , ხარისხად y)
$-x$	რიცხვის ნიშნის შეცვლა

პირობის ჩასაწერად პროგრამაში შედარების ნიშნებს იყენებენ. ცხრილში ნაჩვენებია ამ ნიშნების ჩანაწერი ALPLogo-სა და Python-ის ენებზე: ყურადღება მიაქციეთ ისეთი ნიშნების ჩანაწერს, როგორებიცაა „უდრის“ და „არ უდრის“, ვინაიდან მათი არასწორად გამოყენება პროგრამულ შეცდომებს იწვევს.

ALPLogo	Python	ალტერნატივურა
=	==	უდრის
<>	!=	არ უდრის
>	>	მეტია
<	<	ნაკლებია
>=	>=	მეტია, ანდა ტოლი
<=	<=	ნაკლებია, ანდა ტოლი

რიცხვის ციფრებად დამოა. როგორც იცით, ნებისმიერი რიცხვის 10-ზე გაყოფისას მიღებული განაყოფი განსაზღვრავს ამ რიცხვის ერთეულის თანრიგის ციფრს, მაგალითად, თუ n რიცხვის ერთეულის თანრიგის ციფრი a -ს ტოლია, მაშინ $a = n \% 10$

გასაგებია, რომ თუ ბოლო ციფრს მოვაშორებთ, მაშინ მიღებული ახალი რიცხვის ბოლო ციფრი სანუისი რიცხვის ათეულების თანრიგის ციფრი იქნება.

ამ ოპერაციის მეშვეობით, ახალი რიცხვის ბოლო ციფრის მოშორებით საწყისი რიცხვის ათეულის ციფრს ვიღებთ. ამ გზით ნებისმიერი რიცხვის ციფრების განსაზღვრა შეიძლება. რიცხვის ბოლო ციფრის (ბოლო თანრიგის) მოსაშორებლად, ის უნდა გავყოთ 10 -ზე და ავიღოთ მისი მთელი ნაწილი, ანუ მთელი რიცხვების გაყოფით (//) ვისარ-გებლოთ, მაგალითად, თუ რიცხვის ბოლო ციფრის მოშორებით მიღება $m = n // 10$

საქმიანობა

2

აკრიფეთ პროგრამა Python-ის გარემოში და შეასრულეთ იგი.

```
n = input('შეიყვანეთ ორნიშნა მთელი რიცხვი: ')
n = int(n)
if n > 9 and n < 100:
    a = n % 10
    b = n // 10
    s = a + b
    p = a * b
    print('ციფრების ჯამი =', s)
    print('ციფრების ნამრავლი =', p)
else:
    print('რიცხვი არასწორადაა შეყვანილი')
ვისჯელოთ:
```

- რას აკეთებს პროგრამა?
- სხვადასხვა რიცხვების შეყვანით შეამოწმეთ, სწორად მუშაობს კომპიუტერი თუ არა.
- ჩანერეთ `print`-ის ოპერატორები იმავე დონეზე, სადაც ოპერატორი `if` წერია და ყურადღება მიაქციეთ, როგორ შეიცვლება პროგრამის შესრულების შედეგი.

მაგალითი

რიცხვის ციფრების ჯამისა და ნამრავლის პოვნა. მოცემულია მთელი დადებითი რიცხვი. უნდა ვიპოვოთ მისი ციფრების ჯამი და ნამრავლი.

ამოხსნა. აღნიშნოთ პირობითად მოცემული რიცხვი n ცვლადით, მისი ციფრების ჯამი – s ცვლადით, ციფრთა ნამრავლი – p ცვლადით. მაშინ ამოცანის აღმრითმი შეგვიძლია ჩავწეროთ ასე:

აღმრითმი:

1. მივანიჭოთ s ცვლადს საწყისი მნიშვნელობა 0 ;
2. მივანიჭოთ p ცვლადს საწყისი მნიშვნელობა 1 ;
3. სანამ n ნულზე მეტია,

ვიპოვოთ ნაშთი, რომელიც მიღება n -ის 10 -ზე გაყოფით (რიცხვის ბოლო ციფრი), მივუმატოთ ის ჯამს და გავადიდოთ ნამრავლი.

თუ რიცხვის ბოლო ციფრის (თანრიგის) მოსაშორებლად გავყოთ ის 10 -ზე ნაშთით.

```
n = input('შეიყვანეთ რიცხვი: ')
n = int(n)
s = 0
p = 1
while n > 0:
    q = n % 10
    s = s + q
    p = p * q
    n = n // 10
print('ციფრების ჯამი =', s)
print('ციფრების ნამრავლი =', p)
```

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გაეცანით პროგრამას და გაარკვიეთ, რისთვის არის ის განკუთვნილი. მეორე სტრიქონში მოცემული ფუნქცია `abs()` რიცხვის მოდულის პოვნას ემსახურება. როგორც მათემატიკიდან იცით, რიცხვის მოდული მისი მნიშვნელობაა, ნიშნის გარეშე, მაგალითად:

$$\text{abs}(4) = 4, \text{abs}(-4) = 4.$$

```
m = int(input('შეიყვანეთ სამნიშნა მთელი რიცხვი: '))
n = abs(m)
a = (n // 100) % 10
b = (n // 10) % 10
c = n % 10
k = 100 * c + 10 * b + a

if m < 0:
    print(-k)
else:
    print(k)
```

ნებისმიერი დადებითი და უარყოფითი სამნიშნა რიცხვის შეყვანით შეამონეთ პროგრამის მუშაობის სისწორე.

შეამონეთ განვითარეთ კოდი

1. როგორ კეთდება კომენტარები Python-ის დაპროგრამების ენაზე?
2. მოცემულია ორნიშნა მთელი რიცხვი. გამოიტანეთ რიცხვის პირველი ციფრი მარცხნიდან (ათეული), ორი ინტერვალის შემდეგ კი – ციფრი მარჯვნიდან (ერთეული).
3. გამოიტანეთ მოცემული ნატურალური რიცხვის მარჯვნიდან მესამე ციფრი.
4. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს მოცემული რიცხვის 3-ზე გაყოფადობას.
5. ჩაწერეთ ქვემოთ მოცემული ალგორითმი პროგრამის სახით Python-ის ენაზე.
 - შეიყვანეთ ნებისმიერი ორნიშნა რიცხვი;
 - გაამრავლეთ იგი თავის თავზე;
 - მიუმატეთ მიღებული რიცხვი შეყვანილი რიცხვის 4-ზე ნამრავლს;
 - მიღებულ შედეგს მიუმატეთ რიცხვი 3;
 - გაყვით მიღებული შედეგი რიცხვზე, რომელიც შეყვანილ რიცხვზე 3-ით მეტია;
 - გამოაკელით თქვენ მიერ შერჩეული რიცხვი მიღებულ განაყოფს;
 - გამოიტანეთ შედეგი ეკრანზე.



- რას ნიშნავს მონაცემთა სტრიქონული ტიპი პროგრამირებაში?
- როგორ განვასხვაოთ ციფრებისგან შედგენილი სტრიქონი რიცხვებისგან Python-ის ენაზე?

საქმიანობა

აკრიფეთ და შეასრულეთ პროგრამა Python-ის გარემოში.

```
s1 = 'ა'
s2 = 'ლ'
s3 = 'პ'
print (s1 + s2 + s3)
print ("ა", "ლ", "პ")
```

ვიმსჯელოთ:

- რა ტიპის სიდიდეებია გამოყენებული პროგრამაში?
- ერთნაირია თუ არა შედეგი ორივე ოპერატორ `print`-ში? თუ არა, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ერთნაირი შედეგი მივიღოთ?

ასეთი დარღვევა

სტრიქონი
ცარიელი სტრიქონი
ინდექსი
სტრიქონის სიგრძე
მეთოდი

Python-ის ენაში მონაცემთა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული ტიპია სტრიქონი. სტრიქონი ნებისმიერი სიმბოლოების თანამიდევრობაა. ის, ჩვეულებრივ, ერთმაგ ბრჭყალში ისმება (*), მაგრამ ზოგიერთი სტრიქონის გამოყოფა ჩვეულებრივი ბრჭყალებითაც შეიძლება, მაგალითად, „ეს ნიმუშია“, „ცოდნა ძალაა“. სტრიქონი შეიძლება შედგებოდეს ასოების, ციფრებისა და სხვა სიმბოლოების, მათ შორის, შუალედების-განაც. სტრიქონი შეძლება მიენიჭოს ცვლადს, მაგალითად:

`a = 'აზერბაიჯანის', b = 'რესპუბლიკა'`

როგორც რიცხვებზე, ისე სტრიქონებზეც, გარემოული მოქმედებების ჩატარება შეიძლება, მაგალითად, ორი სტრიქონის შეკრებისას წარმოიქმნება მათი „შეწებებისგან“ მიღებული სტრიქონი.

```
>>> c = a + b
>>> print(c)
```

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

```
>>> c = a + 'დემოკრატიული' + b
>>> print(c)
```

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა

ყოველ სიმბოლოს, სტრიქონში მისი ადგილმდებარეობის მიხედვით, თავისი რიგითი ნომერი გააჩნია. ამ ნომრით ადვილად შეიძლება სიმბოლოს პოვნა სტრიქონში, ან მისი ამოჭრა სტრიქონიდან. Python-ის ენაზე სიმბოლოთა ნუმერაცია 0-დან იწყება. მეორე სიმბოლოს ნომერი იქნება 1, მესამისა – 2 და ა.შ. პროგრამირებაში ნომერს **ინდექსი** ეწოდება. ინდექსით შესაძლებელია სტრიქონის კონკრეტული სიმბოლოს განსაზღვრა, მაგალითად:



გვიდო ვან
როსუმი
(1956)

Python-ის ენის
შემქმედი

```
>>> a = 'აზერბაიჯანი'
>>> a[4]
'i'
```

რომ ინდექსით შეიძლება სტრიქონის ფრაგმენტის გამოყოფა, რომელ-საც სტრიქონის კვეთს უწოდებენ.

```
>>> a[0:4]
'აზერ'
```

როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ დიაპაზონის მეორე ინდექსად მითითებულია რიცხვი 4, ამ პოზიციაზე მდგომი სიმბოლო სტრიქონის კვეთში არ შედის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეორე ინდექსის პოზიციაზე მდგომი სიმბოლო არასდროს შედის სტრიქონის კვეთში. დიაპაზონის მონიშვნისას მისი ერთი ინდექსი შეიძლება არ მიუთითონ. თუ კვეთში ერთი ინდექსი გამოტოვებულია, Python ავტომატურად ამოჭრის სტრიქონს ნულოვანი სიმბოლოდან. თუ მეორე ინდექსია გამოტოვებული, მაშინ კვეთში სტრიქონის დასასრულამდე ყველა სიმბოლო ხვდება.

```
>>> a[:5]
'აზერბ'
>>> a[7:]
'ანი'
```

სტრიქონის სიგრძეში იგულისხმება სტრიქონში შემავალი ყველა სიმბოლოს რაოდენობა, შუალედების ჩათვლით. სპეციალური ფუნქციის, len()-ის დახმარებით, შესაძლებელია სტრიქონის სიგრძის განსაზღვრა.

```
>>> len(a)
11
```

როგორც იცით, პროგრამის მუშაობის დროს მასში გამოყენებული ყველა მონაცემი კომპიუტერის ოპერაციულ მეხსიერებაში ინახება. სხვა მოწყობილობებში განთავსებულ მონაცემებს პროგრამა ისე აღიქვამს, როგორც **გარეს**. გარე მონაცემების მიღების პროცესს შეტანა ეწოდება, ხოლო მონაცემების გარე მონწყობილობებზე გადატანას – გამოტანა. როგორც რიცხობრივი, ისე სტრიქონული სიდიდეების კლავიატურიდან შესატანად გამოიყენება ფუნქცია `input()` - ეს ფუნქცია შეტანილ სიდიდეს სტრიქონად აღიქვამს. მაგალითად, ბრძანება `=input()`-ის მეშვეობით კლავიატურიდან რიცხვ 123-ის შეტანისას ცვლად `a`-ს ენიჭება არა 123-ის, არამედ '123'-ის მნიშვნელობა. ამიტომ ზოგჯერ საჭირო ხდება სიდიდის ერთი ტიპის მეორით შეცვლა.

Python-ის ენას, ისევე როგორც დაპროგრამების სხვა ენებს, სიდიდეთა ერთი ტიპიდან მეორეში გადასაყვანად ფუნქციები გააჩნია,

მაგალითად, რიცხვითი სიდიდის სტრიქონულში გადასაყვანად ფუნქცია `str()`-ს იყენებენ, ხოლო სტრიქონული სიდიდის რიცხვითში გადასაყვანად – ფუნქცია `int()`-ს.

```
>>> int('123')    >>> str(123)
123                '123'
```

Python-ში მონაცემების დასაბეჭდად, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ გამოსატანად, ფუნქცია `print()` გამოიყენება. ამ ფუნქციის დამარტინი შესაძლებელია ეკრანზე არა მარტო ტექსტების, არამედ ცვლადების მნიშვნელობათა გამოტანაც.

```
>>> a = 14
>>> print('მოპანი', a, 'ნლისაა')
მოპანი 14 ნლისაა
```

ამ მაგალითში ფუნქცია `print()` ყველა მონაცემს საბეჭდად ერთ სტრიქონში უშვებს, მათი ერთმანეთისგან გამოსაყოფად კი შუალედს იყენებს. მნიშვნელობათა გამოსაყოფად სხვა საშუალებებიც არსებობს, მაგალითად, გამოტანილ მნიშვნელობათა ერთმანეთისგან გასაცალკევებლად სიმბოლოს სახით შეიძლება მძიმის ან დეფისის დასმა. გამაცალკევებლად გამოყენებული სიმბოლო პარამეტერ `sep` -ის მეშვეობით აღინიშნება (მაგალითად, `sep = '-'`). თუ მითითებულია `sep = '\n'`, მაშინ თითოეული მნიშვნელობა ახალი სტრიქონიდან დაიბეჭდება.

```
>>> a = 14
>>> print('მოპანი', a, 'ნლისაა', sep='\n')
მოპანი
14
ნლისაა.
```

შევისწავლით დამოუკიდებლად

```
s = input()
print(s[2])
```

„პროგრამის ეს ფრაგმენტი ალგორითმის პირველ ორ ნაბიჯს შეესაბამება. მიაწერეთ ამ ალგორითმის ოპერატორები.

ალგორითმი

1. კლავიატურიდან სიმბოლოთა ნებისმიერი სტრიქონის შეტანა.
2. შეტანილი სტრიქონის მესამე სიმბოლოს გამოტანა.
3. სტრიქონის უკანასკნელი სიმბოლოს გამოტანა.
4. სტრიქონის პირველი ხუთი სიმბოლოს გამოტანა.
5. სტრიქონის ყველა სიმბოლოს გამოტანა, ბოლო ორის გარდა.
6. სტრიქონის წყვილინდექსიანი სიმბოლოების გამოტანა.
7. სტრიქონის კენტინდექსიანი სიმბოლოების გამოტანა.
8. სტრიქონის სიგრძის გამოტანა.

როგორ იცით, ნებისმიერ ობიექტს აქვს განსაზღვრული მახასიათებლები. ინფორმატიკაში არჩევენ ობიექტის ორი სახის მახასიათებლებს: ობიექტების თვისებებს და ობიექტის მეთოდებს.

დაპროგრამების ენაზე ნებისმიერი ობიექტის მეთოდის საჩვენებლად სპეციალურ ჩანაწერს იყენებენ: კერ წერენ ობიექტის სახელს, შემდეგ კი

- მეთოდს. მათ შორის წერტილი იწერება (მაგალითად, `s1.upper()`, `s.find('a', 5, 10)`). Python-ის ენაზე სტრიქონები ობიექტებად აღიქ- მება და, როგორც ყოველ ობიექტს, მათაც თავიანთი მეთოდები გააჩნია. ყველაზე ხშირად მეთოდი `find` გამოიყენება. ეს მეთოდი მითითებულ სტრიქონში ქვესტრიქონის მოსაძებნად გამოიყენება. თუ ქვესტრიქონი მოიძებნება, მეთოდი `find` ქვესტრიქონის პირველი ჩართულის პირველი სიმბოლოს ინდექსს დააბრუნებს. თუ ქვესტრიქონი არ მოიძებნება, მეთოდი დააბრუნებს მნიშვნელობა `-1`-ს, მაგალითად:

```
>>>S = 'არცოდნა სირცხვილი არ არის, სირცხვილი არსწავლაა'.
```

```
>>>print(S.find('სწავლა'))
```

```
39
```

```
>>>print(S.find('ცო'))
```

```
3
```

```
>>>print(S.find('წიგნი'))
```

```
-1
```

მეთოდ `find`-ს სხვა პარამეტრებიც შეიძლება ჰქონდეს. თუ გამოვი- დახებთ `find`-ს სამი პარამეტრით `S.find(T, a, b)`, მაშინ ძებნა ქვესტრიქონ `S[a:b]` -ში განხორციელდება. მეთოდი `S.find(T, a, b)` ქვესტრიქონ `T`-ს პირველი ჩართულის პირველი სიმბოლოს ინდექსს `S` სტრიქონში დააბრუნებს.

```
>>>print(S.find('o', 5, 10))
```

```
8
```

გაგალითი

შეადგინეთ პროგრამა, რომელშიც კლავიატურიდან თქვენი გვარი და სახელი შედის, ხოლო გამოტანით, პრიქით გამოდის: ჯერ სახელი, მერე – გვარი.

პროგრამაში გამოყენებული ცვლადების აღწერა:

`s` – შესაყვანი სტრიქონი;

`lastname, firstname` სტრიქონის პირველი და მეორე სიტყვა; `k` – სიტყვებს შორის შუალედის პოზიცია.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმი:

1. პროგრამა შეიტანს სტრიქონს;
2. მეთოდ `find`-ის დახმარებით განისაზღვრება სიტყვებს შორის შუალედის პოზიცია;
3. სტრიქონის ნაწილი, დასაწყისიდან შუალედამდე, ენიჭება ცვლად `lastname`-ს;
4. სტრიქონის ნაწილი, შუალედის შემდგომი პოზიციიდან ბოლომდე, ენიჭება ცვლად `firstname`-ს;
5. წარმოიქმნება ახალი სტრიქონი, რომელიც შედგება მეორე სიტყვის (`firstname`-ს), შუალედისა და პირველი სიტყვისაგან;
6. ახალ სტრიქონს პროგრამა ბეჭდვაზე გამოიტანს.

```
s = input()
```

```

p = s.find(' ')
lastname = s[:p] # პირველი სიტყვა – გვარი
firstname = s[p + 1:] # მეორე სიტყვა – სახელი
s = firstname + ' ' + lastname
print(s)

```

ობიექტ „სტრიქონს“ სხვა მეთოდებიც გააჩნია. ისინი ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მოყვანილი.

მეთოდი	აღწერა
s1.count(s0)	განსაზღვრავს ქვესტრიქონ s0-ის სტრიქონ s1-ში ჩართულობის სიმძირეს. <pre>>>>s1 ='abrakadabra' >>>s1.count('ab') 2</pre>
s1.strip()	შლის შუალედებს სტრიქონის დასაწყისსა და ბოლოში, მაგალითად: <pre>>>> s1 = ' abc ' >>> s1.strip() 'abc'</pre>
s1.replace(s2, s3)	სტრიქონის ფრაგმენტ s2-ს ჩაანაცვლებს ფრაგმენტ s3-ით, მაგალითად: <pre>>>>s1 = 'ყირგიზეთი ' >>> s1.replace('ყირგიზ', 'ყაზახ') 'ყაზახეთი'</pre>
s1.capitalize()	პირველ ასოს მთავრულ ასოდ გარდაქმნის, მაგალითად: <pre>>>>s1 = 'ყურადღებით!' >>>s1.capitalize() 'ყურადღებით!'</pre>
s1.upper()	სტრიქონის ყველა ასოს მთავრულ ასოებად გარდაქმნის, მაგალითად: <pre>>>> s1 = 'ჰუსარი გუბა ხაჩმაზი ' >>> s1.upper() 'ჰუსარი გუბა ხაჩმაზი'</pre>
s1.lower()	სტრიქონის ყველა ასოს არამთავრულ ასოებად გარდაქმნის, მაგალითად:: <pre>>>>s1 = 'ცისფერი-მენამული- ყვითელი-შავი ' >>> s1.lower() 'ცისფერი-მენამული- ყვითელი-შავი '</pre>

შეამონეთ შენი ცოდნა

- რა არის სტრიქონი?
- რას გულისხმობს პროგრამაში შეტანისა და გამოტანის ოპერაციები? რა ფუნქციებითაა ისინი წარმოდგენილი Python-ში?
- რა არის მეთოდი?
- შეადგინეთ პროგრამა, რომელსაც სიტყვის შემადგენელი ასოები უკუღმა თანამდევრობით გამოაქვს.
- გამოიტანეთ ეკრანზე სიმბოლო, რომელიც სტრიქონის შუაში მდებარეობს. თუ სიმბოლოთა რაოდენობა კენტია, მაშინ ორი სიმბოლო გამოიტანეთ.

16 სივრცი



- როგორ იქმნება მარკირებული და დანომრილი ცხრილები ტექსტურ რედაქტორში?
- სიის რომელ სახეს ეკუთვნის აյ მოყვანილი შეკითხვები?

საჭიროება

1

```
s = 0
for i in range(1, 101):
    s = s + i
print(s)
```

ვიმსჯელოთ:

- რა მიიღება მოცემული ფრაგმენტის შესრულების შედეგად?
- რა სახის ალგორითმული სტრუქტურა გამოყენებული ამ ფრაგმენტში?
- რას აკეთებს ფუნქცია `range()`?

მრავალრიცხოვანი მონაცემების ერთობლივად შენახვის მიზნით Python-ის ენა ფართოდ იყენებს სიებს. სია არის გარკვეული წესით შენახული ობიექტების ნაკრები. სიის შემადგენელ ობიექტებს მის ელემენტებს უწოდებენ. სიებში შეიძლება რიცხვების, სტრიქონების, სხვა სიების ან ყველაფრის ერთად შენახვა. სიის ყოველ ელემენტს შეესაბამება რიგითი ნომერი (ინდექსი), რომლითაც მას შეიძლება მივმართოთ. ნებისმიერ მომენტში შეიძლება სიის შეცვლა მისთვის ახალი ელემენტების დამატების ან რომელიდაც ელემენტების ნაშლის გზით. Python-ის ენაზე სიის ელემენტები კვადრატულ ფრჩხილებში იწერება და ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა. მაგალითისათვის ქვემოთ მოყვანილია ცვლად `1st`-ში შენახული კვირის დღეების სია.

დაიგანვიზო

სია
სიის ელემენტები
ინდექსი
ნაწილი
ციკლი

```
>>>lst = ['ორშაბათი', 'სამშაბათი', 'ოთხშაბათი', 'ხუთშაბათი',
          'პარასკევი', 'შაბათი', 'კვირა']
```

Python-ის ენაზე სიის ელემენტები ნოლიდან ინორება. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ელემენტ 'ორშაბათი'-ს ნომერი (ინდექსი) 0-ის ტოლია. იმისათვის, რომ მივმართოთ სია `lst` -ის ინდექს `i`-ს, საჭიროა, უბრალოდ, მივუთითოთ `lst[i]`.

```
>>>lst[2]
```

```
'ოთხშაბათი'
```

სიაში ადვილად შეიძლება ნებისმიერი ელემენტის შეცვლა. ამისათვის ელემენტს, რომელსაც შესაბამისი ინდექსი გააჩნია, უბრალოდ, ახალი მიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მინიჭება `lst[i] = x` ცვლის `i` ინდექსის

მქონე ელემენტ Ist-ის მნიშვნელობას x -ით, მაგალითად, პრძანება 1st [3] = ‘მე-4 დღე’-ის შესრულებით კვირის დღეების სიაში შეიცვლება მე-4 ელემენტი (ინდექსით 3).

```
>>>lst[3] = 'მე-4 დღე'
```

```
>>>lst
```

```
[‘ორშაბათი’, ‘სამშაბათი’, ‘ოთხშაბათი’, ‘მე-4 დღე’, ‘პარასკევი’, ‘შაბათი’,  
‘კვირა’]
```

ზოგჯერ საჭირო ხდება არა მთელი სიით, არამედ მისი რაღაც **ნაწილით** (ქვესიით) სარგებლობა. ასე მაგალითად, თუ სია lst-იდან ჩვენთვის აუცილებელია მხოლოდ i-დან j-მდე ინდექსის მქონე ელემენტები, ეს ასე შეიძლება ვაჩვენოთ: lst [i : j] (გაითვალისწინეთ, რომ ელემენტი ინდექსით i შედის ბოლო სიაში, ხოლო ელემენტი ინდექსით j – არა).

```
>>>lst[1:3]
```

```
[‘სამშაბათი’, ‘ოთხშაბათი’]
```

თქვენ გაეცანით ციკლებს როგორც ALPLogo-ს პროგრამულ გარემოში, ისე Python-ში. დაპროგრამებისას, განსაკუთრებით, სიებზე (ბევრ ენაზე ისინი მასიურია), მუშაობის დროს ძალზე მოსახერხებელია ციკლების გამოყენება, მაგალითად, ამ პროგრამის ფრაგმენტის შესრულების დროს.

```
lst = ['ორშაბათი', 'სამშაბათი', 'ოთხშაბათი', 'მე-4 დღე',  
'პარასკევი', 'შაბათი', 'კვირა']
```

```
for s in lst:  
    print(s)
```

კვირის დღეებს პროგრამა შემდეგნაირად გამოიტანს:

```
ორშაბათი  
სამშაბათი  
ოთხშაბათი  
ხუთშაბათი  
პარასკევი  
შაბათი  
კვირა
```

ისეთი სიებისთვის, რომლებიც მხოლოდ რიცხვებისგან შედგება, სპეციალური ფუნქციები არსებობს. მაგალითად, ფუნქცია sum () ითვლის სიის ელემენტების ჯამს.

```
>>>mas = [1, 2, 3, 4]
```

```
>>>sum(mas)
```

10

ცხრილში წარმოდგენილია სიებთან დაკავშირებული ძირითადი ფუნქციები (ოპერაციები) და მათი აღნერილობა.

ფუნქცია ანუ ოპერაცია	აღნერილობა
<code>len(lst)</code>	ადგენს სის ელემენტების რაოდენობას, მაგალითად: <code>>>> lst = [1, 2, 3]</code> <code>>>> len(lst)</code> <code>3</code>
<code>lst1 + lst2</code>	სია <code>lst</code> 2-ის ელემენტები ემატება სია <code>Ist</code> 1-ს ბოლოში, მაგალითად: <code>>>> lst1 = [1, 2, 3]</code> <code>>>> lst2 = ['ერთი', 'ორი', 'სამი']</code> <code>>>> lst1 + lst2</code> <code>[1, 2, 3, 'ერთი', 'ორი', 'სამი']</code>
<code>min(lst)</code>	განსაზღვრავს სის მინიმალურ ელემენტს, მაგალითად: <code>>>> lst1 = [1, 2, 3, 85, -42, 33, 84]</code> <code>>>> min(lst1)</code> <code>-42</code> სტრიქონულ სიდიდეებში საფუძვლად ანბანური მიმდევრობა ითვლება <code>>>> lst2 = ['შვიდი', 'რვა', 'ცხრა']</code> <code>>>> min(lst2)</code> <code>'რვა'</code>
<code>max(lst)</code>	განსაზღვრავს სის მაქსიმალურ ელემენტს, მაგალითად: <code>>>> lst = [1, 2, 3, 85, -42, 33, 84]</code> <code>>>> max(lst)</code> <code>85</code>
<code>del lst[i]</code>	სიიდან შლის ელემენტს ნომრით <code>i</code> , მაგალითად: <code>>>> lst = [1, 2, 3, ['ერთი', 'ორი', 'სამი']]</code> <code>>>> del lst[2]</code> <code>>>> lst</code> <code>[1, 2, ['ერთი', 'ორი', 'სამი']]</code>

სტრიქონის მსგავსად, სიასაც Python-ში თავისი მეთოდები აქვს. ქვემოთ ცხრილში ნაჩერებია ზოგიერთი მეთოდი, რომლებიც ხშირად გამოიყენება სიებზე მუშაობის დროს.

მეთოდი	აღწერილობა
lst.append(x)	სიას ბოლოში ემატება ელემენტი x, მაგალითად: <pre>>>>lst = [1, 2, 3] >>>lst.append(4) >>>lst [1, 2, 3, 4]</pre>
lst.count(x)	განისაზღვრება x-ის ტოლი ელემენტების რიცხვი, მაგალითად: <pre>>>>lst = ['ერთი', 'ორი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.count('ორი') 2</pre>
lst.index(x)	განისაზღვრება ელემენტი x-ის სიაში პირველი ჩართვის ადგილი (ინდექსი), მაგალითად: <pre>>>>lst = ['ერთი', 'ორი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.index('ორი') 1</pre>
lst.remove(x)	შლის პირველ ელემენტს x-ის მითითეული მნიშვნელობით, მაგალითად: <pre>>>>lst = ['ერთი', 'ორი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.remove('ორი') >>>lst ['ერთი', 'ორი', 'სამი']</pre>
lst.insert(i,x)	ჩასვამს სიაში i პოზიციაზე ელემენტ x-ს ან სიას, მაგალითად: <pre>>>>lst = ['ერთი', 'ორი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.insert(2, 'ერთი') >>>lst ['ერთი', 'ორი', 'ერთი', 'ორი', 'სამი']</pre>
lst.sort()	დაახარისხებს სიას ზრდადობის მიხედვით (ალფაბეტის მიხედვით), მაგალითად: <pre>>>>lst = ['ერთი', 'ორი', 'ერთი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.sort() >>>lst ['ერთი', 'ერთი', 'ორი', 'ორი', 'სამი']</pre>
lst.reverse()	დაალაგებს სიის ელემენტებს უკულმა თანამიმდევრობით, მაგალითად: <pre>>>>lst = [1, 2, 3, 'ერთი', 'ორი', 'სამი'] >>>lst.reverse() >>>lst ['სამი', 'ორი', 'ერთი', '3', '2', '1']</pre>

როგორც ხედავთ, Python-ის ენაზე შედგენილი სიები მონაცემთა ძალზე მოსახერხებელი სტრუქტურაა და მათი გამოყენებით სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება.

სტრიქონის სიად გარდასაქმნელად Python-ის ენაში ფუნქცია `list()`-ს იყენებენ, მაგალითად:

```
>>>s = 'სტრიქონი'
>>>lst = list(s)
>>>lst
['ს', 'ტ', 'რ', 'ი', 'ქ', 'ო', 'ნ', 'ი']
```

გავეცნოთ კიდევ ორ მეთოდს, რომლებსაც ხშირად იყენებენ ამოცანების ამოხ-სნის დროს. ერთი მათგანია მეთოდი `join()`. ეს მეთოდი სიის ელემენტებს შორის მითითებულ სტრიქონს სვამს და ერთ სტრიქონს ქმნის (ანუ ამ სტრიქონის მეშვეობით სიის ელემენტები ერთიანდება). გთავაზობთ მაგალითს:

```
>>>lst = ['1', '2', '3']
>>>s = '---'.join(lst)
>>>s
'1---2---3'
```

ამ მეთოდის საპირისპიროდ, მეთოდი `split()` ყოფს სტრიქონს მოცემული გამყოფი სიმბოლოს დახმარებით და ნაწილებისგან ქმნის სიას.

```
>>>s = '12 34 56'
>>>lst = s.split(' ')
# გამყოფი სიმბოლო
>>>lst
['12', '34', '56']
```

გაგალითი

მართლწერის წესების თანახმად, ტექსტში მძიმეს ყოველთვის შუალედი მოსდევს. ქვემოთ მოცემული პროგრამა პოულობს მოყვანილ ტექსტში ამ ტიპის შეცდომებს და ასწორებს მათ. შეამოწმეთ პროგრამის მუშაობა.

პროგრამაში გამოყენებული ცვლადების აღწერა

`s` – შესატანი ტექსტი;
`lst` – ტექსტის შესატყვისი სია;

`i` – სიის ელემენტების ინდექსი.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმი

1. პროგრამა შეიტანს ტექსტს (სტრიქონს);
2. ფუნქცია `list()`-ის დახმარებით სტრიქონი სიად გარდაიქმნება;
3. სიის ყველა ელემენტი, თავიდან ბოლომდე, სათითად მონმდება. თუ ელემენტი, რომელიც მოსდევს ელემენტს, რომლის სიმბოლოა ‘ ’, შუალედი არ არის, მაშინ სიის ამ ელემენტის შემდეგ ემატება ახალი ელემენტი – შუალედი;
4. ახალი სია სტრიქონად გარდაიქმნება;
5. პროგრამა გამოიტანს სახეშეცვლილ ტექსტს.

```

s = input('შეიტანეთ ტექსტი:')
lst = list(s)

i = 0
while i < len(lst):
    if (lst[i] == ',' and lst[i+1] != ' '):
        lst.insert(i+1, ' ')
    i = i + 1

s = ''.join(lst)
print(s)

```

შევისწოდო დამოუკიდებლად

გამოიყენეთ ფუნქციები `list()` და `count(x)` და დაწერეთ პროგრამა, რომელიც მოცემულ ტექსტში ასო 'ა'-ს რაოდენობას გამოითვლის.

სიის შემადგენელ ობიექტებს მის ელემენტებს უწოდებენ. სიებში შეიძლება რიცხვების, სტრიქონების, სხვა სიების ან ყველაფრის ერთად შენახვა. სიის ყოველ ელემენტს შეესაბამება რიგითი ნომერი (ინდექსი), რომლითაც მას შეიძლება მივმართოთ.

შეამოხე შეიძლება?

1. რა არის სია და რა სიდიდეები შეიძლება იყოს მისი ელემენტები?
2. რა მოქმედებების შესრულება შეიძლება სიებზე?
3. გამოიყენეთ ფუნქციები `range()` და `list()` და 1-დან 100-მდე რიცხვებისგან შეადგინეთ სია.
4. დაწერეთ პროგრამა, რომელსაც შეუძლია, აღმოაჩინოს ტექსტში, სად არ არის დასმული სასვენი ნიშნების შემდეგ შუალედები და გაასწოროს ეს შეცდომები;
5. დაწერეთ პროგრამა, რომელსაც შეუძლია, მოცემულ სტრიქონში მოძებნოს ყველაზე გრძელი და ყველაზე მოკლე სიტყვა.

17

ფუნქცია



- რა არის ქვეპროგრამა და რა უპირატესობას ანიჭებს ის პროგრამისტს?
- რა ფუნქციას ასრულებს ბრძანება `input()`?

საპირაოება

1

გადახედთ მოცემულ პროგრამულ კოდს და დაადგინეთ, რა ამოცანის შესრულებისთვისაა ის განკუთვნილი.

```
n = abs(int(input()))
a = (n // 100) % 10
b = (n // 10) % 10
c = n % 10
print(a, b, c)
```

ვიმსჯელოთ:

- როგორ აღვწეროთ სიტყვებით ბრძანებათა თანამიმდევრობა პირველ სტრიქონში?

პროგრამისტებს შეუძლიათ, გაიგონ რამდენიმე ასეული სტრიქონისგან შედგენილი პროგრამული კოდი. მაგრამ რაც მეტი სტრიქონია პროგრამაში, მით უფრო რთულია მისი გაგება. მაშინაც კი, როდესაც ყოველი ოპერატორის ფუნქცია ნათელია, ასეთ პროგრამებში ძნელი განსასაზღვრია, რა მიზნითაა გამოყენებული მოცემულ ადგილას ესა თუ ის მათგანი. ასეთ პროგრამებში ცვლილებების შეტანა და შეცდომების განსრულებაც საკმაოდ ძნელია.

ამ პრობლემის მოგვარების მიზნით პროგრამას ყოფენ ქვეპროგრამებად, რომლებიც მარტივ იპერაციებს ასრულებს. ამგვარად, საბოლოო სახის პროგრამა შედგება არა ცალკეული იპერატორების, არამედ კოდების ცალკეული ბლოკებისაგან, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი აქვს. ქვეპროგრამების გამოყენება ზოგადს პროგრამის დაწერისთვის საჭირო დროს, ამცირებს პროგრამული კოდის მოცულობას და პროგრამის სტრუქტურას უფრო გასაგებს ხდის. ამავე დროს, ასეთი მიდგომა პროგრამის დაწერისას დაშვებული შეცდომების რიცხვის შემცირებასაც განაპირობებს.

პროგრამებს, ჩვეულებრივ, ორ კატეგორიად: პროცედურებად და ფუნქციებად ყოფენ. **პროცედურა** მოლოდ იპერატორების თანამიმდევრობის შესრულებას ემსახურება. თქვენთვის ALPLogo-ს პროგრამული გარემოდან ნაცნობი ქვეპროგრამები პროცედურებს წარმოადგენს. **ფუნქციები** ს დანიშნულება გარკვეული მნიშვნელობების გამოთვლა და მათი პროგრამისთვის (ქვეპროგრამისთვის) დაბრუნებაა. დაპროგრამების ზოგიერთ ენაში, მათ შორის, Python-ში, ქვეპროგრამები პროცედურებად და ფუნქციებად არ იყოფა. ყველა მათგანი ფუნქციებად განიხილება. ასეთ ენებში პროცედურები არის ფუნქციები, რომლებიც არანაირ მნიშვნელობას არ აბრუნები. როგორც

დამასკოვე

ქვეპროგრამა
ფუნქცია
ფუნქციის გამოძახება
ფორმალური პარამეტრები
ფაქტიური პარამეტრები

ალინიშნა, ყოველ ფუნქციას თავისი სახელი აქვს. წებისმიერი ფუნქციის შესასრულებლად საჭიროა, მიმართონ მის სახელს, ანუ ფუნქცია უნდა გამოიძახოს. ფუნქციის გამოძახება პროგრამის წებისმიერი ადგილიდან შეიძლება.

Python-ის ენაში მრავალი სხვადასხვა დანიშნულების ფუნქცია არსებობს. ასე მაგალითად, ბლოკ „საქმიანობაში“ მოცემულ პროგრამის გამოყენებულია 4 ფუნქცია: `abs()`, `int()`, `input()` და `print()`. ეს Python-ის სტანდარტული ფუნქციებია. მიუხედავად ამისა, ამოცანების ამოხსნისას ხშირად ჩნდება ახალი, საკუთარი ფუნქციების შექმნის აუცილებლობა. ბუნებრივია, Python-ის ენას გააჩნია ახალი ფუნქციების შექმნის შესაძლებლობა.

Python-ის ენაზე ფუნქციის აღწერა იწყება საკვანძო სიტყვა `def`, -ით, რომლის შემდეგ იწერება ფუნქციის სახელი. მრგვალი ფრჩხილები, რომლებიც ფუნქციის სახელს მოსდევს, მას ჩვეულებრივი ცვლადისგან განასხვავებს. ორნერტილი მიუთითებს ფუნქციაში შემავალი ბრძანებების დასაწყისზე. აღვწეროთ, მაგალითად, მარტივი ფუნქცია, სახელწოდებით `greeting()`:

```
def greeting():
    print(' კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!')
```

პროგრამის წებისმიერი ადგილიდან ფუნქციის, ისევე როგორც სტანდარტული ფუნქციის, გამოსაძახებლად აუცილებელია მისი სახელის (როგორც ცალკე ოპერატორის) მითითება.

```
greeting()
```

ამ ფუნქციის მუშაობის შედეგი ყოველთვის ერთნაირია, ანუ, მათემატიკის ენაზე რომ ვთქვათ, მას არგუმენტები არ აქვს. პროგრამირებაში ასეთი ფუნქციები, როგორც წესი, არ გამოიყენება. ჩვეულებრივ, ფუნქცია მონაცემებს იმ პროგრამიდან იღებს, რომელმაც ის გამოიძახა. მონაცემები ფუნქციას პარამეტრების სახით გადაეცემა. ფუნქციის შექმნისას მისი პარამეტრები ჯერ ცნობილი არ არის. ფუნქციის აღწერისას მისი სახელის შემდეგ ე.წ. `ფორმალურ პარამეტრებს` მიუთითებენ. ფორმალური პარამეტრებია წებისმიერი ცვლადები, რომლებიც გადასცემ მონაცემებს განსაზღვრავს. ისინი მხოლოდ ფუნქციების მიერ შესრულებული მოქმედების აღსანერად გამოიყენება. ფუნქციის გამოძახებისას მისი სახელის შემდეგ მიუთითებენ ე.წ.

```
def privet(s):
    print(s)
    print('დილა მშვიდობისა!')
    print('საღამო მშვიდობისა!')
```

ფაქტობრივ პარამეტრებს, რომლებიც ამ ფუნქციას გადაეცემა. ფუნქციის ოპერატორების შესრულებისას ფორმალური პარამეტრები ფაქტიური მინშვნელობებით იცვლება.

აღნიშნული განვიხილოთ ერთი პროგრამის მაგალითზე. ეს პროგრამა მუსულმანური კალენდრის, ჰიჯრის, შეცვანილ წელს გრიგორიანული (ევროპული) კალენდრის წლად (და პირიქით) გარდაქმნის და შედეგს ეკრანზე გამოიტანს. ამ დროს გამოთვლები შემდეგი ფორმულებით წარმოებს: $Q = X - X / 33 + 622$ და $X = Q - 622 + (Q - 622) / 32$. აქ ცვლადი Q გრიგორიანული კალენდრის წელზე მიუთითებს, ხოლო X – ჰიჯრის წელზე.

აღვნეროთ ორი ფუნქცია: ერთი მათგანი – ფუნქცია `miladi_hicri()` ფორმულის საფუძველზე, პარამეტრის სახით გადაცემულ გრიგორიანული კალენდრის წელს ჰიჯრის წლად გარდაქმნის, მეორე ფუნქცია – `hicri_miladi()` პირიქით, ჰიჯრის წელს გრიგორიანულ წლად გადააქციეს და შედეგს ეკრანზე გამოიტანს.

```
def miladi_hicri(S):
    Q = int(S)
    X = Q - 622 + (Q - 622) // 32
    print(' ჰიჯრის წელი: ', X)

def hicri_miladi(S):
    X = int(S)
    Q = X - (X // 33) + 622
    print(' გრიგორიანული წელი: ', Q)

S = input(' გრიგორიანული წელი: ')
miladi_hicri(S)

S = input(' ჰიჯრის წელი: ')
hicri_miladi(S)
```

ამ მაგალითში თითოეული ფუნქცია გარედან მიღებული მნიშვნელობების საფუძველზე აწარმოებს გამოთვლას და შედეგს ეკრანზე გამოიტანს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას უფრო მოსახერხებელია ფუნქციის მიღებული მნიშვნელობის იმ პროგრამისთვის დაბრუნება, რომელმაც ის გამოიძახა. ამ მიზნით პროგრამა Python-ში გათვალისწინებულია `return`. ეს ბრძანება ფუნქციის ბოლოში იწერება და მის შემდეგ ფრჩხილებში მიუთითებენ მნიშვნელობას, რომელიც ფუნქციამ უნდა დააბრუნოს.

როგორ იცით, ფუნქცია `input()`, კლავიატურიდან შეყვანილი სიდიდის ტიპისგან დამოუკიდებლად, ყოველთვის აბრუნებს სტრიქონს, ქვემოთ მოვანილი ახალი ფუნქცია `num_input()` კი აბრუნებს რიცხვს.

```
def num_input(prompt):
    typed = input(prompt)      # შესაყვანი სტრიქონი
                                # ინახება ცვლად typed-ში
    num = int(typed)          # სტრიქონი გარდაიქმნება რიცხვად და
                                # ინახება ცვლადში
    return num                # ცვლადის მნიშვნელობა ბრუნდება

a = num_input(' შეიყვანეთ a: ')
b = num_input(' შეიყვანეთ b: ')
print('a * b =', a * b)
```

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

კალენდართან დაკავშირებული პროგრამა შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ახალი კალენდრის მნიშვნელობები ეკრანზე გამოდიოდეს არა ფუნქციის შემადგენლობაში, არამედ მის გამომძახებელ პროგრამაში.

```
def miladi_hicri(S):
    Q = int(S)
    X = Q - 622 + (Q - 622) // 32
    return (X)

def hicri_miladi(S):
    X = int(S)
    Q = X - (X // 33) + 622
    return (Q)

S = input(' გრიგორიანული წელი: ')
X = miladi_hicri(S)
print(' ჰიჯრის წელი:, X)

S = input(' ჰიჯრის წელი: ')
Q = hicri_miladi(S)
print(' გრიგორიანული წელი:', Q)
```

გაანალიზეთ პროგრამის მუშაობა.

შეამოხეო შენი ცოდნა

1. რა უპირატესობას იძლევა ქვეპროგრამების გამოყენება?
2. რა ტიპის ქვეპროგრამები არსებობს?
3. რით განსხავდება ფუნქცია პროცედურისგან?
4. Python-ის ენის რომელი ფუნქცია შეესაბამება კომპიუტერის გამომტან მოწყობილობებს?
5. გამოიყენეთ კალენდრის პროგრამა და დაადგინეთ თქვენი დაბადების წელი მუსულმანური წელთაღრიცხვით.
6. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოთვლის სამკუთხედის პერიმეტრს მისა გვერდების მნიშვნელობის მონაცემების საფუძველზე.

18

დაპროგრამების ენაზე კლასიფიკაცია

- დაპროგრამების რომელი ენა უფრო მოგწონთ: ALPLogo თუ Python? რატომ?
- ამ ენებიდან რომლით ურჩევდით დაპროგრამების შესწავლის დაწყებას უმცროსკლასელებს?

საქმიანობა

1

მოცემულია პროგრამების ფრაგმენტები დაპროგრამების ორ სხვადასხვა ენაზე – BASIC და Pascal. გადახედეთ ფრაგმენტებს და შეეცადეთ დაადგინოთ, რას აკეთებს ისინი.

BASIC

```
S = 0
FOR I = 1 TO 100
    S = S + I
NEXT I
```

Pascal

```
a := 5;
b := 10;
if a > b then write(a)
            else write(b);
```

ვიმსჯელოთ:

- რომელი ოპერატორებია თქვენთვის ნაცნობი?
- როგორ ჩაინერება ფრაგმენტების მონაცემები Python-ის ენაზე?

ის, ვინც პროგრამირებას სწავლობს, ადრე თუ გვიან იკითხავს: დაპროგრამების რომელი ენაა უკეთესი? მიუხედავად იმისა, რომ დაპროგრამების ათასზე მეტი ენაა ცნობილი, არ არსებობს არც ერთი ისეთი, რომელიც ყველა პროგრამისტს აწყობს. ყოველ ენას თავისი მომხრები და მოწინააღმდეგები ჰყავს.

სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების – ინჟინერების, ბანკირების, სამხედროების – წინაშე სხვადასხვა ტიპის ამოცანები დგას, რომელთა გადაწყვეტისას უპირატესობა დაპროგრამების ამა თუ იმ ენას ენიჭება. ენა FORTRAN ფართოდ გამოიყენება მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად, ენა COBOL („კობოლ“) – საპანკო საქმეში, ენები: PROLOG, LISP გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის სფეროში. პროგრამისტები, რომლებიც ინტერ-ნეტისთვის ქმნიან პროგრამებს, უპირატესობას, ჩვეულებრივ, ენა JAVA-ს ანიჭებენ.

დაპროგრამების ყველა ჩამოთვლილი ენა **სპეციალური დანიშნულების ენაა**. თითოეულ მათგანს ისეთი ოპერატორები გააჩინია, რომელთა დახმარებით სპეციფიკური ამოცანების მარტივად გადაწყვეტა შეიძლება. ჩვეულებრივ, ამ ენებს უშუალოდ სამუშაო ადგილებზე სწავლობენ, ვინაიდან წინასწარ მათ ათვისებას აზრი არ აქვს.

აიახასოვრა

სპეციალური დანიშნულების ენა ზოგადი დანიშნულების ენა

სპეციალური დანიშნულების დაპროგრამების ენების გარდა, არსებობს ზოგადი დანიშნულების ენებიც. მათი დახმარებით პრაქტიკულად ყველა ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება. ასეთი ენების შესწავლა წინასწარვე შეიძლება – ისინი ყოველთვის შეიძლება დაგვჭირდეს. მათ შორის ყველაზე პოპულარულია Basic, Pascal, C++, Python.

ამჟამად მსოფლიოში 4000-ზე მეტი დაპროგრამების ენა არსებობს, რომელთაგან ბევრი დღეს აღარც გამოიყენება. გარდა ამისა, პროგრამების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი სრულდება არა ზოგადი დანიშნულების დაპროგრამების ენებზე, არამედ დაპროგრამების სპეციალური ინსტრუმენტების (მაგალითად, Visual Basic-ის) ან პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალური ტიპების (მაგალითად, Maple-ის) გამოყენებით.

დაპროგრამების სპეციალური ენების ქრონოგრაფი

დასახელება	წელი	ავტორი	შექმნის გეოგრაფია
FORTRAN	1954	ჯონ ბეკუსი	აშშ
LISP	1958	ჯონ მაკარტი	აშშ
Algol 60	1960	პიტრე ნაური და სხვ.	სხვადასხვა ქვეყანა
COBOL	1960	ავტორთა კოლექტივი	სხვადასხვა ქვეყანა
Simula	1962	კრისტენ ნიგაარდი და სხვ.	ევროპა
BASIC	1963	ჯონ კემენი და სხვ.	აშშ
PL/I	1964	ჯორჯ რადინი	სხვადასხვა ქვეყანა
Algol 68	1968	აად ვან ვაინგარტენი	სხვადასხვა ქვეყანა
Pascal	1970	ნიკლაუს ვირტი	ევროპა
FORTH	1970	ჩარლზ მური	აშშ
C	1972	დენის რიჩი	აშშ
Smalltalk	1972	ალან კეი	აშშ
Prolog	1973	ალან კოლმერი და სხვ.	ევროპა
Ada	1980	ჯინ იშბია და სხვ.	აშს
C++	1984	ბორნ სტრაუსტრუპი	აშშ
Python	1991	გვიდო ვან როსუმი	აშშ
Java	1995	ჯეიმს გოსლინგი	აშშ

დანიშნულების მიხედვით დაპროგრამების ენები შეიძლება დაახლოებით ასე დაჯგუფდეს:

1. დიდი, რთული პროგრამების შესაქმნა: ზოგადი დანიშნულების პროგრა-მირების ენები (PL/L, C, C++, Pascal, Python, Modula-2, Ada, Java, C#).
2. მცირე პროგრამების შექმნა: ზოგადი დანიშნულების დაპროგრამების ენები (BASIC, Visual Basic, Pascal, Python).
3. მათემატიკური გამოთვლები, მეცნიერება და ინჟინერია: FORTRAN, APL, Maple და ზოგადი დანიშნულების ენები, რომლებიც ზემოთ არის დასახელებული.
4. მონაცემთა კომერციული დამუშავება: COBOL, RPG.
5. ხელოვნური ინტელექტის ამოცანები და ამოცანები რთული ლოგიკით: LISP და Prolog.
6. სტრიქონებზე და სცენარებზე მუშაობა: SNOBOL, REXX, Awk, Perl, Python, VBSCRIPT, JavaScript.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

ზოგიერთი დაპროგრამების ენა არაორდინალური ამოცანების ამოსახსნელადაა შექმნილი. მაგალითისთვის, Piet-ის ენაზე დაწერილი პროგრამა აბსტრაქტული ნახატივით გამოიყურება. ქვემოთ წარმოდგენილი ნახატი არის პროგრამა „Hello World!“ („გამარჯობა, მსოფლიო!“), რომელიც ამ ენაზეა დაწერილი.



გამოარკვიეთ, საიდანაა ალებული ამ პროგრამის სახელწოდება. შეაგროვეთ ინფორმაცია სხვა ეგზოტიკური დაპროგრამების ენების შესახებ, როგორებიცაა **Chef, Ook!, Malkbolge**.

თუ ამოცანა განვიღება?

1. დაპროგრამების რომელი ენაა უკეთესი?
2. რომელ ენას მიეკუთვნება Python: სპეციალური დანიშნულების თუ ზოგადი დანიშნულების დაპროგრამების ენას?
3. ვინ და როდის შექმნა Python-ის ენა?
4. რომელი ენები გამოიყენება, ძირითადად, მათემატიკური გამოთვლებისთვის?
5. დაპროგრამების რომელი ენები მიეკუთვნება სპეციალური დანიშნულების ენების კატეგორიას?

შემაჯამარები პითავები და დავალებები

1. რომელი მათემატიკური მოქმედებები აღინიშნება // და გ? სიმბოლოებით?

2. რა მნიშვნელობას მიიღებს მთელის ტიპის x და y ცვლადები პროგრამის ფრაგმენტის შესრულების შემდეგ?

$$x = 823$$

$$y = 4$$

$$x = x // y$$

$$y = x \% y$$

3. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც ადგენს მოცემული რიცხვის 4-ზე გაყოფადობას.

4. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც კლავიატურიდან შეიტანს ანდაზას „ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“ და გამოიტანს:

ა) სიტყვას „ქარის“;

ბ) „ა“ ასოების“ რაოდენობას;

გ) მთელ ანდაზას მთავრული ასოებით.

5. რომელი მეთოდი გამოიყენება კონკრეტული ელემენტის სიიდან ამოსაშლელად?

5. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც უკუდმა თანამიმდევრობით გამოიტანს შეტანილ წინადადებას.

6. ალენერეთ წინადადებაში ყველაზე მოკლე სიტყვის მოძებნისთვის განკუთვნილი ალგორითმი.

7. რას აკეთებს ეს პროგრამა?

```
s = input()
```


```
l = len(s)
```

```
n = int(input("შეიყვანეთ სიტყვის რაგითი ნომერი წინადადებაში:"))
```

```
s = s.split(' ')
```

```
print(s[n-1])
```

8. რა მიზნით იყენებენ ქვეპროგრამებს?



ინფორმაციული ტექნოლოგია

19. ინფორმაციული მოდელი გრაფებზე
20. გრაფებთან დაკავშირებული
ამოცანები
21. კომპიუტერული ქსელები
22. ინფორმაციის გადაცემა
23. ვებსაიტების შექმნა
24. საინფორმაციო საზოგადოებისადმი
მიძღვნილი საიტის შემუშავება
25. დამისამართება ინტერნეტზი

5

ინფორმაციული ტექნოლოგიები

19


ინფორმაციული მოდელი გრაფზე



- რა არის ინფორმაციული მოდელი?
- შეიძლება თუ არა, ერთ ობიექტს რამდენიმე სახის ინფორმაციული მოდელი ჰქონდეს?

საქმიანობა

დაასახელეთ მოცემული სტრუქტურის მითითებული ელემენტები.



ვიმსჯელოთ:



- რა სახის ინფორმაციულ მოდელს მიეკუთვნება მოცემული სტრუქტურა?
- რა არის გზა და რამდენი გზა არის მოცემული სტრუქტურის ნებისმიერ ორ წვეროს შორის?

მე-7 კლასში თქვენ გაეცანით სიის სახის, მე-8 კლასში კი – ხის სახის ინფორმაციულ მოდელს. ახლა კი მის კიდევ ერთ სახეს – გრაფს ანუ ქსელს – გაეცნობით.

რუკის მოცემულ ფრაგმენტზე ნაჩვენებია აზერბაიჯანის ერთ-ერთი


ასახვის გვერდი

გრაფი
წვერო
ნიბი
მოსაზღვრე წვეროების სია
მოსაზღვრეობის მატრიცა
ბმული გრაფი
ორიენტირებული გრაფი



რამდენიმე ობიექტის ერთმანეთთან ნებისმიერი სახით დამაკავშირებელ სტრუქტურას **გრაფს** უწოდებენ. პროგრამირებაში ტერმინ „გრაფის“ ნაცვლად ზოგჯერ სიტყვა **„ქსელს“**, ხმარობენ. გრაფის შემადგენელ ობიექტების შემართებელ ხაზებს – **ნიბოები**. არ არის სავალდებულო, რომ გრაფის ნებისმიერ ორ ნივროს შორის იყოს კავშირი. გრაფის ნივროებს, ჩვეულებრივ, ნომრავენ ან ასოებით აღნიშნავენ.

ნეურონების გრაფი




ცას საინტერესო...



გრაფების თეორიის შექმნის საბაბი ცნობილი მათემატიკოსის, ლეონარდ ეილერის, მიერ ერთი სახალისო ამოცანის ამოხსნის პროცესი გახდა. ეს 1736 წელს, მისი კენიგსბერგში (ახლანდელ კალინინგრადში) ყოფნის დროს მოხდა.

ამ ქალაქის ტერიტორიაზე გამავალი მდინარე მას ითხ ნაწილად ყოფდა. ეს ნაწილები შვიდი ხიდით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ქალაქის გამარტივებულ გეგმაზე ხიდები ციფრებითაა აღნიშნული, ქალაქის ნაწილები კი – ასოებით.



ამოცანა (იმუშად საკმაოდ პოპულარული) კი ასეთი იყო: როგორ გადავიაროთ ყველა ხიდი ისე, რომ არც ერთ მათგანზე ორჯერ არ მოვხვდეთ? ეილერმა ქალაქის ნაწილები შესაბამისი A, B, C და D ნერტილებით აღნიშნა, ხოლო ხიდები – ხაზებით, რომლებიც ამ ნერტილებს აერთებდა (სქემა მარჯვენა). ამგვარად, ამოცანა ასეთი დავალების ეკვივალენტური გახდა: შესაძლებელია თუ არა ამ ფიგურის შემოხაზვა ისე, რომ ფურცლიდან ხელი არ აიღო და თითოეულ ხაზს მხოლოდ ერთხელ გააყოლო? ეილერმა დაამტკიცა, რომ ამ ამოცანას ამონახსნი არა აქვს.

ჩვეულებრივ, გრაფებს ორი გზით წარმოადგენენ: მოსაზღვრე წვეროების სით და მოსაზღვრეობის მატრიცით. **მოსაზღვრე წვეროების სიაში**

ჩამოთვლილია ის წვეროები, რომლებიც მოცემული წვეროებიდან ყველასთანაა შეერთებული. ამ ფორმაში გეხვდება გამეორებები, მაგალითად, თუ A და B წვეროები შეერთებულია, მაშინ A წვეროს მოსაზღვრე წვეროების სიაში იქნება B წვერო, ხოლო B წვეროს მოსაზღვრე წვეროების სიაში – A წვერო.

გრაფების წარმოდგენის მეორე გზის, მოსაზღვრეობის მატრიცის, შემთხვევაში გრაფს, რომელიც წვეროების n რაოდენობას შეიცავს, n-სტრიქონიანი და n-სვეტიანი ცხრილის სახით წარმოადგენენ (განზომილების მატრიცა nxn). თუ ნებისმიერ x და y წვეროებს შორის არსებობს ნიბო, მაშინ ელემენტი a_{xy} იქნება 1-ის ტოლი, საპირისპირო შემთხვევაში კი 0-ის ტოლი. მაგალითად, ზემოთ წარმოდგენილი გრაფის მოსაზღვრე წვეროების სია და მოსაზღვრეობის მატრიცა ამგვარი იქნება:

წვერო	მოსაზღვრეობის წვეროების სია
0	1, 2, 4
1	0, 2, 3, 4
2	0, 1
3	1
4	0, 1
5	

	0	1	2	3	4	5
0	0	1	1	0	1	0
1	1	0	1	1	1	0
2	1	1	0	0	0	0
3	0	1	0	0	0	0
4	1	1	0	0	0	0
5	0	0	0	0	0	0

კომპიუტერის მეხსიერებაში გრაფების შენახვის მიზნით, ამ მეთოდებთან ერთად, სხვა მეთოდებსაც იყენებენ. მაგალითად, თუ მოცემული გრაფის მოსაზღვრე წვეროების სიას Python-ის ენაზე დავარქმევთ adjacency_list-ს, ხოლო მისი წვეროების რაოდენობას – num_vertices-ს, მაშინ

```
adjacency_list = [[1, 2, 4],
                  [0, 2, 3, 4],
                  [0, 1],
                  [1],
                  [0, 1],
                  []]
num_vertices = len(adjacency_list)
```

თუ ამ გრაფისთვის მოსაზღვრეობის მატრიცას აღწიშნავთ, როგორც adjacency_matrix,-ს, მაშინ

```
adjacency_matrix = [[0, 1, 1, 0, 1, 0],
                     [1, 0, 1, 1, 1, 0],
                     [1, 1, 0, 0, 0, 0],
                     [0, 1, 0, 0, 0, 0],
                     [1, 1, 0, 0, 0, 0],
                     [0, 0, 0, 0, 0, 0]]
num_vertices = len(adjacency_matrix)
```

უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივი (არაორიენტირებული) გრაფის მოსაზღვრეობის მატრიცა ყოველთვის სიმეტრიულია მთავარი დიაგონალის მიმართ. მატრიცის მთავარი დიაგონალი მარცხენა ზედა კუთხიდან და მარჯვენა ქვედა კუთხემდე ეშვება.


გრაფის შენახვა წიბოების სის ფორმითაც შეიძლება. ამ შემთხვევაში ყოველი წიბო ორი რიცხვით – საწყისა და საბოლოო წევროების ნომრებით – აღინიშნება.

გრაფის წვეროების რაოდენობა ცალკე ცვლადში ინახება, ვინაიდან იზოლირებული (ანუ ისეთი, რომელიც არც ერთ წვეროს არ უერთდება) წვეროები წიბოების სიაში არ ხვდება.

```
num_vertices = 6
edges_list = [[0, 1],
              [0, 2],
              [0, 4],
              [1, 2],
              [1, 3],
              [1, 4],
              ]
# წვეროების რაოდენობა
# წიბოების სია
```

გავეცნოთ გრაფებთან დაკავშირებულ კიდევ რამდენიმე ცნებას. წიბოების თანამიმდევრობას, რომელშიც თითოეული წიბოს ბოლო წვერო სხვა წიბოს დასაწყისად გვევლინება (უკანასაკნელის გარდა) **გზა** ენოდება. ჩაკეტილ გზას **ციკლი** ჰქვია. ზემოთ მოცემულ მაგალითში წიბოები, რომლებიც 1-ელ, მე-2 და მე-3 წვეროებს აერთებს, ქმნის გზას, ხოლო გზა 1-ელ, მე-2 და მე-5 წვეროებს შორის ციკლია.

როგორც უკვე აღინიშნა, სრულიადაც არ არის სავალდებულო გრაფის ყველა წვეროს ერთიანეთთან შეერთება. თუ გრაფში არსებობს გზა მის ორ ნებისმიერ წვეროს შორის, მას განუსაზღვრული მიმართულება აქვს (მაგალითად, წიბო A წვეროდან B წვეროსკენ კი არ მიდის, არამედ, A წვეროს შიგნიდან B წვეროში შედის), ასეთ წიბოს **რკალს** უწოდებენ, ანუ წიბო გრაფის ორ წვეროს აერთებს, ხოლო რკალი ერთი წვეროდან იწყება და მეორეში მოავრცება. გრაფს, რომლის ყველა წიბო რკალია, **ორიენტირებული** გრაფი, ანუ **დიგრაფი** ჰქვია.




ორიენტირებული გრაფის კომპიუტერის მეხსიერებაში შენახვის მიზნით შევვიძლია, ოდნავ შევცვალოთ ზემოთ აღნერილი გზები და ნარმოდიგენის შემდეგ საშუალებებს მივმართოთ:

- ყოველი წვეროს მოსაზღვრეობის სიაში შევინახოთ ის წვეროები, რომლებისკენაც წიბოები მიემართება.
 - მოსაზღვრეობის მატრიცაში, თუ არსებობს წიბო i -დან j -მდე, ჩავთვალოთ, რომ $\text{adjacency_matrix}[i][j] == 1$, ხოლო თუ გრაფში საპირისპირო მიმართულების წიბო არ არის, ჩავთვალოთ, რომ $\text{adjacency_matrix}[j][i] == 0$;
 - წიბოთა სიაში თითოეული წიბო შევინახოთ [საწყისი, ბოლო]-ს სახით.
- სე** (სისებრი სტრუქტრა) გრაფის ერთ-ერთი სახეა. ეს არის ბმული გრაფი ციკლის გარეშე, ანუ ხის ნებისმიერ ორ წვეროს შორის არსებობს გზა, მაგრამ ჩაკეტილი გზები არ გვხვდება.

ინფორმაციული მოდელი გრაფებზე ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში გამოიყენება. მაგალითად, დასახლებულ პუნქტებში ახალმშენებლობანი, შენობები და სხვა ნაგებობები

ორიენტირებული გრაფი



გრაფის წეროებად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, ხოლო მათ შორის არსებული გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, წყალგაყვანილობა, კავშირგაბმულობის ხაზები და სხვა კომუნიკაციები – გრაფის წიბოებად. ასეთ გრაფებზე შესაძლებელია ტრანსპორტის ოპტიმალური მარშრუტების დაგეგმვა, ობიექტებს შორის უმოკლესი გზების განსაზღვრა და სხვ.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

მოიძიეთ ინტერნეტში (მაგ., საიტ www.gomap.az-ის დახმარებით) თემის დასაწყისში მოცემულ სქემაზე მითითებულ აზერბაიჯანულ დასახლებულ პუნქტებს შორის არსებული მანძილი. მიღებული მონაცემების საფუძვლზე ააგეთ გრაფი. განსაზღვრეთ მასში უმოკლესი მანძილი აღდაშსა და შემახას შორის.

შეამოხვა შენი ცოდნა ?

1. რა არის გრაფი და რა ელემენტებისგან შედგება იგი?
2. რა ეწოდება ბმულ გრაფს რკალების გარეშე?
3. რა ჰქვია წიბოს, რომელიც ერთი წვეროდან გამოდის და იმავე წვეროში ბრუნდება?
4. რა ფორმით ინახება გრაფები კომპიუტერის მეხსიერებაში?
5. ააგეთ იმ რეგიონის გრაფი, რომელშიც ცხოვრობთ და მის საფარელზე შეადგინეთ მოსაზღვრეობის მატრიცა.

20

გრაფიკთან დაკავშირებული ამოცანები



- რა ენოდება მიმართულების მქონე წიბოს?
- რა ენოდება გრაფს, რომლის ყველა წიბოს აქვს მიმართულება?


ზოგიერთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისას (მაგალითად, პუნქტებს შორის უმოკლესი გზის განსაზღვრისას) მნიშვნელობა აქვს არა მარტო წვეროებს შორის კავშირს, არამედ მათ შესაბამის რიცხვებსაც. ეს რიცხვი შეიძლება იყოს, ვთქვათ, მანძილი ქალაქებს შორის ან მგზავრობის ღირებულება. გრაფთა თეორიაში გრაფის თითოეული წიბოს შესაბამის რიცხვით მნიშვნელობას მის წონას უწოდებენ, ხოლო თვით ასეთ გრაფს – **შენონილ გრაფს**.

ამოცანა

A, B, C და D პუნქტებიდან თითოეული დანარჩენებს უკავშირდება გზებით, რომელთა სიგრძე ცნობილია: AB=7, AC=5, AD=4, BC=6, BD=1, CD=8. აუცილებელია რომელიმე პუნქტიდან დაწყებული, ყველა პუნქტის შემოვლა, თითოეულ მათგანში მხოლოდ ერთხელ მოხვედრით, და ისევ საწყის პუნქტში დაბრუნება. რომელი მარშრუტი უნდა ავირჩიოთ, რომ გზა უმოკლესი აღმოჩნდეს?

ამოცანა. შესაბამისი პუნქტები და მათ შორის არსებული გზების სქემა შეგვიძლია, შენონილი გრაფის სახით წარმოვადგინოთ. როგორც ხედავთ, აქ 6 შესაძლებელი ციკლი გვაქვს: ABCDA, ACBDA, ABDCA, ACDBA, ADBCA, ADCBA. მათი სიგრძე, შესაბამისად, არის: 25, 16, 21, 21, 16, 25.


ამგვარად, ყველაზე მოკლე იქნება მარშრუტები ACBDA და ADBCA.



შენონილ გრაფში მოსაზღვრეობის მატრიცის ნაცვლად წონით მატრიცას იყენებენ. წონითი მატრიცის უჯრებში უთითებენ წიბოების წონას და თუ ორ წვეროს შორის წიბო არ არის, შესაბამისი უჯრა ცარიელი რჩება. ნახატზე წაჩვენებია სქემა, რომელზედაც მითითებულია გზების სიგრძე, მისი შესაბამისი გრაფი და წონითი მატრიცა.

დაგენერირება

შენონილი გრაფი
წონითი მატრიცა



	A	B	C	D
A		12	8	
B	12		5	6
C	8	5	2	4
D		6	4	

რის განსაზღვრა შეიძლება წონითი მატრიცის დახმარებით? ჯერ ერთი, შეგვიძლია გავიგოთ, არსებობს თუ არა წიბო ორ წვეროს შორის, და თუ არსებობს, რა სიგრძისაა იგი (წონა). ამისათვის საკმარისია, შევხედოთ შესაბამის უჯრას. მაგალითად, B და C წვეროებს შორის არის წიბო და მისი წონა 5-ის ტოლია. მეორეც, თუ ვივარაუდებთ, რომ წიბოების წონა მანძილზე მიუთითებს, შესაძლებელი იქნება გზის სიგრძის განსაზღვრა. მაგალითად, ABCD გზის სიგრძე AB, BC და CD წიბოების სიგრძეთა ჯამის ტოლია: $12+5+4=21$. და ბოლოს, წონითი მატრიცას მეშვეობით შესაძლებელია თვით გრაფის დახაზვა.

ამოცანა

გალაქტიკა ირმის ნახტომში პლანეტა ნეპტუნზე 6 ქალაქია და ისინი თანამიმდევრობითაა დაანომრილი, დაწყებული 1-დან. ზოგიერთი ქალაქი ერთმანეთთან გზებითაა დაკავშირებული. გალაქტიკის იმპერატორმა მაქსიმუსმა გადაწყვიტა, შეადგინოს ამ გზების სია პლანეტაზე, მაგრამ რადგანაც თავად მათემატიკაში მოიკოჭლებს, თქვენ გთხოვთ დახმარება.

ამოცანა. თუ პლანეტა ნეპტუნის ქალაქებს წარმოვადგენთ ცვეროების, ხოლო მათ შორის გზებს – წიბოების სახით, მივიღებთ ჩვეულებრივ გრაფს. ამოცანა მოითხოვს წიბოების რაოდენობის პოვნას. მოსაზღვრეობის მატრიცა, რომელიც ამ გრაფს შესაბამება, დაახლოებით ასე შეიძლება გამოიყერებოდეს:

$$\begin{matrix} 0 & 1 & 1 & 0 & 1 & 0 \\ 1 & 0 & 1 & 1 & 1 & 0 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 1 & 1 & 0 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 1 & 1 & 0 \end{matrix}$$

აქ i i სტრიქონისა და j სვეტის გადაკვეთაზე იმაზე მუთითებს, რომ შესაბამის ქალაქებს შორის არსებობს გზა. თუ ასეთი გზა არის, გამოდის, რომ j სვეტისა და i სტრიქონის გადაკვეთაზეც 1 უნდა იყოს. ანუ თუ: ქალაქ i -დან

ქალაქ j-მდე გზა არსებობს, ბუნებრივია, რომ ქალაქ j-დან ქალაქ i-მდეც ასევე არსებობს გზა. მაშასადამე, მოცემული ამოცანის ამოსახსნელად აუცილებელია მოსაზღვრეობის მატრიცაში ერთიანების რაოდენობის დადგენა და შედეგის 2-ზე გაყოფა. ამგვარად, ზემოთ მოცემული მოსაზღვრეობის მატრიცის შესაბამისად, პლანეტა ნეპტუნზე 8 გზაა.

ამ ამოცანის ამოხსნის პროგრამა Python-ის ენაზე ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

```
i = 1
w = 0
while i <= 6:
    s = input()
    w = w + s.count('1')

i = i + 1
w = w // 2
print(w)
```

გზების რაოდენობა
 # შეგვყავს მატრიცის
 # ერთი სტრიქონი.
 # ითვლება ერთიანების რაოდენობა
 # ამ სტრიქონში და ეს რიცხვი ემატება
 # გზების საერთო რიცხვს.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

გალაქტიკა ირმის ნახტომში პლანეტა ნეპტუნზე N ქალაქია და ისინი თანამიმდევრობითაა დანომრილი, დაწყებული 1-დან. ზოგიერთი ქალაქი ერთმანეთთან გზებითაა დაკავშირებული. გალაქტიკის იმპერატორმა მაქსიმუსმა გადაწყვიტა, შეადგინოს ამ გზების სია პლანეტაზე, მაგრამ რადგანაც თავად მათემატიკაში მოიკოჭლებს, თქვენ გთხოვთ, დაეხმაროთ გზების რაოდენობის დათვლაში (წყარო: informatika.edu.az).

ამოცანა

საჭადრაკო ტურნირი ტარდება წრიული სისტემით, რომლის თანახმად, თითოეული მონანილე ყოველ მეტოქეს თითოვერ სედება. ტურნირში 7 მოსწავლე მონანილეობს. ცნობილია, რომ არიფმა ჩაატარა ექვსი პარტია, ბაქირმა – ხუთი, ჯეიპუნმა და დადაშმა – სამ-სამი, ელპანმა და ალიმ – ორ-ორი, ხოლო ილკინმა ერთი პარტია ითამაშა. ვისთან ითამაშა ჯეიპუნმა?

ამოხსნა. ავაგოთ გრაფი G, რომელიც მოთამაშეთა შეხვეძრებს ასახავს. ამ გრაფის წვეროები აღვნიშნოთ 1-დან 7-მდე რიცხვებით, ამგვარი შესაბამისობით: 1 – არიფი, 2 – ბაქირი, 3 – ჯეიპუნი, 4 – დადაშმა, 5 – ელპანი, 6 – ალიმი, 7 – ილკინი.



ვინაიდან წვერო 1-ის ხარისხი 6-ის ტოლია (არიფმა 6 მატჩი ჩაატარა), ეს წვერო ყველა დანარჩენ წვეროსთან უნდა იყოს შეერთებული, ხოლო რადგან წვერო 7-ის ხარისხი 1-ის ტოლია, შისი მოსაზღვრე მხოლოდ წვერო 1 იქნება.

განვიხილოთ ქვეგრაფი H_1 , რომელიც მრავალი წვეროსაგან $\{2,3,4,5,6\}$ შედგება. ამ ქვეგრაფის მიღება შეიძლება G გრაფიდან ორი წვეროს – 1-ისა და 7-ის – და მათგან გამომავალი წიბოების მოშორებით. ამიტომ ქვეგრაფ H_1 -ში, რომელიც 5 წვეროსაგან შედგება, წვეროების ხარისხი ამგვარი იქნება:

$$d(2) = 4, d(3) = d(4) = 2, d(5) = d(6) = 1.$$

გრაფ H_1 -ში, წვერო 2-ს აქვს მოსაზღვრება ყველა წვეროსთან, წვერო 5-სა და წვერო 6-ს კი – მხოლოდ ორ წვეროსთან.

ახლა ვნახოთ ქვეგრაფი H_2 , რომელიც წვეროების სიმრავლე $\{3,4\}$ -საგან შედგება. ეს გრაფი ქვეგრაფ H_1 -დან 2,5, და 6 წვეროებისა და მათგან გამომავალი წიბოების მოშორებით მიიღება.


გრაფ H_2 -ში $d(3) = d(4) = 1$, ანუ ეს ამ ნახატზე წარმოდგენილი გრაფია.



თუ დავაპრუნებთ წაშლილ 2, 5 და 6 წვეროებს, მივიღებთ გრაფ H_1 -ს:



ახლა დავაპრუნოთ წაშლილი 1 და 7 წვეროები და მივიღებთ საჭირო გრაფ G -ს:




ეს გრაფი ასახავს მოსწავლეთა შეხვედრებს ტურნირის პროცესში. გრაფიდან ჩანს, რომ ჯეპუნი (გრაფის მესამე წვერო) ეთამაშა არიფს, ბაქირსა და დადაშს, რომლებსაც შეესაბამებათ წვეროები 1, 2 და 4. ცხადია, რომ ამ გრაფის დახმარებით ადვილი გასაგებია, ვისთან ითამაშეს ასპარეზობის დანარჩებმა მონაწილეებმა.

შეამოცავ შენი
ცოდნა ?

- რა ჰქონდა გრაფს, რომლის ყოველ წიბოს გარკვეული რიცხვი შეესაბამება?
- ნარმოიდგინეთ გრაფი, რომლის წონითი მატრიცა არ არის სიმეტრიული მთავარი დიაგონალის მიმართ. თქვენი აზრით, როგორი იქნება იგი: შენონილი, ორიენტირებული თუ ბმული? რა თვისებები ექნება მას, ექნება ციკლი თუ არა?
- რამდენი წიბოა მოცემულ წონით მატრიცაში? რას უდრის A და E წვეროების შემაერთებელი წიბოს წონა?

	A	B	C	D	E
A	5	2		6	
B	5			5	
C	2			2	
D		5	2		3
E	6			3	

- თუ წონით მატრიცაში რიცხვები პუნქტებს შორის დაშორებას გვიჩვენებს, რის ტოლი იქნება A-B-D-E გზის სიგრძე?
- ნახატზე მოცემულია ABCDEFG ქალაქების დამაკავშირებელი გზების სქემა. თითოეულ გზაზე მხოლოდ მითითებული მიმართულებით შეიძლება გადაადგილება. რამდენი მარშრუტია A ქალაქიდან G ქალაქამდე?



21 კომპიუტერული ესელი



- რა არის კომპიუტერული ქსელი?
- რას ნიშნავს ლოკალური ქსელი?

საქმიანობა


ააგეთ თქვენი სკოლის კომპიუტერული ქსელის შესაბამისი გრაფი. ამისათვის თითოეული კომპიუტერი გრაფის წვეროდ ჩათვალეთ. თუ ქსელი არ არის, მაშინ წარმოიდგინეთ, რომ კლასში ყოველი მოსწავლის წინ დგას კომპიუტერი, რომელიც დანარჩენ კომპიუტერებთან კაბელის მეშვეობითაა დაკავშირებული.

ვიმსჯელოთ:

- როგორი გრაფი დასაზეთ კომპიუტერული ქსელისთვის – ჩვეულებრივი თუ ორიენტირებული? პასუხი დაასაბუთეთ.
- თუ გრაფიდან რომელიმე წიბოს მოაშორებთ (ანუ გაწყვეტთ კავშირს ორ კომპიუტერს შორის), როგორ აისახება ეს მთელი კომპიუტერული ქსელის მუშაობაზე?

როგორც იცით, კომპიუტერული ქსელი შეიძლება რამდენიმე კომპიუტერისან შედგებოდეს ან მილიონობით კომპიუტერს აერთიანებდეს. ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, კომპიუტერული ქსელები რამდენიმე სახედ იყოფა, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია **ლოკალური** და **გლობალური** ქსელები. როგორც წესი, სპეციალისტები მათ შემოკლებული სახელებით, შესაბამისად, LAN-ით (local Area Networks) და WAN-ით (Wide Area Networks) მოიხსენიერებენ. როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, ლოკალური ქსელები მოიცავს შეზღუდულ, ხოლო გლობალური ქსელები – უფრო ფართო გეოგრაფიულ ტერიტორიებს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის ლოკალური ქსელები არსებობს, ძირითადად გამოიყენება ორი მათგანი: ქსელი „კლიენტი-სერვერი“ და ერთრანგიანი ქსელი.



ქსელი „კლიენტი-სერვერი“ (client-server network). ამ ტიპის ლოკალურ ქსელში მომუშავე სადგურებისა და სერვერების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მართვა მათ შორისაა განაწილებული. ამ არქიტექტურაში გამოყენებითი პროგრამების დამუშავება განაწილებულია კლიენტ-კომპიუტერსა და კომპიუტერ-სერვერს შორის. როგორც წესი, სერვერად გამოყენებულია უფრო მძლავრი კომპიუტერი. სერვერი კლიენტს მრავალმომხმარებლიან გარემოში მუშაობის ტრადიციულ უპირატესობებს ანიჭებს. ეს არის მონაცემების მართვა, ინფორმაციაზე კოლექტიური მუშაობა, მონაცემებისა და მათი დაცვის შესაძლებლობის ქსელური აღმინისტრირება.

დამასრულებელი

ლოკალური ქსელი
გლობალური ქსელი
ქსელი „კლიენტი-სერვერი“
ერთრანგანი ქსელი
ტოპოლოგია
ტოპოლოგია „სალტე“
ტოპოლოგია „რგოლი“
ტოპოლოგია „ვარსკვლავი“


ერთრანგიანი ქსელი (peer to peer networks). ამგვარი არქიტექტურის ქსელში ყველა კომპიუტერი ერთმანეთის თანასწორია. აქ არც ერთი კომპიუტერი არ თამაშობს სერვერის როლს. ქსელის მომხმარებლები თავად განსაზღვრავენ, კომპიუტერში არსებულ რომელ ფაილებს გაუზიარებენ სხვა მომხმარებლებს. ასეთი ქსელის მოწყობა და მისი მართვა ძალიან ადვილია. მცირე ოფისები, როგორც წესი, უპირატესობას ერთრანგიან ქსელებს ანიჭებუნ. ქსელის შექმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ტოპოლოგიას**, ანუ ქსელური მოწყობილობებისა და კაბელების განლაგებისა და შეერთების სქემას. აუცილებელია ისეთი სტრუქტურის (გრაფის) არჩევა, რომ ქსელი საიმედოდ და ეფუძნილა მუშაობდეს და შესაძლებელი იყოს ინფორმაციის ნაკადის ადვილად მართვა. ქსელების უმრავლესობა სამი ტოპოლოგიის საფუძველზე იგება:

1. ტოპოლოგია „სალტე“. ამ ტოპოლოგიაში ლოკალური ქსელის ყველა კომპიუტერი ერთ საერთო კაბელთანაა მიერთებული. ამგვარ ქსელში მონაცემები ქსელის ყველა კომპიუტერს გადაეცემა. თითოეული კომპიუტერი ამონმებს, მისთვისაა თუ არა განკუთვნილი ინფორმაცია. თუ ინფორმაცია მართლაც მისთვისაა განკუთვნილი, ის მას მიიღებს და დამუშავებს. ამ ტოპოლოგიას სხვანარად ხაზებან ტოპოლოგიასაც უწოდებენ. ის ძალიან მარტივია და იაფიც ჯდება (ცოტა კაბელი სჭირდება), მაგრამ ზოგიერთი ნაკლოვანებით ხასიათდება. ამ ქსელის რომელიმე ნაწილის გაუმართობა მთელი ქსელის მუშაობის შეფერხებას ინვერს. სწორედ ამ მიზეზის გამო ნარსულში ძალიერ პოპულარული ტიპოლოგია „სალტე“ დღეს პრაქტიკულად, აღარ გამოიყენება.




2. ტოპოლოგია „რგოლი“. ამ ტოპოლოგიის შემთხვევაში ყოველი კომპიუტერი ორ სხვა კომპიუტერთანაა შეერთებული, ილებს ინფორმაციას ერთისგან და გადასცემს მას მეორეს. ბოლო კომპიუტერი პრეველთანაა შეერთებული და ასე იკვერება წრე. ამ ტოპოლოგიასაც უპირატესობაზე მეტი ნაკლი აქვს, მაგალითად, ძნელი დასადგენია, სად არის ლოკალიზებული გაუმართობა. ერთი კომპიუტერის მწყობრიდან გამოსვლა გავლენას ახდენს მასთან

შეერთებული კომპიუტერების და, საბოლოოდ, მთელი ქსელი მუშაობაზე. ამიტომ დღესდღეობით რგოლურ ქსელსაც იშვიათად ვხვდებით.




3. **ტოპოლოგია „ვარსკვლავი“.** ამ ტოპოლოგიაში, რომელიც გამოთვლითი ტექნიკის განვითარების საწყის ეტაპებზევე გაჩნდა, ყველა კომპიუტერი მძლავრ ცენტრალურ კომპიუტერთანაა მიერთებული. ასეთი კონფიგურაციისას ყველა მონაცემი მხოლოდ ცენტრალური კომპიუტერიდან გადაეცემა და ქსელის ყველა ნაწილს შორის ინფორმაციის გაცვლაზეც სწორედ ის აგებს პასუხს.



**შევისწავლოთ
დამოუკიდებლად**

განსაზღვრეთ, რომელ ქსელურ ტოპოლოგიას შეესაბამება მოცემული გრაფები.



ამ გრაფებიდან რომელს ჰგავს გრაფი, რომელიც თქვენ ბლოკ „საქმიანობაში“ ააგეთ? მოცემული გრაფებისთვის შექმნით წონითი მატრიცა (თითოეული წიბოს წონად მისი სიგრძე ჩათვალეთ).

**შეამოხვი შეი
ცოდნა?**

1. ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, რა სახეებად იყოფა კომპიუტერული ქსელები?
2. საიდან მომდინარეობს სახელწოდებები: „კლიენტი-სერვერი“ და „ერთრანგიანი ქსელი“?
3. რა არის ქსელის ტოპოლოგია და რა სახის ტოპოლოგიებს იყენებენ კომპიუტერულ ქსელებში?
4. თუ თქვენს სკოლაში არის კომპიუტერული ქსელი, განსაზღვრეთ, რა ტოპოლოგიითაა იგი მოწყობილ?
5. არის თუ არა ტოპოლოგიის ყველა სახე გრაფი?

ინფორმაციის გადაცემა



- როგორ წარმოგიდგენიათ გზა, რომელსაც გაივლის ინფორმაცია ჩვეულებრივი და მობილური ტელეფონებით ლაპარაკის დროს?
- როგორ გადაცემა ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით?

საქმიანობა

დაალაგეთ ნახატები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით. აღწერეთ ინფორმაციის გადაცემის საშუალება თითოეული ნახატის მიხედვით.



ვიმსჯელოთ:

- რა სახის ინფორმაცია გადაიცემა თითოეული ამ საშუალების მეშვეობით?
- როგორ ფიქრობთ, ინფორმაციის გადაცემის კიდევ რომელმა საშუალებებმა მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე?

ინფორმაციის გაცვლის საშუალებები რომ არა, საზოგადოება ვერ განვითარდებოდა. დაგროვილი ინფორმაციისა და შექნილი ცოდნის გავრცელება და თაობიდან თაობისთვის გადაცემა ადამიანთა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესი შემდეგი მარტივი სქემის დახმარებით მეობლება გადმოიცეს:

ინფორმაციის ხეართ




კავშირგაბ-
მულობის
პრეზი



ინფორმაციის მიმღები

ინფორმაციის წყაროდან გამოსული ინფორმაცია კავშირგაბმულობის არხის გავლით აღწევს ინფორმაციის მიმღებამდე. ამ სქემის თთოვეულ ნაწილს მისთვის დამახასიათებელი თვისებები, ანუ პარამეტრები, გააჩნია და გადაცემის ხარისხი ამ პარამეტრებზეა დამოკიდებული.

ზემოთ მოცემული სქემა ძალზე გამარტივებულია. სინამდვილეში ეს პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:



ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი არსება, ისე ტექნიკური მოწყობილობა (მაგალითად, კომპიუტერი). წყაროდან ინფორმაცია კოდირების მოწყობილობას (მაგალითად, მოდემს) გადაეცემა. ეს მოწყობილობა მიღებულ ინფორმაციას იმ ფორმად გარდაქმნის, რომელიც მოსახერხებელია გადასაცემად. კავშირგაბმულობის არხში (მაგალითად, სატელეფონო ხაზში) გავლის შემდეგ ინფორმაცია დეკოდირების მოწყობილობაში (მაგალითად, მოდემში) ხვდება, რომელიც მას მიმღებისთვის გასაგებ ფორმად გარდაქმნის.

ინფორმაციის ერთი კომპიუტერიდან მეორეში გადასაცემად აუცილებელია დამაკავშირებელი როგორის – არხის არსებობა. ამგვარი არხის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სატელეფონო ქსელი, რომელიც დღეს-დღეობით ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. სატელეფონო სისტემა აერთიანებს ყველა სატელეფონო ქსელს – ლიკალურს, დაშორებულს, მობილურს, თანამგზავრულს. მართალია, სატელეფონო ქსელი ხმოვანი კავშირისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ამჟამად მას სხვა მონაცემების (მაგ., ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, ცოცხალი აუდიოს და ვიდეოს) გადასაცემადაც ფართოდ იყენებენ.

არხებით მონაცემების გადასაცემად აუცილებელია კავშირგაბმულობის ან ფიზიკური, ან უსადენო საშუალებები.

ფიზიკური საშუალებები. მონაცემების გადასაცემად რამდენიმე სახის ფიზიკური საშუალება არსებობს.

კაბელი „გრეხილი წყვილი“. ეს კაბელი ყველაზე იაფია და სატელეფონო სისტემების უმრავლესობაში გამოიყენება. იგი ორი იზოლირებული და ერთმანეთზე გადაგრეხილი სადენისგან შედგება. ერთ-ერთ სადენს მოაქვს სიგნალი, მეორე კი დამიწებულია. დამიწებული სადენი (მისი ბოლო მინაშია ჩაფლული) შთანთქავს რადიოდაბრკოლებებს, რითაც იცავს მეორე სადენით გადაცემულ სიგნალებს.

კოქსიალური კაბელები. კაბელის ამ სახეობას, რომლითაც ძირითადად სატელევიზიო სფეროში სარგებლობენ, კომპიუტერულ ქსელებშიც ფართოდ იყენებენ. კოქსიალური კაბელი შედგება ორი სადენისგან:

დაგენერაცია


ფიზიკური საშუალებები უსადენო საშუალებები კაბელი „გრეხილი წყვილი“ კოქსიალური კაბელი ფიბროპლატიკური კაბელი რადიოსიგნალები მიკროტალები თანამგზავრული კავშირგაბმულობის საშუალებები

ცილინდრული ფორმის ეკრანისა და მასში მოთავსებული ცენტრალური იზოლირებული სადენისგან.

ამ იზოლაციის წყალობით, კოაქსიალურ კაბელში გამავალ სიგნალებს არ ემუქრება დაბრკოლებები, რომლებსაც სხვა გადამცემები და ელექტრონული მოწყობილობები წარმოქმნის. ამ უპირატესობის მიუხედავად, ეს კაბელი უფრო ძვირია, ვიდრე გრეხილი წყვილი.

ფიბროოპტიკური კაბელი. ფიბროოპტიკური (ბოჭკოვან-ოპტიკური) კაბელი თხელი ელასტიკური მინის მიღავებისგან მზადდება. ეს კაბელი კავშირგაბმულობის ტრადიციულ მეტალის ხაზებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ფლობს. სიგნალების გატარების ფართო არხის წყალობით მას შეუძლია ბევრად მეტი მონაცემის გადაცემა გაცილებით იოლად, ვიდრე მეტალის სადენებს. ამავე დროს ის ნაკლებად ექვემდებარება დაბრკოლებებს. ფიბროოპტიკური კაბელის ძირითადი ნაკლი მისი სიმყიფე და სიძვირეა.

მონაცემების გადაცემის ფიზიკური საშუალებები



კაბელი „გრეხილი წყვილი“



კოაქსიალური კაბელი



ფიბროოპტიკური კაბელი


ამჟამად, ფიზიკურ საშუალებებთან ერთად, ფართოდ გამოიყენება კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებიც.

- **რადიოსიგნალები.** რადიოსიგნალების დახმარებით მონაცემების გადაცემის დროს გადამცემის ანტენებსა და მიმღებს შორის პირდაპირი ხილვადი კავშირი უნდა იყოს, ანუ სიგნალი ერთი პუნქტიდან მეორეში პირდაპირი ხაზით უნდა მიდიოდეს. რადიოკავშირისთვის საჭიროა რადიოგადამცემი, რომელიც სიგნალებს გზავნის, და რადიომიმღები, რომელიც ამ სიგნალებს იქერს.
- **მიკროტალები.** მიკროტალოვანი სიგნალები სივრცეში ელექტრომაგნიტური ტალღების სახით ვრცელდება. რადიოსიგნალების მსგავსად, ისინიც პირდაპირი ხაზით გადაეცემა ერთი მიკროტალოვანი სადგურიდან მეორეს. დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად მიკროტალლოვანი სადგურების უმრავლესობა შემაღლებულ ადგილებზე ან მაღალსართულიან შენობებზე იდგმება.
- **თანამგზავრული კავშირგაბმულობის საშუალებები.** თანამგზავრული ანტენები დედამიწის ორიბიტაზე, მისი ზედაპირიდან ათეულობით ათასი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ასეთი სიმაღლის წყალობით თანამგზავრები დედამიწის ბრუნვის სიჩქარით ბრუნავს და

მისი ზედაპირის მიმართ ერთ წერტილში სტაბილურ მდებარეობას ინარჩუნებს. თანამგზავრები აღჭურვილია მოწყობილობებით, რომლებიც აძლიერებს დედამიწიდან გაგზავნლ სიგნალებს და კვლავ უბრუნებს მათ დედამიწას.

- ქსელის კონსტრუირებისა და კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალების არჩევისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული რამდენიმე ფაქტორი: ქსელის სახე, მისი ზომები (მასშტაბი) და ლირებულება.

მონაცემთა გადაცემის უსადენო საშუალებები



მიკროტალღოვანი კოშკურები თანამგზავრული კავშირგაბმულობა

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

შეკრიბეთ ინტერნეტიდან ინფორმაცია Wi-Fi და Wi-Max ტექნოლოგიების შესახებ. როგორია ამ ტექნოლოგიებით ინფორმაციის გადაცემის მაქსიმალური სიჩქარე? რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია მათ?

შეამოხვა შენი ცოდნა

- როგორია მონაცემთა გადაცემის ზოგადი სქემა?
- რა არის კავშირგაბმულობის არხები და როგორ კლასიფიცირდება ისინი?
- კავშირგაბმულობის რომელ უსადენო საშუალებებს იყენებენ მონაცემთა გადასაცემად?
- კაბელის რომელი სახეობაა გამოყენებული თქვენი სკოლის კომპიუტერულ ქსელში?
- როგორ ფიქრობთ, რომელი სიგნალების დახმარებით გადაიცემა ინფორმაცია მობილურ ტელეფონებში?

23

33-İşbu soruların cevapları



- Rə arişəsizlərindən biri və ya dördündən biri əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.
- Rə arişəsizlərindən biri və ya dördündən biri əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.

Sənədli şəhərə

1. Gələcək sənədli şəhərinin adının "Bakı" olduğunu göstərir;
2. Gələcək sənədli şəhərinin "Bakı" olduğunu göstərir;
3. Gələcək sənədli şəhərinin "Bakı" olduğunu göstərir;
4. Gələcək sənədli şəhərinin "Bakı" olduğunu göstərir;
5. Gələcək sənədli şəhərinin "Bakı" olduğunu göstərir;
6. Gələcək sənədli şəhərinin "Bakı" olduğunu göstərir;

Sənədli şəhərə - tam ədədlər - A19

Məsələ #: 108

Bəşqərəmlili ədəd verilib. Bu ədədin ilk iki rəqəminin cəmi ilə son iki rəqəminin cəminin fərqi hesablayın.

Malumat

Zaman limiti: 2 saniye
Yaddaş limiti: 32 Mb
Bal: 20
Çətinlik: 26/29 (10 %)

İstifadəçi Paneli

- Məsələlər
- Nüümələr
- Yarışlar
- Məktublar
- Statistika
- Şəxsi məlumat
- Nizamlamalar
- Çıxış

Nüümə

Giriş verilənlərinə nümunə

12345

Çıxış verilənlərinə nümunə

6

33-İşbu soruların cevapları:

- Əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.
- Əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.
- Əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.
- Əməkdaşlığından əlavə şəhərə məlumatı təqdim etməlidir.

კომპიუტერის ინტერნეტში შესვლა ხშირად სატელეფონო კავშირის საშუალებით ხორცი-ელდება. სამწუხაროდ, სატელეფონო ქსელით ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე მეტად დაბალია. ამიტომ ინტერნეტში დროის ერთეულში გადაცემული სიმბოლოების რაოდენობის, ანუ ტრაფიკის, შემცირების მიზნით, თავად დოკუმენტს კი არა, სპეციალურ ენაზე დაწერილ მის აღნერილობას აგზავნიან. ვებ-დოკუმენტის ალანქრად ენა **HTML**-ს (HyperText Markup Language, ჰიპერტექსტის მარკირების ენა) იყენებენ (იყითხება „ეიჩ-თი-ემ-ელ“). ამ ენაზე აღნერილობის მიღების შემდეგ ბრაუზერი ქმნის სანყის დოკუმენტს – აყალიბებს ტექსტს და სათანადო ადგილებზე განათავსებს ილუსტრაციებს. ყოველ ჯერზე, როცა კი ამა თუ იმ ვებგვერდს ვხსნით, სინამდვილეში **HTML**-ის ენაზე დაწერილ დოკუმენტს ვხედავთ. ყველა ვებდოკუმენტი **HTML**-ის ენის დახმარებითაა დაფორმატებული.

იმისათვის, რომ ბრაუზერს ან სხვა პროგრამას ვაჩვენოთ, როგორ გამოიტანოს ინფორმაცია ეკრანზე **HTML**-ის ენაზე, ტეგების ნაკრებს ვიყენებთ. **ტეგები** არის ბრძანებები, რომლებიც ბრაუზერში ტექსტის ასახვის წესებს განსაზღვრავს. ტეგი ყოველთვის გახსნილი კუთხზური ფრჩხილით (ნიშანი <) იწყება და დახურული კუთხზური ფრჩხილით (ნიშანი >) მთავრდება. ტეგების მეშვეობით დოკუმენტში შესაძლებელია განყოფილებების, აბზაცების, სიების, ნახატების, ცხრილების, კოლონ-ტიტულებისა და სხვა ობიექტების მითითება, თითოეული ბლოკის ფარგლებში შრიფტის, ზომების, სიმბოლოების ფერის შეცვლა, კურსივით ან მუქი შრიფტით გამოყოფა. **HTML**-ის ენის შემქმნელად ტიმ ბერნერს-ლი (Tim Berners-Lee) ითვლება.

დამახსოვრებელი

ვებსაიტი
ვბგვერდი
HTML
ტეგი
მთავარი გვერდი




ტიმ ბერნერს-ლი
(1955)

```
<!DOCTYPE html>
<html xmlns="http://www.w3.org/1999/xhtml">
<head>
    <title>Sample HTML Page</title>
    <meta http-equiv="Content-type" content="text/html; charset=UTF-8" />
    <meta property="og:type" content="website" />
    <meta property="og:url" content="http://www.sample.com/" />
    <meta name="robots" content="index, follow" />
    <meta name="author" content="http://www.somedomain.com/" />
    <link href="http://www.somedomain.com/" rel="stylesheet" type="text/css" />
    <link href="http://www.somedomain.com/" rel="icon" type="image/x-icon" />

```

ვებგვერდების ან ვებსაიტების შესაქმნელად რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება:

1. HTML დოკუმენტის შექმნა მარტივ ტექსტურ რედაქტორში (მაგალითად, Notepad-ში ან Wordpad-ში).
2. დოკუმენტის შექმნა ტექსტურ პროცესორში (მაგალითად, Microsoft Word-ში ან OpenOffice.org Writer-ში) და ვებგვერდის HTML-ის ფორმატით შენახვა.
3. სპეციალური პროგრამებით – ვიზუალური HTML-რედაქტორით (მაგალითად, Adobe Dreamweaver, Microsoft FrontPage, Nvu) ან **საიტების კონსტრუქტორით** (მაგალითად, uCoz-ით) სარგებლობა;
რა მეთოდიც არ უნდა იქნეს არჩეული ვებსაიტის შექმნისას, პირველ რიგში საჭიროა მისი შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრა.
დავუშვათ, რომ თქვენ „ნორჩი პროგრამისტის“ წრის წევრი ხართ და ამ წრის საქმიანობის ამსახველი საიტის სტრუქტურის გრაფის ფორმით წარმოდგენა შესაძლებლობას მოგცემთ, თვალწათლივ წარმოაჩინოთ მისი შინაარსი. გარდა ამისა, ის საიტის ერთი გვერდიდან მეორეზე გადასვლის ორგანიზებაშიც დაგეხმარებათ.




ნებისმიერი საიტის ჩატვირთვის დროს თავიდან მისი **მთავარი (საშინაო) გვერდი (home page)** იხსნება. ეს გვერდი, პირველ რიგში, პასუხობს კითხვაზე: „რას შეხება ეს საიტი?“ ამისათვის მთავარ გვერდზე განათავსებენ საიტის დასახელებას, მისი თემის შესატყვის გრაფიკულ გამოსახულებას, საიტის შინაარსის ამსახველ მოკლე ტექსტს და ასევე მთავარ მენიუს, რომელიც საიტის ძირითად ნაწილებზე გადასვლას უზრუნველყოფს. მთავარ გვერდზე შეიძლება

განთავსდეს აგრეთვე მისი შემქმნელის სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია მასთან დასაკავშირებლად, ახალი ამბები და სხვა საინფორმაციო ბლოკები.

საიტის ყოველ გვერდზე, როგორც წესი, რამდენიმე მუდმივი ელემენტია, რომლებიც ერთსა და იმავე ადგილებზე მდებარეობს:

- საიტის სათაური, რომელიც გვერდის ყველაზე ზედა ნაწილში თავსდება;
- მთავარი მენუ, რომელიც, ჩვეულებრივ, გვერდის ზედა ან მარცხნა ნაწილში მდებარეობს (მენიუს პუნქტების რაოდენობა, მათი სახელწოდებები და თანამიმდევრობა საიტის ყველა გვერდზე უცვლელია).

მიზანშენონილია საიტის ყველა გვერდის ერთი და იმავე სტილით დამუშავება. სტილის შესანრჩუნებლად სასურველია საიტის ერთი გვერდის შებლონის შექმნა და მასზე ყველა გვერდისთვის სავალდებულო ელემენტების ასახვა.



- შეისწავლეთ საიტ informatika.edu.az-ის სტრუქტურა და წარმოადგინეთ იგი გრაფის ფორმით. რატომ არის საიტის სტრუქტურისთვის უფრო მისაღები არა სისებრი, არამედ გრაფის ფორმის ინფორმაციული მოდელი?
- შეამოხვე შეიძლება?**
1. რატომ გამოიყენება სპეციალური ენა ვებდოკუმენტების აღსაწერად?
 2. რა არის ტეგი და როგორ წარმოადგენენ მას HTML-ის დოკუმენტში?
 3. რა სამუალებებით ქმნიან ვებსაიტებს?
 4. რას წარმოადგენს „მთავარი გვერდი“ და რა არის მასზე განთავსებული?

საიცორმალი საზოგადოებისადმი მიძღვნილი საიტის შექმნავება

წინა გაკვეთილზე თქვენ შეიტყვეთ, რომ ვებსაიტების შექმნის მრავალი სხვადასხვა საშუალება არსებობს. ერთ-ერთი მათგანია იმ მომსახურებით სარგებლობა, რომელსაც ინტერნეტის გარკვეული საიტები გვთავაზობს. მომხმარებლებს, რომლებმაც HTML-ის ენა არ იციან და არც საიტების შექმნის გამოცდილება გააჩნიათ, ეს საიტები საშუალებას აძლევს, მოკლე დროში და ყოველგვარი ფინანსური დანახარჯების გარეშე შექმნან თავიანთი საკუთარი საიტები.

ახლა გაიგებთ, როგორ შექმნათ ერთ-ერთ ასეთ საიტზე არსებული მზა შაბლონების დახმარებით საინფორმაციო საზოგადოებისადმი მიძლვნილი საიტი. ამისათვის ჯერ გაეცანით ბლოკ „საქმიანობის“ შემდეგ მოცემულ მასალებს და განსაზღვრეთ თქვენ მიერ შესაქმნელი საიტის სტრუქტურა.

საქმიანობა

ვებსაიტის შემუშავება შაბლონების საფუძველზე


1. ჩაწერეთ ბრაუზერის მისამართების სტრიქონში მისამართი www.simplesite.com და დაჭირეთ კლავიშ `<enter>`-ს. გაიხსნება საიტის მთავარი ფანჯარა;



2. მენიუში აირჩიეთ პუნქტი Make a free website or blog. გაიხსნება შემდეგი გვერდი.




3. დააწკაპუნეთ დილაკ Personal website or blog-ზე;
4. გახსნილ გვერდზე აირჩიეთ ფერების ცხრილი და დააწკაპუნეთ ლილაკ Next: Images-ზე;




5. პროგრამა შემოგთავაზებთ სხვადასხვა გამოსახულებას მთავარი გვერდისთვის. აირჩიეთ ის, რომელიც თქვენს თემას შეესატყვისება და დაწკაპუნეთ ღილაკ Next: Backgrounds-ზე;
6. შემოგთავაზებულთაგან ერთი გამოსახულება აირჩიეთ საიტის გვერდის ფონად;



7. დააწკაპუნეთ ღილაკ Next: Headline-ზე. გახსნილ ახალ გვერდზე აკრიფეთ საიტის სათაური, მაგალითად, **საინფორმაციო საზოგადოება**.
8. დააწკაპუნეთ ღილაკ Save and continue-ზე;
9. გახსნილ გვერდზე საიტისთვის სახელის დასარქმევად მითითებულ ველში შეიყვანეთ შესაბამისი სათაური (მაგალითად, **info-sazogadoeba**). თუ ასეთი სახელი ვინმეს მიერ უკვე გამოყენებულია, გაჩნდება შეტყობინება ამის შესახებ;
10. საიტისთვის სახელის დარქმევის შემდეგ გამოვა შეტყობინება საიტის წარმატებით შექმნის თაობაზე;
11. მომდევნო გვერდზე შეიტანეთ პაროლი საიტის ადმინისტრირებისათვის;
12. მიუთითოთ ელექტრონული ფოსტის მისამართი და დააწკაპუნეთ შესაბამის ღილაკზე;
13. თუ ყველა ნაბიჯი სწორად შეასრულეთ, ბრაუზერი გამოიტანს თქვენი საიტის მთავარ გვერდს;
14. საიტის მისამართის დასადასტურებლად გაეცანით თქვენი ელექტრონული ფოსტით მიღებულ წერილს და გადადით მითითებულ ბმულზე. თქვნი საიტის მისამართში იქნება სიტყვა simplesite და ის სახელი, რომელიც თავად აირჩიეთ: **info-sazogadoeba.simplesite.com**.



15. საიტზე თემის შესატყვისი მასალების განსათავსებლად შეგიძლიათ, დამატებითი გვერდები შექმნათ. ამისათვის მარჯვნივ მდებარე პანელზე დააწკაპუნეთ ღილაკ Add a page-ზე. გაიხსნება სხვადასხვა ტიპის გვერდების ნიმუშების შემცველი ფანჯარა. აირჩიეთ ვარიანტი Standard page;



16. გვერდზე მასალების განთავსებისა და მათი რედაქტირების მიზნით დააწკაპუნეთ ღილაკ **Edit this page**-ზე, რომელიც მარჯვენა ზედა კუთხში მდებარეობს. გაეცანით გახსნილ ფანჯარაში ნაჩვენებ რედაქტორის ინსტრუმენტებს და გაარკვიეთ თითოეული ინსტრუმენტის ფუნქცია;
17. განათავსეთ გვერდზე ინფორმაცია საინფორმაციო საზოგადოების შესახებ;
18. შეკრიბეთ ინტერნეტში ინფორმაცია საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების ძირითადი მიმართულებების შესახებ და განათავსეთ იგი საიტის მეორე გვერდზე;
19. შექმნით გვერდები ფოტოალბომი და ვიდეო. მოძებნეთ თემის შესაფერისი ნახატები და ვიდეომასალა და განათავსეთ ამ გვერდებზე.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვის, გადაცემისა და დამუშავების მიზნით აუცილებელი გახდა თანამედროვე საშუალებების გამოყენება. დედამიწის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა მატერიალური ნარმოების სფეროდან ინფორმაციაზე მუშაობის სფეროში გადაინაცვლა. გაჩნდა მოსახლეობის ახალი სოციალური ფენა, რომელიც უშუალოდ არ ანარმოებს მატერიალურ ფასე-

ულობებს. გონებრივი მუშაობის ხვედ-
რითი წილის გაზრდამ იმ ადამიანთა
რიცხვიც გაზარდა, რომლებიც შრომის
ამ სახეობასთან დაკავშირებულ საქმი-
ანობის სფეროს ირჩევენ. დაიწყო ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება,
რომელსაც მეცნიერებმა „საინფორმაციო საზოგადოება“ უწოდეს.

დაიმარტინი

საინფორმაციო საზოგადოება
ელექტრონული მთავრობა

საინფორმაციო საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, რომლის წევრთა
უმრავლესობა ინფორმაციის შექმნით, შენახვით, დამუშავებითა და
გამოყენებითაა დაკავებული.

ჩამოგითვლით საინფორმაციო საზოგადოების ზოგიერთ დამახასიათე-
ბელ თავისებურებას:

1. ინფორმაციის მოცულობა ძალზე სწრაფად იზრდება და მისი
დამუშავებისა და შენახვის მიზნით ადამიანი სპეციალურ ტექნიკურ
საშუალებებს იყენებს;

ინფორმაციის მოცულობა იმ ზომამდე გაიზარდა, რომ ადამიანს არ
ძალუდს, თავად დამუშავოს იგი. ამიტომ ამ სამუშაოს სპეციალურ
ტექნიკურ საშუალებებს აკისრებს. კომპიუტერები უზრუნველყოფს სანდო
საინფორმაციო წყაროების გამოყენებას, ამცირებს არაპროდუქტიული
საქმიანობის ხვედრით წილს, აჩქარებს ოპტიმალური გადაწყვეტილებების
მიღებას და განაპირობებს ინფორმაციის ავტომატურ დამუშავებას.

2. ძალზე სწრაფად ვითარდება კომპიუტერული ტექნიკა, კომპიუტერული
ქსელები, საინფორმაციო ტექნოლოგიები. ინტერნეტის ქსელს მომხმა-
რებელთა რიცხვი მილიონებს ითვლის. თანამედროვე მულტიმედიური
სისტემების გამოყენება, რომლებიც თავის თავში აერთიანებს სხვადასხვა
მოწყობილობის (კომპიუტერის, ტელევიზორის, რადიოს, ტელეფონისა და ა.შ.)
ფუნქციებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების უნივერსალიზაციას განაპი-
რობებს. ინფორმაციის შესანახვად განვითვნილი მოწყობილობები კი
განუწყვეტლივ პატარავდება და უკვე ხელის გულზეც კი ეტევა. ამ
მოწყობილობებში თავისუფლად თავსდება როგორც პირადი, ისე რამდენიმე
ენციკლოპედიის ტოლფასი უნივერსალური ცნობარები. ამ მოწყობილობების
ინტერნეტის ქსელთან მიერთებით შესაძლებელია ოპერატორი ინფორმაციის
მიღება, მაგალითად, ამინდის ან გზებზე არსებული საცობების შესახებ.

3. მიმდინარეობს ფასეულობათა გადაფასება, ცხოვრების და კულ-
ტურული დასვენების ყაიდის შეცვლა.

თანამედროვე ადამიანის თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს კომპი-
უტერული თამაშები იკავებს. ამჟამად ისინი ქსელურ თამაშებად ტრან-
სფორმირდება და მათში ერთდროულად რამდენიმე, ტერიტორიულად
ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად დაშორებულ ადამიანს შეუძლია მონაწი-
ლეობის მიღება. იზრდება ინტერნეტში გატარებული დრო, სადაც შესა-
ძლებელია „მოგზაურობა“ საგანმანათლებლო საიტებზე, ვირტუალურ
მუზეუმებში, ლიტერატურის კითხვა და ა.შ.

დღიდი პოპულარობით სარგებლობს ონლაინ ურთიერთობის მომსახუ-
რებანი, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, იურთიერთონ
შორს მყოფ ადამიანებთან რეალური დროის რეჟიმში.

4. ადამიანების სახლებში გაჩნდა სხვადასხვა ელექტრონული ხელ-
საწყო და კომპიუტერიზებული მოწყობილობა.

ე.წ. „ჭკვიანი სახლის“ სისტემა, სადენების ერთობლიობის ნაცვლად, ერთი ძალური და ერთი საინფორმაციო კაბელით აღიჭურვება, რომელიც თავის თავზე იღებს ყველა საინფორმაციო კავშირს, საკაბელო ტელევიზიისა და ინტერნეტში გასვლის ჩათვლით. სპეციალური ელექტრონული ბლოკი აკონტროლებს საყოფაცხოვრებო ტექნიკას და ცხოვრების უზრუნველყოფის ყველა სისტემას. „ჭკვიან სახლებს“ მიემატება „ჭკვიანი მანქანები“. მათში, გარდა კომპიუტერისა, რომლებიც ავტომობილის ტექნიკურ ნაწილს გაუწევს მეთვალყურეობას, იუნიციონირებს ასევე ქალაქის საინფორმაციო სამსახურებთან და კავშირებული სისტემა. ასეთი ავტომობილი „ჭკვიან სახლთან“ იქნება დაკავშირებული და მის მართვას შეძლებს.

5. ენერგიისა და მატერიალური ფასეულობების ნარმოება მანქანებს დაეკისრება, ადამიანი კი, ძირითადად, ინფორმაციის დამუშავებით იქნება დაკავებული.

ნარმოებაში ხდება ადამიანთა კადრების შემცირება და რობოტებისა და მანიპულატორების დანერგვა.

6. განათლების სფეროში უწყვეტი განათლების სისტემა შეიქმნება. ადამიანს მიეცემა საშუალება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისწავლოს, რათა ცხოვრებას არ ჩამორჩეს, შეიცვალოს პროფესია და საზოგადოებაში ღირსეული ადგილი დაიკავოს.

7. ბავშვებს საშუალება ეძლევათ, სახლში მიიღონ განათლება კომპიუტერული პროგრამებისა და ტელეკომუნიკაციის საშუალებით.

ამასთან დაკავშირებით, სწავლების პროცესში იცვლება მისი ფორმები და ნარმოიქმნება პრობლემები აღზრდის ასპექტში.

8. ნარმოიქმნება და ვითარდება საინფორმაციო მომსახურების პაზარი.

ინფორმაცია იქცევა საქონლად და მომსახურების საგანგებო სახედ, რომლის გაყიდვა და შეძენა ისევე შესაძლებელია, როგორც ნებისმიერი სხვა საქონლისა.

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

შედით ელექტრონული მთავრობის პორტალზე (<https://www.e-gov.az/>) და გაეცანით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ შემოთავაზებულ მომსახურების სახეებს. დარეგისტრირდით პორტალზე, ისარგებლეთ განათლების სამინისტროს მომსახურებით „ელექტრონული ცნობა განათლების მიღების ადგილის შესახებ ზოგადსაგანგმნათლებლიო სკოლების მოსწავლეთათვის“ და მიღეთ ელექტრონული ცნობა თქვენ შესახებ.

შეამონეთ შენი ცოდნა

1. რა უპირატესობა აქვს საიტების შექმნას მზა შაბლონების დახმარებით?
2. როგორ განათავსეთ ტექსტი თქვენ მიერ შექმნილ საიტზე?
3. რა გაიგეთ საინფორმაციო საზოგადოების შესახებ?
4. დაასახელეთ საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითადი მიმართულებები

25 ഓമ്പാട്ടുവാരനാട്ട് റെഡിപ്പണികൾ

- რა რაოდენობის სხვადასხვა აბიექტს შეიძლება მიუცეს მისამართი 8 თანამიმდევრული ბიტის მეშვეობით? 32 ბიტის მეშვეობით?
 - რით განსხვავდება ქსელში კომპიუტერები ერთმანეთისგან?

საქათანა

1. პრაუზერის მისამართების სტრიქონში აკრიფეთ <http://www.speedguide.net/ip/> და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს;
 2. გახსნილი გვერდის ვეღ Search IP address or hostname-ში აკრიფეთ *informatika.edu.az* და დააჭირეთ კლავიშ **<Enter>**-ს. გაიხსნება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად მდებარეობს საიტ *informatika.edu.az*-ის სერვერი და მისი განთავსების რეგუ.


Search IP address or hostname:  GO

82.194.5.56 IP address Information

The IP address 82.194.5.56 was found in Baku, Baki, Azerbaijan. It is allocated to Azedunet LLC. Additional IP location information, as well as network tools are available below.

IP address: 82.194.5.66
ISP: Azedunet LLC
City: Baku
Region: Baku
Country: Azerbaijan (AZ) 
latitude: 40.3953
longitude: 49.8822

82.194.5.56 Location Map



ଓଡ଼ିଆ

- რაზე მიუთითობს აპრევიატურა ISP, რომელიც „Internet Service Provider“-ის შემოკლებული ფორმაა?
 - საო მოიძარიბს საიტ *informatika.edu.az*-ის სერვირი?


ქსელის ყოველ კომპიუტერს თავისი უნიკალური IP-მისამართი აქვს (იკითხება „ა-პ-ი - მისამართი“). თითოეული მისამართი 32-პიტიანი ორნიშნა რიცხვია. მოხერხებულობისათვის ამ რიცხვს წერტილებით გამოყოფილი ოთხი ათობითი რიცხვის სახით წარმოადგენ. ამ ათობითი რიცხვებიდან თითოეულს შეიძლება მიენიჭოს მნიშვნელობა 0-255-ის ფარგლებში.

172 . 16 . 254 . 1
↓ ↓ ↓ ↓
10101100.00010000.11111110.00000001

ცხადია, ციფრულის ასეთი ნაკრების დამახსოვრება ძნელია. ამიტომ შეიქმნა სახელთა დომენური სისტემა – **DNS** (Domain Name Service), რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, IP მისამართების ნაცვლად, უფრო გასაგები სახელწოდებები (მაგალითად, www.informatika.edu.az) გამოიყენონ. მაშასადამე, როცა მომხმარებელი მისამართების სტრიქონში შესაბამის სახელს წერს, DNS-სერვერი მას ავტომატურად IP-მისამართად გარდაქმის.

ქსელში ყველა სახელი სხვადასხვა დონის დომენებად არის დაყოფილი. ყველა ქვეყნისთვისა გამოყოფილი პირველი დონის დომენი. მაგალითად, დომენი „az“ აზერბაიჯანს ეკუთვნის, „de“ – გერმანიას, „ge“ – საქართველოს. ე.წ. ტერიტორიული დომენებისთვის პირველი დონის სხვა დომენებიცაა დამახასიათებელი, მაგალითად, დომენი „com“ აერთიანებს კომერციულ ორგანიზაციებს, დომენი „gov“ – სახელმწიფო ორგანიზაციებს. პირველი დონის დომენები ცოტაა და ახალი დომენები იშვიათად ჩნდება. პირველი დონის თითოეული დომენი შეიძლება იყოს უფრო დაბალი დონის უამრავი დომენის მისამართი.

დომენის მფლობელს თავისი დომენის ქვედომენების შექმნა შეუძლია.



ყოველი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელსაც სურს, წარდგენილი იყოს ინტერნეტში, ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დომენური სახელის შერჩევას. დომენური სახელები შემდეგ პრინციპებს უნდა ექვემდებარებოდეს:

- შერჩეული სახელი საიტის არსს უნდა შეესაბამებოდეს;
- სახელი, შეძლებისდაგვარად, ძალიან გრძელი არ უნდა იყოს;
- უნდა ვეცადოთ, რომ დომენის სახელი არ შეიცავდეს იმ ასოებს, რომლებიც ინგლისურ ანბანში არ არის.

როგორც თითოეულ კომპიუტერს აქვს თავისი მისამართი ინტერნეტში, ისე ყოველ რესურსს – ვებგვერდს აქვს თავისი მისამართი. მას URL-მისამართს („იუ-არ-ელ“) უწიდებენ (აბრევიატურა URL წარმოქმნილია ინგლისური ფრაზის, „Uniform Resource Locator“-ის, შემოკლების შელეგად და რესურსების ერთიან მაჩვენებელს ნიშნავს. ბრაუზერი ამ მისამართს ნებისმიერი ინტერნეტრესურსის – დოკუმენტის თუ მისი ნაწილის – მოსახებად იყენებს.

URL-მისამართი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს რესურსების ადგილმდებარებას ინტერნეტში. თითოეული ასეთი მისამართი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი მათგანი რესურსის იდენტიფიკატორია, მეორე კი მოცემული რესურსის ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. ტიპური URL-მისამართი ასე გამოიყურება:

<http://informatika.edu.az/tasks.php?action=result>

მისამართის პირველი ნაწილი **http://** პროტოკოლს წარმოადგენს და გვიჩვენებს, რომ რესურსი ვებსაიტია. **პროტოკოლი** წესების ან სტანდარტების ნაკრებია, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერებს შორის ურთიერთობისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის მოწესრიგებას მინიმალური შეცდომებით. იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ დარჩენილი

მეორე ნაწილი, გავყოთ იგი ორად. პირველი ნაწილი (informatika.edu.az) – იმ კომპიუტერის დომენური სახელია, რომელშიც რესურსია მოთავსებული; მეორე ნაწილი ([/tasks.php?action=result](http://tasks.php?action=result)) კონკრეტული ვებრესურსის (ვებგვერდის) სახელზე მიუთითებს.

დაგუშვათ, რომ თქენ შექმენით საიტი და განუსაზღვრეთ მას დომენური სახელი. მაგრამ როგორ განათვასებთ მას ინტერნეტში? პირველ რიგში, თქვენ უნდა დაარეგისტრიროთ დომენური სახელი. გაითვალისწინეთ, რომ სათანადო დომენური სახელის შერჩევა საქმის მხოლოდ ნაწილია. სავსებით შესაძლებელია, ეს სახელი უკვე ჰქონდეს ვინმეს დარეგისტრირებული თავის სახელზე.

დომენური სახელების რეგისტრაციას კერძო კომპანიები აწარმოებს. ასე მაგალითად, დომენურ სახელ „az“-ს კომპანია „ინტრანს“ გასცემს. იქ რეგისტრირდება მეორე დონის დომენები. მაგალითად, ასეთი დომენებია საიტების ინტერნეტის ქსელის ნებისმიერ სერვერზე განთავსებითა და მათი მომსახურებითაა დაკავებული ასევე კერძო კომპანიები – პროვაიდერები. ასეთ მომსახურებას ჰოსტინგს უწოდებენ. ჰოსტინგის მომსახურება ფასიანია, თუმცა არსებობს კომპანიები, რომლებიც უფასო მომსახურებას ეწევა.

დაგენერირება

დომენური სახელი
დომენური სახელების სისტემა
IP მისამართი
DNS მისამართი
პროტოკოლი
პროვაიდერი
ჰოსტინგი

შევისწავლოთ დამოუკიდებლად

IP დამისამართების (IPv4) არსებული სისტემის მეშვეობით 4 294 967 296 (256x256x256x256) კომპიუტერს შეიძლება მიეცეს განუმეორებელი სახელი. რატომ გახდა აუცილებელი IP-დამისამართების მე-6 ვერსიაზე გადასვლა? ჩაატარეთ კვლევა და მოამზადეთ პრეზენტაცია IP?6-დამისამართების სისტემის მნიშვნელობის შესახებ.

შეამოვე შეი ცოდნა

- რა ფორმითაა წარმოდგენილი კომპიუტერების მისამართები ქსელში?
- რა IP მისამართი აქვს განათლების სამინისტროს ოფიციალურ საიტს?
- რას გვიჩვენებს URL-მისამართი?
- რაში გამოიხატება ჰოსტინგის მომსახურება?
- წარმოადგინეთ 32-ბიტიანი IP-მისამართი 1100110110100010000101001111010 ოთხი ათობითი, ერთმანეთისგან ნერტილებით გამოყოფილი რიცხვის სახით.
- ჩანარეთ ოთხი ათობითი რიცხვისგან შედგენილი IP მისამართი: 145.120.30.56 32-ბიტიანი სახით.

შემაჯამარებელი კითხვები და დავალებები

- ჩამოთვალეთ ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საშუალებები.
- ახსენით ერთრანგიანი ქსელის მუშაობის პრინციპი.
- დაადგინეთ თქვენს რეგიონში (ქალაქში) მოქმედი პროვაიდერი კომპანიების სახელწოდებები.
- რა შემთხვევაში წარმოადგენენ ობიექტის ინფორმაციულ მოდელს გრაფის ფორმით?
- მოიფიქრეთ მოცემული თემებიდან ერთ-ერთის სტრუქტურა და გამოსახულეთ იგი გრაფის ფორმით:
 - „ჩემი სკოლა“;
 - „ჩემი ოჯახი“;
 - „ჩემი სამშობლო“.
- რისთვისაა საჭირო IP-მისამართი?
- დომენური სახელების რომელი ჯგუფებისა და სტრუქტურების კუთვნილებაზე მიუთითებს დომენი „.gov“?
- გაანალიზეთ შემდეგი დომენური სახელები:
 - bakimektebleri.edu.az*
 - az.wikipedia.org*

ცნობილი ალგორითმები

ევკლიდეს ალგორითმი (უდიდესი საერთო გამყოფის პოვნა)

ევკლიდეს ალგორითმი – არის ორი მთელი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფის პოვნის ალგორითმი.

როგორც მათემატიკის კურსიდან იცით, ორი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფი (უსბ) არის ის უდიდესი რიცხვი, რომელზედაც ეს რიცხვები უნაშთოდ იყოფა.

გამოკლებით უსბ-ის პოვნის ალგორითმის ალწერა

გამოკლებით უსბ-ის პოვნის ალგორითმის ალწერა

1. დიდ რიცხვს გამოვაკლოთ პატარა;
2. თუ 0-ს მივიღებთ, ე.ი. ეს რიცხვები ერთმანეთის ტოლია და უსბ-ს ნარმოადგენს (საჭიროა ციკლიდან გამოსვლა);
3. თუ გამოკლების შედეგი 0-ს არ უდრის, მაშინ დიდ რიცხვს შევცვლით გამოკლების შედეგით;
4. გადავალთ პირველ ნაბიჯზე.

მაგალითი

ვიპოვოთ 30-ისა და 18-ის უსბ.

$$30 - 18 = 12$$

$$18 - 12 = 6$$

$$12 - 6 = 6$$

$6 - 6 = 0$ დასასრული: უსბ საკლებისა და მაკლების ტოლია.

$$\text{უსბ } (30, 18) = 6$$

პროგრამა Python-ის ენაზე

```
a = int(input('შეიყვანეთ პირველი რიცხვი'))  
b = int(input('შეიყვანეთ მეორე რიცხვი'))  
  
while a != b:  
    if a > b:  
        a = a - b  
    else:  
        b = b - a  
  
print ('უსბ =', a)
```

ორი რიცხვის უსბ-ის პოვნის ეს ალგორითმი ყველაზე ოპტიმალური არ არის, მაგალითად, როცა

$a = 1000\ 000$ და $b = 2$ ეს ალგორითმი 500000-ჯერ შესრულდება.

გაყოფით შებ-ის პოვნის ალგორითმის აღწერა

1. გავყოთ დიდი რიცხვი პატარაზე;
2. თუ ნაშთი ნულია, მაშინ შებ პატარა რიცხვი იქნება (საჭიროა ციკლიდან გამოსვლა);
3. თუ განაყოფი ნული არ არის, მაშინ დიდი რიცხვი უნდა შევცვალოთ გაყოფის ნაშთით.
4. გადავიდეთ პირველ ნაბიჯზე;

მაგალითი:

ვიძოვოთ 30-ისა და 18-ის შებ.

$$30/18 = 1 \text{ (ნაშთი 12)}$$

$$18/12 = 1 \text{ (ნაშთი 6)}$$

$$12/6 = 2 \text{ ნაშთი 0. ბოლო გამყოფი არის შებ: } \text{შებ} (30, 18) = 6$$

პროგრამა Python-ის ენაზე

```
a = int(input('შეიყვანეთ პირველი რიცხვი '))
b = int(input('შეიყვანეთ მეორე რიცხვი '))

while a!=0 and b!=0:
    if a > b:
        a = a % b
    else:
        b = b % a

print (a+b)
```

შენიშვნა:

ციკლში გაყოფის შედეგად დარჩენილი ნაშთი ენიჭება ცვლად a -ს ან ცვლად b -ს. თუ ნაშთი ნულის ტოლია (ჩვენ არ ვიცით, a -შია ის თუ b -ში, ამიტომ ორივე პირობას შევამონმებთ), ციკლი მთავრდება. ბოლოში, რადგან უცნობია, რომელ ცვლადს მიენიჭა შებ, გამოიტანება მათი ჯამი – $a + b$ (ერთ-ერთი ცვლადი ყოველთვის ნულის ტოლია და ჯამზე გავლენას ვერ მოახდენს).

$$\begin{aligned} T_{\bar{\delta}}(a, b) &= T_{\bar{\delta}}(a - b, b) \\ \text{or } a > b \\ T_{\bar{\delta}}(36, 48) &= T_{\bar{\delta}}(36, 48 - 36) = \\ &= T_{\bar{\delta}}(36; 12) = T_{\bar{\delta}}(12; 36 - 12) = T_{\bar{\delta}}(12, 24) = \\ &= T_{\bar{\delta}}(12, 24 - 12) = T_{\bar{\delta}}(12, 12) = 12 \end{aligned}$$

პროგრამა Python-ის ენაზე ფუნქციის გამოყენებით

```
def nod(a,b):
    while a != 0 and b != 0:
        if a > b:
            a = a % b
        else:
            b = b % a
    return a + b
a = int(input('შეიყვანეთ პირველი რიცხვი '))
b = int(input('შეიყვანეთ მეორე რიცხვი '))
print (nod(a, b))
```

ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- დაწერეთ პროგრამა, რომელიც პოულობს სამი რიცხვის უდიდეს საერთო გამყოფს.
- გამოიყენეთ ეკვლიდეს ალგორითმი ორი რიცხვის უდიდესი საერთო გამყოფის პოვნისათვის და დაწერეთ პროგრამა N მოცემული რიცხვების უსბის საპოვნელად.
- გამოიყენეთ ფორმულა $\text{უსბ} = ab/\text{უსბ} (a,b)$ და დაწერეთ პროგრამა ორი ნატურალური რიცხვის, a-სა და b-ს, უმცირესი საერთო ჯერადის (უსბ)-ის საპოვნელად;
- მოცემულია N მთელი რიცხვები. იპოვეთ მათ შორის ორი ისეთი რიცხვი, რომელთა უსბ უდიდესი იქნება.
- მოცემულია N მთელი რიცხვები. იპოვეთ მათ შორის ორი ისეთი რიცხვი, რომელთა უსბ უმცირესი იქნება.

ფაქტორიალის გამოთვლა

ნატურალური რიცხვის ფაქტორიალს უწოდებენ 1-დან ამ რიცხვამდე ყველა რიცხვის ნამრავლს, მაგალითად რიცხვ 5-ის ფაქტორიალია $1 \times 2 \times 3 \times 4 \times 5 = 120$. ფაქტორიალის გამოთვლის ფორმულა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$n! = 1 \times 2 \times \dots \times n,$$

სადაც n მოცემული რიცხვია, ხოლო $n!$ – ამ რიცხვის ფაქტორიალი. ამ ფორმულისა და ციკლ while -ის გამოყენებით, რიცხვის ფაქტორიალის გამოთვლის ფორმულა შეიძლება ასე ჩავწეროთ:

პროგრამა Python-ის ენაზე

```
n = input("რიცხვი, რომლის ფაქტორიალის პოვნაა საჭირო ")
n = int(n)
f = 1
i = 1
while i < n:
    f = f * i
    i = i + 1
print (n, "!" = ", ", f)
```

დავუშვათ, რომ $n = 5$, ე.ი უნდა გამოვთვალოთ $5!$ ციკლ while -ს სხეულში პირველი გავლისას ცვლად f -ს ენიჭება მნიშვნელობა 1×1 , მეორე გავლის შემდეგ – 1×2 , შემდეგ – 2×3 , 6×4 და 24×5 . მეექვსეჯერ ციკლი while არ შესრულდება, ვინაიდან ცვლად i -ს მნიშვნელობა 5 -ს გაუტოლდება და პირობა $i < n$ არ შესრულდება. შევნიშნავთ, რომ პირობის თანახმად, მიღებულია: $0! = 1$ և $1! = 1$

$$0! = 1$$

ამოცანები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- დაწერეთ ფორმულის მიხედვით გამოთვლის პროგრამა მოცემული n და k ($k < n$) ნატურალური რიცხვებისათვის.

$$C_n^k = \frac{n!}{k!(n-k)!}$$

- დაწერეთ ნამრავლ $1 \times 3 \times \dots \times (2n-1)$ -ის გამოთვლის პროგრამა მოცემული ნატურალური რიცხვისათვის.
- დაწერეთ ნამრავლ $2 \times 4 \times \dots \times (2n)$ -ის გამოთვლის პროგრამა მოცემული n ნატურალური რიცხვისათვის.
- დაწერეთ პროგრამა უმცირესი n ნატურალური რიცხის საპოვნელად, რომლის დროსაც $n!$ იყოფა 990 -ზე.
- დაწერეთ პროგრამა, რომელიც მოცემული n ნატურალური რიცხის მიხედვით განსაზღვრავს რიცხვ $n!$ -ში შემავალი ერთიანების რიცხვს.

რიცხვის თვლის ათობითი სისტემიდან ორობითში გადაყვანა

თქვენ იცნობთ რიცხვის თვლის ათობითი სისტემიდან ორობითში გადაყვანის ალგორითმს:

- მოცემული ათობითი რიცხვი იყოფა 2 -ზე (თვლის ორობითი სისტემის ფუძეზე);
- განაყოფი მთელი რიცხვის სახით ენიჭება ერთ ცვლადს, ხოლო ნაშთი სტრიქონის სახით – მეორეს (თუ ნაშთი არ არის, იწერება 0);
- თუ განაყოფი ნულის ტოლი არ არის, ის იყოფა ორზე და შედეგი ენიჭება ცვლადს, რომელშიც ჩანს რიცხილი იყო განაყოფი (ცვლადის ნინა მნიშვნელობა იშლება), ხოლო სტრიქონული ცვლადის დასაწყისში, რომელიც ნაშთების ჩასანერად იყო გათვალისწინებული, ემატება ახალი ნაშთი;
- ნაბიჯი 3 მეორდება მანამდე, სანამ ნაშთი ნულს არ გაუტოლდება;
- სტრიქონულ ცვლადში მოთავსებული ნაშთები იქნება მოცემული ათობითი რიცხვის ორობითი ჩანანერი. შევნიშნავთ, რომ ნაშთები (0 ან 1) სტრიქონულ ცვლადში განლაგდება მარჯვნიდან მარცხნივ, მათი გამოთვლის თანამიმდევრობის მიხედვით.

პროგრამა Python-ის ენაზე

```
x = int(input("შეიყვანეთ ნატურალური რიცხვი" ))
n = ""
while x > 0:
    y = str(x % 2)
    n = y + n
    x = x // 2

print (n)
```

$$10_2 = 2_{10}$$

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

- დაწერეთ პროგრამა, რომელიც პოულობს ერთიანების რიცხვს ათობით რიცხვ 123456-ის ორობით ჩანაწერში.
- დაწერეთ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს, რა უფრო მეტია ათობით რიცხვ 135797-ის ორობით ჩანაწერში: ერთიანები თუ ნულები.
- დაწერეთ პროგრამა, რომელიც პოულობს ერთიანების რიცხვს [1,100] ინტერვალის n ნატურალური რიცხვის ორობით ჩანაწერში. n რიცხვი კლავიატურიდან შედის.
- დაწერეთ პროგრამა [1,100] ინტერვალის იმ ნატურალური რიცხვების რაოდენობის საპოვნელად, რომელთა ორობითი ჩანაწერი მხოლოდ ერთიანებს შეიცავს.
- დაწერეთ პროგრამა $[a,b]$ ინტერვალის იმ ნატურალური რიცხვების რაოდენობის საპოვნელად, რომელთა ორობითი ჩანაწერი მხოლოდ ერთიანებს შეიცავს.

ფიბონაჩის რიცხვები

იმ მიმდევრობის ელემენტებს, რომელშიც ყოველი მომდევნო რიცხვი, დაწყებული მესამიდან, წინა ორი რიცხვის ჯამს უდრის, ფიბონაჩის რიცხვებს უწოდებენ: 1, 1, 2, 3, 5, 8, 13 და ა.შ.

ფორმულა:

$$F_1 = 1$$

$$F_2 = 1$$

$$F_n = F_{n-1} + F_{n-2}$$

მაგალითი

$$F_3 = F_2 + F_1 = 1 + 1 = 2$$

$$F_4 = F_3 + F_2 = 2 + 1 = 3$$

$$F_5 = F_4 + F_3 = 3 + 2 = 5$$


$$F_6 = F_5 + F_4 = 5 + 3 = 8$$

ალგორითმი ფიბონაჩის მიმდევრობის № n რიცხვის გამოსათვლელად

1. შეგვყავს განსასაზღვრავი n ელემენტის ნომერი;
2. ვამოწმებთ: თუ $n < 3$, მაშინ გამოგვაქვს პასუხი 1;
3. ხოლო თუ $n > 3$, მაშინ
4. მიმდევრობის პირველ ორ წევრს fib1 და fib2 ენიჭება საწყისი მნიშვნელობა (1 და 1).
5. შემდეგ, დაწყებული ნომერი 3-დან n-მდე (ჩათვლით), ვასრულებთ:
 - ა. გამოითვლება ჯამი fib1 და fib2 და შედეგი ენიჭება მესამე ცვლადს fib_sum.
 - ბ. წარმოებს ჩანაცვლება fib1 = fib2 და fib2 = fib_sum.
6. გამოგვაქვს პასუხი.

პროგრამა Python-ის ენაზე

```
fib1 = 1
fib2 = 1
n = int(input("რიცხვის ნომერი ფიბონაჩის მიმდევრობაში " ))
if n<3:
    print(1)
else:
    fib1 = 1
    fib2 = 1
    i = 3
    while i <= n:
        fib_sum = fib2 + fib1
        fib1 = fib2
        fib2 = fib_sum
        i = i + 1
    print (fib_sum)
```



სმოცანები და მოუკიდებელი მუშაობისათვეს

1. დაწერეთ პროგრამა, რომელსაც ეკრანზე გამოაქვს ფიბონაჩის მიმდევრობის პირველი 10 რიცხვი. რიცხვი 10 კლავიატურიდან შედის.
2. დაწერეთ პროგრამა, რომელსაც ეკრანზე გამოაქვს ფიბონაჩის მიმდევრობის n_1 და n_2 ელემენტები. რიცხვები n_1 და n_2 კლავიატურიდან შედის.
3. დაწერეთ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს, არის თუ არა კლავატურიდან შეტანილი რიცხვი ფიბონაჩის რიცხვი.
4. დაწერეთ პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ფიბონაჩის რიცხვების რაოდენობას [a, b] ინტერვალში.
5. დაწერეთ პროგრამა, რომელიც პოულობს $[0, 100]$ ინტერვალში არსებული ყველა ფიბონაჩის რიცხვის ჯამს.

ტერმინების ლექსიკონი

abacus ~ abakus ~ çötkə, abak აპაკი, საანგარიშო – ზოლებად დაყოფილი საანგარიშო დაფა. იყენებდნენ ძველ საბერძნეთსა და რომში არითმეტიკული გამოთვლებისათვის. გამოთვლების დროს პატარა კოჭებს ან ქვებს გადაადგილებენ ზოლებში, რომლებიც რიცხვების თანრიგებს შეესაბამება.

absolute address ~ salt adres ~ mütləq ünvan აბსოლუტური მისამართი – ელექტრონულ ცხრილებში: უჯრის მისამართი, რომელიც არ იცვლება ფორმულის კონირების ან გადაადგილების დროს.

- აბსოლუტური მნიშვნელობა - რიცხვის აბსოლუტური მნიშვნელობა, ანუ მისი სიდიდე ნიშნის გარეშე.

absolute value (abs) ~ **mutlak değer** ~ **mütläq qiymət** əjტიური უჯრა – ელექტრონული ცხრილის მიმდინარე (მონიშნული) უჯრა, ანუ უჯრა, რომელიც დროის მიმდინარე მომენტში მუშაობს.

active cell ~ **etkin hücre** ~ **aktiv xana** აქტიური ფანჯარა – მრავალფანჯრიან სისტემებში: ფანჯარა, რომელიც მოცემულ მომენტში გამოიყენება მომხმარებლის მონაცემების შესატანად, გამოსახულების შესაქმნელად, ან მენიუს პუნქტის ასარჩევად.

address ~ adres ~ ünvan – მისამართი – 1. გვირვენებს უჯრას კომიუნიტერის მეხსიერებაში. ყოველ უჯრას თავისი უნიკალური მისამართი აქვს.

2. ელექტრონულ ცხრილში: ასო და რიცხვი, რომლებიც გვიჩვენებს სტრიქონს და სვეტს, რომელთა გადაკვეთაზე მდებარეობს უკრა.
3. რიცხვების ნაკრები ინტერნეტის ქსელში კომპიუტერის აღსანიშნავად.
4. ელექტრონული ფოსტის მისამართი.
5. ვებგვერდის ადგილი ინტერნეტში.

administrator ~ yönetici ~ inzibatçı, administrator ადმინისტრატორი – სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ქსელისა და მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის კონფირმაციაზე, მათ დაპროექტებაზე, შექმნასა და კონფიგურაციაზე.

alignment ~ **выравнивание** ~ **hizalama** ~ **düzlendirme** გასწორება – ობიექტების განთავსება ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად ერთსა და იმავე დონეზე.

alignment ~ выравнивание ~ hizalama ~ düzleştirmə аңаլығуру -
түрмөнің өбөрдә осыет өндірілгүеңс (Мағалитада, әлақарызы), Қормалығың
мұжымыңда үзләштік ფильтрүүрін сидилдеңгейліт (Мағалитада, Амбиликүүдіт,
дағдыл, ынбынріт) алынғаны.

analog ~ **аналоговый** ~ **örnekSEL** ~ **analoq** **ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელი** – ანალოგური სიგნალების ციფრულ სიგნალებად გარდამქმნელი მოწყობილობა.

animation ~ **анимация** ~ **canlandırma** ~ **canlandırma, animasiya** **ანიმაცია** – მოდელირებული მოძრაობა, რომელიც ეკრანზე სტატიკური გამოსახულებების დროში მონაცვლეობით ხორციელდება.

antivirus software ~ **антивирусная программа** ~ **virüs-önler yazılım** ~ **antivirus programı** **ანტივირუსული პროგრამა** – პროგრამა, რომელიც კომპიუტერს ვირუსებისა და სხვა მავნე პროგრამებისგან იცავს.

application ~ **приложение** ~ **uygulama** ~ **tətbiqi program** – **დანართი** – სპეციალური პროგრამა, რომელიც ერთი და იმავე ტიპის სამუშაოების შესრულებისთვისაა განკუთვნილი, მაგალითად: ტექსტური რედაქტორი, ელექტრონული ცხრილი, აღრიცხვის სისტემა.

assembly language ~ **язык ассемблера** ~ **assembler dili, çeviriçi dili** ~ **assembler dili** **ასემბლერის ენა** – დაბალი დონის პროგრამირების ენების კატეგორია, რომელშიც თითოეულ ოპერატორს მხოლოდ ერთი მანქანური ბრძანება შეესაბამება.

assignment operator ~ **оператор присваивания** ~ **atama işlevi** ~ **mənimsətmə operatoru** **მინიჭების ოპერატორი** – პროგრამირების ენის ოპერატორი. ცვლადს ანიჭებს კონკრეტულ მნიშვნელობას.

at sign ~ **коммерческое at, «собака»** ~ **kuyruklu a** ~ **quyruqlu a** – **კომერციული ატ,** „**ქაღლუკა**“ – სიმბოლო @. გამოიყენება ელექტრონული ფოსტის მისამართში მომხმარებლის სახელის დომენური სახელისგან გამოსაყოფად (*informatika@edu.az*).

attachment ~ **вложение** ~ **ek** ~ **qoşma** **მიმაგრებული** – ფაილი, რომელიც იგზავნება, როგორც ელექტრონული წერილის ნაწილი. მიმაგრებული შეიძლება იყოს ტექსტური, გრაფიკული ფაილი, პროგრამა და ფაილების სხვა ტიპები.

backslash ~ **обратная косая черта, наклонная черта влево** ~ **ters eğik çizgi, sola eğik çizgi** ~ **ters əyik cizgi, sola əyik cizgi** – **შებრუნებული ირიბი ხაზი** – სიმბოლო. გამოიყენება ზოგიერთ ოპერაციულ სისტემაში ქვეკატალოგების სახელების გამყოფად.

base ~ **основание** ~ **taban** ~ **əsas** **ფუძე** – ციფრების რაოდენობა თვლის კონკრეტულ სისტემაში. კომპიუტერებში თვლის ოთხი სხვადასხვა სისტემა გამოიყენება: ათობითი, ორობითი, რვაობითი და თექსტობითი. ყველასთვის ცნობილ ათობით სისტემაში (რომლის ფუძე 10-ია) 10 (0-დან 9-მდე) ციფრია, ორობითში (ფუძეა 2) – ორი ციფრია – 0 და 1; თექსმეტობით სისტემაში (ფუძეა 16) – თექსმეტი სიმბოლო (0-

და F-მდე), ამასთან, 10-დან 15-მდე ციფრებს ინგლისური (ლათინური) ალფაბეტის ასოები შეესაბამება. რიცხვის ზოგიერთ სისტემაში ჩანს მის ფუძეს ამ რიცხვის შემდეგ ქვედა ინდექსად ფრჩხილებში წერენ, მაგალითად: **24AE₍₁₆₎**.

bit (binary digit) ~ бит (двоичная цифра) ~ ikil ~ bit (ikilik rəqəm)
ðiɫt̪i (ərəmðiɫt̪i) (ციფრი) – ერთ-ერთი სიმბოლო ორიდან (0, 1), რომლებიც თვლის ორობით სისტემაში გამოიყენება.

board ~ **плата** ~ **kart** ~ **lövhä, kart** პლატა – ზოგადი ტერმინი. ჩვეულებრივ, აღნიშნავს ბრტყელ ელექტრონულ პლატას ელექტრონული კომპონენტებით, რომლებიც ნაბეჭდი ელექტროგამტარი ბილიკებითაა შეერთებული. კომპიუტერის ძირითად პლატას, რომელზეც მიკროპროცესორია მოთავსებული, დედაპლატას უზოდებენ.

buffer ~ ბუფერ ~ arabellek ~ bufer ბუფერი – მონაცემების შეუალებური შენახვის ადგილი: მეხსიერების დარეზერვებული უბანი, რომელშიც მონაცემები დამმახსოვრებელ მოწყობილობაში გადატანამდე ინახება. ხშარდ გამოიყენება მონაცემების გადაცემის ან შეტანა-გამოტანის ოპერაციების დაჩქარების მიზნით. ზოგიერთ მოწყობილობას, მაგალითად, პრინტერს ან მის მსარდამჭერ ადაპტერს, საკუთარი ბუფერი აქვს.

bullet ~ маркер ~ madde imi ~ nişan მარკერი – ვიზრო გაგებით: წერტილი (რგოლი), რომელიც გამოყოფს ტექსტის მცირე ფრაგმენტს ან სის ყოველ ელემენტს. ამ მიზნით ხშირად სხვა სახის ნიშნებიც გამოიყენება, მაგალითად, კვადრატები და სხვა დეკორატიული ნიშნები.

bus ~ шина ~ veri yolu ~ şin -სალტე - ელექტრული შეერთებების ჯგუფი
კომპიუტერის სხვადასხვა კომპონენტს შორის მონაცემების გადაცემისათვის.

byte (bunary term) ~ байт (двоичный элемент) ~ bayt, sekiz ikil ~ bayt (ikilik element) ծաղթո (տրոնօտո լույցենքո) – օնցորմաշուն և սանմո յրտելու. Շեղցեա 8 ծաղթուցան. Ծյենիկաս դա մռնաւրմա Շենաեզու և սուտըմբժու: Վալոյելու և սմինչուուս, մագալուտագ, ասուս, վոյրուս ան չշնէիլուաշուն նոմնու լույցենքո.

cache ~ კეშ ~ önbellek ~ keş კეში – მეხსიერების სპეციალური ქვესისტერმა, რომელიც იმახსოვრებს განსაკუთრებით ხშირად გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობებს, რის გამოც მათთან წვდომა ძალიან გადვილებულია.

calculator ~ **калькулятор** ~ **hesap makinesi** ~ **kalkulyator**
კალკულატორი – მოწყობილობა, რომელიც რიცხვებზე ანარმობს ოპერაციებს. ლათინურ ენაზე სიტყვა calculus „კენჭს“ ნიშნავს (უძველეს გამომთვლელ მოწყობილობა აბაკში კენჭებს იყენებდნენ). პირველი ელექტრონული ხელის კალკულატორი ფირმა Texas Instrument-მა გამოუშვა 1967 წელს.

call ~ вызывать ~ çağırmak ~ çağırmaq га^мт^од^аб^еда – პროგრამაში კოდის რომელიმე განცყოლებისთვის (როგორც წესი, რომელიმე ქვეპროგრამისთვის) ნიშნის მიცემა ძირითადი პროგრამის შესრულების განხელებისათვის აუცილებელი მთელი ინფორმაციის შენახვით.

caption ~ заголовок ~ **başlık** ~ **başlıq** სათაური – 1. დოკუმენტის სათაური.

2. ფანჯრის სათაური.

card ~ **плата** ~ **kart** ~ **kart** პლატა – ტერმინი, რომელსაც ხშირად იყენებენ ნაბეჭდ პლატასთან ან ადაპტერთან კავშირში.

cell ~ ячейка ~ hücre, göze ~ xana үзгэрса -1. ელექტრონულ ცხრილში:
სკეტჩისა და სტრიქონის გაფაკვეთის ადგილი.

2. მეხსიერების დამისამართებული (ნომრით ან სახელით) ელემენტი.

central processing unit (CPU) ~ центральный процессор (ЦП) ~ **merkezi işlem birimi** ~ **mərkəzi prosessor** – ცენტრალური პროცესორი – კემპიუტერის მიერ გამოთვლების შესრულებისა და მართვის ბლოკი; მოწყობილობა, რომელიც იგუმნს და ასრულებს ბრძანებებს.

channel ~ қанал ~ kanal ~ kanal არხი – 1. გზა ან კავშირი, რომლითაც ინფორმაცია ერთი მოწყობილობიდან მეორეს გადაეცემა. კომპიუტერთან დაკავშირდებით არხი შეიძლება იყოს შიდა და გარე. შიდა გარემოში კომპიუტერი იყენებს არხს, რომელსაც ხშირად სალტეს უწოდებენ. მისი საშაულებით სისტემის კომპონენტებს, მაგალითად, კლავიატურასა და კომპიუტერის მეხსიერებას, შორის მონიცემების გაცვლა ხორციელდება. 2. კავშირგაბმულობის სისტემებში: არხი ინფორმაციის გადაცემის მატრიცებითაც გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „ხაზი“.

character ~ **символ** ~ **karakter** ~ **simvol** სიმბოლო – ასო, ციფრი, პუნქტუაციის ან რომელიმე სხვა სპეციალური ნიშანი, ან მმართველი კოდი, მაგალითად, A, 3 ან &. აუცილებელი არ არის, სიმბოლოს ვიზუალური გამოსახულება ჰქონდეს ეკრაზზე ან ქაღალდზე, მაგალითად, შეალებით ისეთივე სიმბოლოა, როგორიც ასო ან კიტრია.

click ~ щелчок, щелкнуть ~ tik, tiklamak ~ çıqqlıtı, çıqqlıdatmaq
დაწყაბუნება („დაკლიკვა“) – თაგვის ღილაკზე თითის ერთხელ დაჭერა და
მაშინვე აღება (თაგვის გადაადგილების გარეშე). ჩვეულებრივ, ამას
რომელიმე ელემენტის ასარჩევად (ამ დროს შართვის მოწყობილობის,
მაგალითად, თაგვის, მაჩვენებელს ასარჩევი ობიექტის „ზემოთ“
ათაგსებენ და თაგვის აქტიურ ღილაკს აჭერენ), ან ამ მოქმედების
გასაუქმებლად, ასევე, პროგრამის ან რომელიმე ფუნქციის
გასაძირებლად აკითიბინ.

click ~ щелчок, щелкнуть ~ tik, tiklamak ~ çıqqılıt, çıqqıldatmaq – иңғормадағы оқынушының жүйелі орналасуынан турады. Бұл мәселе өзінде деңгээлдегі таптаудағы көмекшілікке сәйкес келеді.

cursor ~ курсор ~ imleç ~ kurSOR კურსორი – სპეციალური ეკრანული ინდიკატორი, მაგალითად, მოციმციმე მოძრავი ნიშანი ან მართვულები, რომელიც არჩეული სიმბოლოს გამოჩენის ადგილს მიუთითებს.

desktop ~ рабочий стол ~ masaüstü ~ iş masası სამუშაო მაგიდა – სამუშაო ველი ეკრანზე, რომელიც პიტოგრამებისა და მენიუს მეშვეობით მაგიდის ზედაპირის მოდელირებას ახდენს. მომხმარებელს შეუძლია, თავისი დახმარებით ზუსტად ისე გადაადგილოს ობიექტები სამუშაო მაგიდაზე, როგორც ამას ჩვეულებრივ მაგიდასთან მუშაობის დროს აკეთებს. Windows-ის სამუშაო მაგიდა სპეციალური კატალოგია თითოეული მომხმარებლისთვის. ჩვეულებრივ, მასზე უამრავი პროგრამული ფაილის იარღიყოს განთავსებული.

dialog box ~ диалоговое окно ~ iletişim kutusu ~ dialog boksu დიალოგური ფანჯარა – გრაფიკულ სამომხმარებლო ინტერფეისში: სპეციალური ფანჯარა, რომელსაც პროგრამა ან აპლიკაცია გამოაჩენს, როდესაც აუცილებელია მომხმარებლის პასუხი.

digit ~ цифра ~ rakam ~ rəqəm ციფრი – ერთ-ერთი სიმბოლო, რომელიც თვლის სისტემაში რიცხვის ჩასაწერად გამოიყენება. თვლის ნებისმიერ სისტემაში შესაძლებელი ციფრების რაოდენობა სისტემის ფუძის ტოლია.

digital-to-analog converter (DAC) ~ цифро-аналоговый преобразователь (ЦАП) ~ sayısal-örnekSEL dönüştürücÜ ~ rəqəm-analoq çevircisi – ციფრულ-ანალოგური გარდამქმნელი – მოწყობილობა, რომელიც ციფრულ მონაცემებს ანალოგურ სიგნალებად გარდაქმნის.

directory ~ каталог ~ dizin ~ kataloq კატალოგი – დისკზე შენახული ფაილებისა და კატალოგების ჩამონათვალი; დისკზე ფაილების ორგანიზებისა და დაჯგუფების საშუალება, რომელიც მომხმარებელს თავიდან ააცილებს დიდი რაოდენობის ფაილების დახვავებას მაგიდაზე. ყველაზე მაღალი დონის კატალოგს ფესვი ეწოდება. კატალოგებს, რომლებსაც სხვა კატალოგები შეიცავს, ქვეკატალოგებს უწოდებენ. Windows-ისა და Mac OS-ის ოპერაციულ სისტემებში კატალოგებს საქაღალდეები ჰქვია.

download ~ загрузка ~ indirmek ~ endirmek ჩამოტვირთვა – კავშირგაბმულობის სისტემებში: მოდემის ან ქსელური ხაზების მეშვეობით ფაილის ასლის გადაცემის პროცესი დაშორებული კომპიუტერიდან იმ კომპიუტერში, რომელმაც ის მოითხოვა.

drag ~ перетаскивать ~ sürüklemek ~ sürüklemek გადათრევა – კომპიუტერულ გრაფიკაში: გამოსახულების ან ობიექტის ეკრანის ერთი აგილიდან შეორებში გადატანა მისთვის „ხელის ჩავლებით“ და საჭირო ადგილზე „გადათრევით“.

extension ~ расширение ~ uzanti ~ uzantı გაფართოება – სიმბოლოების ნაკრები ფაილის სახელწოდებაში, რომელიც მას სახელის შეცსების ან ფაილის აღწერის მიზნით ემატება.

file ~ файл ~ dosya ~ fayl ფაილი – ინფორმაციის დასრულებული, სახელდებული ერთობლიობა (მაგალითად, პროგრამა), პროგრამის მიერ გამოყენებულ მონაცემთა ნაკრები, ან მომხმარებლის მიერ შექმნილი დოკუმენტი.

folder ~ папка ~ dizin ~ qovluq ფოლდერი – გრაფიკულ სამომხმარებლო ინტერფეისში: პროგრამებისა და ფაილების შესანახი ადგილი; ეკრანზე სიმბოლურად საქაღალდის სახის გრაფიკული ნიშნით გამოისახება. საქაღალდე გარკვეული აზრით კატალოგის ეკვივალენტურია.

font ~ шрифт ~ yazı tipi ~ şrift შრიფტი – ერთი სტილის (მაგალითად, Courier), მოხაზულობის (მაგალითად, კურსივი), სისქის (მაგალითად, მუქი) სიმბოლოთა ნაკრები.

gigabyte (GB) ~ гигабайт ~ gigabayt ~ giqabayt გიგაბაიტი – მკაცრი გაგებით: ერთი მილიარდი ბაიტი. ზუსტი მნიშვნელობა ხშირად იცვლება კონტექსტის მიხედვით: კომპიუტერებში ბაიტების რაოდენობა ხშირად ორის ჯერადი რიცხვით გამოიხატება. ამიტომ გიგაბაიტი შეიძლება ნიშნავდეს როგორც 1000 მბაიტს, ისე 1024 მბაიტს, ანუ 2^{10} (1 048 576) ბაიტს.

graph ~ граф ~ çizge ~ qraf გრაფი – პროგრამირებაში: მონაცემთა სტრუქტურა, რომელიც გარკვეული რაოდენობის (შეიძლება ნულოვანისაც) ერთმანეთთან ნებისმიერი სახით (წიბოების მეშვეობით) შეერთებული წვეროებისგან შედგება.

hexadecimal (hex) ~ шестнадцатиричная система счисления ~ onaltılık sayı sistemi ~ onaltılıq say sistemi თვლის თექსმეტობითი სისტემა – თვლის სისტემა 16-ის ფუძით, რომლის შემადგენლობაში შედის ციფრები 0-დან 9-მდე და მთავრული ან ჩვეულებრივი ასოები A-დან (რიცხვ 10-ის ეკვივალენტი) F-მდე (რიცხვ 15-ის ეკვივალენტი).

Internet Service Provider (ISP) ~ поставщик услуг Internet, Интернет-провайдер ~ İnternet servis sağlayıcısı ~ İnternet xidmət provayderi ინტერნეტმომსახურების მომწოდებელი, ინტერნეტ-პროვაიდერი – კომპანია, რომელიც ინტერნეტმომსახურებით სარგებლობის საშუალებას აძლევს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს.

italic ~ курсив ~ italic ~ kursiv კურსივი – შრიფტის მოხაზულობა აღნავ მარჯვნივ გადახრით. კურსივით, ჩვეულებრივ, უცხოურ სიტყვებს, სათაურებს, ტექნიკურ ტერმინებსა და ციტატებს გამოყოფენ.

label ~ 1. Этикетка ~ etiket ~ yarlıq ეტიკეტი – 1. ნაწები დისკეტაზე ან რომელიმე მოწყობილობაზე; სიტყვა, სიმბოლო, სიმბოლოთა ჯგუფი, რომელიც ფაილის, მონაცემთა შესანახი მოწყობილობის განყოფილების, პროგრამის ელემენტის ან დოკუმენტის იდენტიფიკაციისთვის არის განკუთვნილი.

- 2 **Метка ~ etiket ~ nişan** – ნიშანი – ელექტრონულ ცხრილებში: აღნერილი ითვლითი სახელი (როგორიცაა, მაგალითად, „შემოსავალი“ ან „გასასავალი“), რომელიც გამოიყენება უჯრების ჯგუფის, სახელდებული სიდიდის ან ფორმულის იდენტიფიკაციისათვის.
- 3 **Метка ~ etiket ~ nişan** ნიშანი – დიაგრამებში: სიტყვა, სახელი ან რიცხვი, რომელიც გამოიყენება გრაფიკის ღერძზე ნიშნულის იდენტიფიკაციის მიზნით.

LAN (Local Area Network) ~ локальная вычислительная сеть, ЛВС ~ yerel alan ağı, YAA ~ yerli hesablama şəbəkəsi, lokal hesablama şəbəkəsi ლოკალური გამოთვლითი ქსელი – შედარებით შეზღუდულ ზონაში განთავსებული და ერთმანეთთან კავშირგაბმულობის საზებით შეერთებული კომპიუტერების ან სხვა მოწყობილობების ჯგუფი.

machine code ~ машинный код ~ makina kodu ~ maşın kodu მანქანური კოდი – ნებისმიერი მაღალი დონის ენიდან (როგორებიცაა, მაგალითად, C++ და Pascal) ტრანსლაციის საბოლოო შედეგი; შეიცავს ნულებისა და ერთიანების თანამიმდევრობას, რომლებიც იტვირთება და სრულდება შიკროპროცესორის მიერ.

mainframe computer (= mainframe) ~ мейнфрейм ~ ana bilgisayar ~ meynfreym kompüteri მეინფრეიმი – მაღალი სიმძლავრის კომპიუტერი, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიური გამოთვლითი ამოცანების შესრულებისთვისაა განკუთვნილი. მეინფრეიმს, ჩვეულებრივ, მასთან მიერთებულ ტერმინალებზე მომუშავე ერთდროულად ბევრი მომხმარებელი იყენებს.

media ~ носитель ~ ortam ~ vasıtə, daşıyıcı მატარებლი – კრებითი მნიშვნელობა, რომელიც აღნერს ინფორმაციის შენაცვის ან გადაცემისთვის განკუთვნილ სხვადასხვა მასალას, მაგალითად, ქაღალდს, მაგნიტურ დისკს ან ლენტას.

megabit (Mbit) ~ мегабит ~ megabit ~ meqabit მეგაბიტი – ჩვეულებრივ, 1048576 ბიტი, თუმცა ხანდახან 1 მილიონ ბიტად ითვლება.

megabyte (MB) ~ мегабайт ~ megabayt ~ meqabayt მეგაბაიტი – 1 მილიონი ბაიტი, ანუ 1048576 ბაიტი (2^{20}).

megapixel ~ мегапиксель ~ megapiksel ~ meqapiksel მეგაპიქსელი – ერთი მილიონი პიქსელი; ამ ტერმინით სარგებლობენ ციფრული კამერების, სკანერებისა და სხვა მოწყობილობების გარჩევადობის მისათვებლად. მაგალითად, გამოსახულებას, რომლის ზომა 1024×1024 პიქსელია, მეგაპიქსელს უწოდებენ.

modem ~ модем ~ modem ~ modem მოდემი – კავშირგაბმულობის მოწყობილობა, რომელიც კომპიუტერიდან ინფორმაციის ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზით გადაცემის საშუალებას იძლევა.

motherboard ~ материнская плата ~ anakart ~ ana lövhä დედაპლატა – ძირითადი პლატა, რომელიც შეიცავს პროცესორს, ოპერაციულ მეხსიერებას, სალტის კონტროლორს, შემაქრთებლებს და კომპიუტერული სისტემის სხვა კომპონენტებს.

network ~ (вычислительная) сеть ~ ağ ~ şebəkə (გამომთვლელი) ქსელი – ერთმანეთთან კავშირგაბმულობის საშუალებებით შეერთებული კომპიუტერებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების ჯგუფი. ქსელი შეიძლება ჰქონდეს მუდმივი შეერთება, მაგალითად, კაბელების საშუალებით, და დროებით – ტელეფონით ან სხვა დროებით კომუტირებული კავშირგაბმულობის ხაზით; მცირე ზომები (მასშტაბი), მაგალითად, ლოკალური გამომთვლელი ქსელი, რომელიც მცირე რაოდენობის კომპიუტერების, პრინტერებისა და სხვა მოწყობილობებისაგან შედგება. არსებობს საკმაოდ დიდი ქსელებიც, მაგალითად, გლობალური. ისინი ფართო გეოგრაფიულ ზონაში განთავსებული მრავალი კომპიუტერისგან შედგება.

password ~ пароль ~ parola ~ parol –პაროლი – კომპიუტერულ სისტემასთან და მის ფასელთან წვდომის შეზღუდვის ერთ-ერთი საშუალება.

peer-to-peer network ~ одноранговая сеть ~ eşler arası ağ ~ “taytuşlar” şebəkəsi ერთრანგიანი ქსელი – ქსელური არქიტექტურა, დაფუძნებული მასში შემავალი ყველა კომპიუტერის თანასწორობაზე.

peripheral ~ периферийный ~ çevresel, yanbirim ~ çevrəsəl, periferiya პერიფერიული – კომპიუტერთან მიერთებული და მისი მიკროპროცესორით მართული მოწყობილობა, მაგალითად, დისკი, პრინტერი, მოდემი ან ჯოისტიკი.

personal computer (PC) ~ персональный компьютер ~ kişisel bilgisayar ~ fərdi kompüter პერსონალური კომპიუტერი – ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი კომპიუტერი.

pixel ~ пиксель ~ piksel ~ piksel პიქსელი – წერტილი, რომლის მსგავსთა ერთობლიობა ქმნის გამოსახულებას ეკრანზე ან ბეჭდვისას.

pointer ~ указатель ~ göstergeç ~ göstərici მაჩვენებელი – 1. გრაფიკულ გარემოში: ნიშანი ან სიმბოლო, მაგალითად, ისარი, რომელიც თაგვით ან სხვა მოწყობილობით იმართება გამოსახულების ელემენტების, ეკრანის ან მენიუს ჩვენების, მონიშვნის ან არჩევის მიზნით.

2.პრոցրամիրեბասա და ინფორმაციის დამუშავებაში – ცვლადი, რომელიც თვით მონაცემებს კი არა, მეხსიერების უპნის მისამართს შეიცავს.

port ~ порт ~ port ~ port პორტი – კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების მისაერთებელი (ზოგ შემთხვევაში სისტემური ბლოკის უკანა პანელზე მდებარეობს).

printer ~ принтер ~ yazıcı ~ printer პრინტერი – ინფორმაციის ქაღალდის მატარებელზე გამომტანი (საბჭოდი), ანუ დოკუმენტის მყარი (ქაღალდის) ასლის შემქმნელი მოწყობილობა.

RAM (random access memory) ~ оперативная память, оперативное запоминающее устройство (ОЗУ), память прямого доступа, память с произвольной выборкой ~ rastgele erişimli bellek ~ ixtiyari erişimli yaddaş, operativ yaddaş ოპერაციული მეხსიერება, ოპერაციული დამმახსოვრებელი მოწყობილობა (Պდმ), პირდაპირი წვდომის მეხსიერება – მეხსიერების მოწყობილობა მონაცემთა შესანახვად, რომელიც დაკავშირებულია მიკროპროცესორთან და მონაწილეობს მის მიერ მონაცემებზე ჩატარებულ ოპერაციებში.

resolution ~ разрешающая способность ~ çözünürlük ~ çözümlülük გარჩევადობის უნარი – მაჩვენებელი, რომელიც გამოსახულების ხარისხს განსაზღვრავს. გამოსახულების ეკრანზე გამოტანისას მის გარჩევადობას განაპირობებს პიქსელების რაოდენობა ერთ დუიმზე, ხოლო ბეჭდვისას – წერტილების რაოდენობა ერთ დუიმზე.

screen saver ~ хранитель экрана ~ ekran koruyucusu ~ ekran qoruyucusu ეკრანის დამცველი – პროგრამა, რომელიც კომპიუტერის უმოქმედობის (მოცდების) შემთხვევაში თიშავს ეკრანს ან მასზე ანიმაციური სურათი გამოაქვს.

screenshot ~ снимок экрана ~ ekran görüntüsü ~ ekran görüntüüsü – ეკრანის ან მისი რომელიმე ნაწილის გამოსახულების კოპირების შედეგად შილებული ნახატი.

scroll bar ~ полоса прокрутки ~ kaydırma çubuğu ~ fırlatma zolağı გადაადგილების ზოლი – გრაფიკულ სამომხმარებლო ინტერფეისში: დოკუმენტის მარჯვენა ან ქვედა ნაწილში არსებული ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ზოლი. იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტი ფანჯარაში არ ეტევა, გამოიყენება მის გადასაადგილებლად.

search ~ поиск ~ arama, axtarış ძიება – ფაილის ან გარკვეული მონაცემების ადგილმდებარეობის მოძებნა.

search engine ~ поисковая система ~ arama motoru ~ axtarış sistemi საძიებო სისტემა – პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძიებას საკვანძო სიტყვების, თემების ან სხვა ნიშნების მიხედვით

(Мағаллітада, AltaVista, Excite, Google, HotBot, Infoseek, Lycos, Magellan, Rambler, Yahoo!).

sector ~ сектор ~ kesim ~ sektor სექტორი – დისკზე მონაცემების შესანახი უბის ნანილი. დისკს აქვს ზედა და ქვედა მხარეები, რომელგბზეც წრიული ბილიკები და სექტორები არსებობს. დაფორმატების დროს თითოეული ბილიკი გარკვეული ზომის (ჩვეულებრივ, 512 ბაიტის) სექტორებად იყოფა.

setup ~ установка ~ kurmak ~ quraşdırma დაყენება – პროგრამულ უზრუნველყოფაში: კომპიუტერსა და მასთან მიერთებულ მოწყობილობებში პროგრამის მუშაობისთვის მომზადების პროცედურა.

shortcut ~ ярлык ~ kısayol ~ qısayol იარლიყი – ობიექტის, პროგრამის ან ბრძანების მანიშნებელი ფაილი, რომელიც დამატებით ინფორმაციას შეიცავს. იარლიყებს, ძირითადად, სამუშაო მაგიდაზე ქმნიან ძნელად მისაწვდომ ადგილებში მდებარე პროგრამების სწრაფად გახსნის მიზნით.

software ~ программное обеспечение ~ yazılım ~ program təminatı პროგრამულ უზრუნველყოფა – გამომთვლელი მანქანის პროგრამები; ბრძანებები, რომლებიც მანქანის აპარატულ საშუალებებს ამუშავებს.

source code (SRC) ~ исходный код ~ kaynak kodu ~ ilkin kod საწყისი კოდი – მაღალი დონის ან ასემბლერის ენაზე დაწერილი პროგრამების ოპერატორები, რომლებსაც ადამიანი კითხულობს.

statement ~ оператор ~ deyim ~ deyim / тәзжикаттар – ყველაზე მცირე შესრულებადი ელემენტი პროგრამირების ენაში. ზოგადად, პროგრამის თითოეული სტრიქონი ინდივიდუალური ოპერატორია და ცალკე ბრძანებად ითვლება.

status bar ~ строка состояния ~ durum çubuğu ~ status zolağı მიმდინარე მდგომარეობის სტრიქონი – პორტონტალური ზოლი, რომელიც პროგრამის ფანჯრის ქვედა ნაწილში მდებარეობს და მომხმარებლისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ასახავს.

storage ~ запоминающее устройство (ЗУ) ~ depolama, bellek ~ yaddasaxlama kurğusu დამახსოვრებელი მოწყობილობა – გამომთვლელ ტექნიკში: გარე მოწყობილობა, რომელშიც კომპიუტერის ინფორმაცია ინახება.

taskbar ~ панель задач ~ görev çubuğu ~ tapşırıqlar zolağı ამოცანათა პანელი – Windows-ის ოპერაციულ სისტემაში: პორტონტალური პანელი ეკრანის ქვედა ნაწილში, რომელიც ამოცანების სიას შეიცავს. ამოცანათა პანელის მოთავსება ეკრანის ზედა ნაწილში, მის მარჯვენა ან მარცხენა მხარესაც, შეიძლება.

title bar ~ строка заголовка ~ başlık çubuğu ~ başlıq zolağı სათაურის სტრიქონი – გრაფიკულ სამომხმარებლო ინტერფეისში: ჰორიზონტალური ზოლი ფანჯრის ზედა ნაწილში; მასზე მითითებულია ფანჯრის (პროგრამის) სახელი. აქვე სხვა ღილაკებიცაა მოთავსებული.

topology ~ топология ~ topoloji ~ topologiya ტოპოლოგია – ლოკალური ქსელში მოწყობილობათა შორის არსებული კავშირით შექმნილი კონფიგურაცია. ქსელების უმრავლესობა სამი სახის ტოპოლოგიას – სალტეს, რგოლსა და ვარსკვლავს – ეფუძნება.

tree ~ дерево ~ ağaç ~ ağaç ხე – მონაცემთა იერარქიული სტრუქტურა, რომელსაც აქვს ფესვი და რამდენიმე განტოტება. ჩვეულებრივი ხისგან განსხვავებით, როგორც წესი, გადმობრუნებული სახით გამოისახება.

turtle ~ черепашка ~ kaplumbağa ~ bağa კუ – სამკუთხედის ფორმის ან კუს გამოსახულების მქონე პატარა ფიგურა, რომელიც კომპიუტრის ეკრანზე მაჩვენებლის როლს ასრულებს.

utility ~ утилита ~ yardımçı ~ utilit უტილიტა – მცირე პროგრამა, რომელიც განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად არის განკუთვნილი, მაგალითად, რედაქტორი ან გამმართველი.

wallpaper ~ обои ~ duvar kağıdı ~ divar kağızı შპალერი – კომპიუტერულ ტექნიკაში: გამოსახულება სამუშაო მაგიდის გასაფორმებლად გრაფიკულ ოპერაციულ სისტემებში. სამუშაო მაგიდის შპალერად ხშირად იყენებენ რასტრულ გამოსახულებებს, რომელთა ზომები შეესაბამება ეკრანის გარჩევადობას (მაგალითად, 1024X768 ან 1280X1024 პიქსელი).

web browser (= browser) ~ браузер, веб-обозреватель ~ web tarayıcı, ağaç gözatıcısı ~ veb brauzer ბრაუზერი, ვებმიმომხილველი – პროგრამული უზრუნველყოფა, განკუთვნილი ვებსაიტების დათვალიერების, ძიების, დამუშავებისა და ეკრანზე გამოსახვისთვის, ინტერნეტის ქსელში ერთი ვებგვერდიდან მეორეზე გადასვლისათვის.

web page ~ веб-страница ~ ağısayfası ~ veb-səhifə ვებგვერდი – მსოფლიო ქსელში განთავსებული HTML-ის დოკუმენტი.

web server ~ веб-сервер ~ web sunucusu ~ veb-server ვებსერვერი – კომპიუტერი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა წვდომას ინტერნეტისა და ინტრანეტის ქსელების სამსახურებთან და ვებგვერდებთან.

web site (site) ~ веб-сайт ~ web sitesi ~ veb-sayt ვებსაიტი – საერთო სახელის, თემისა და სანავიგაციო სისტემის მქონე ვებგვერდების ერთობლიობა.

window ~ окно ~ pencere ~ pəncərə ფաნჯარა – մարտութեա զելո մոնուղորոս զյանջի, րոմելու գանցուցնունու գամովանենաւ პրոցըռամաստան ան մու նանուլտան դաշտավանդունուսատաւուս. դանունուլունունուս մուեցուու, արհեցը პրոցըռամուլ ფանჯարեած, დուկումենտունուս ფանჯարեած դա դուալուց ֆանჯարեած.

wizard ~ мастер ~ sihirbaz ~ sehrbaz ოსტატու – դամեմարյ օլոնէցուա. პրոցըռամաժու մուշանունու դրու մոմեմարյելու զարնախուն դա սափորու նոնցորմացուաս անցուու. րոգորու նյուս, „օսტաტուս“ դամեմարյեած դամբոյց մոմեմարյելունուս սփորդունուտ եռլույ.

word processor ~ текстовый процессор ~ kelime işlemci ~ metn prosessoru ტეքსტურո პრոცეսորո – գամովանենաւու կոմპուտերունու პրոցըռամաս նաորսաხեռուն, գանցուցնունու պազելնայր զեյժուր դուկումենտունու սամշառու քայլունուս այրեցա, րեժայտունուն, դացորմաւուն, դաձեյժուա.

worksheet ~ рабочий лист ~ işlem tablosu ~ iş vərəqi სաმუშაო ფურცელი – ելոյქտրոնունու քերունուս մոյր შեյմնունու մոնաცեմենուն ფայլու ան մուսու նանունու. ելոյქտրոնունու քերունուս ფայլու նուգնու շեմունուն. նուգնու ռամդունուն սամუშაო ფუրცლուսցան შեֆցեա. შეսամլենունուս մատու դամաւուն.

workstation ~ рабочая станция ~ iş istasyonu ~ iş stansiyası – սամუშաო սագցուրո – ծոցագու քրմունու լուկալուր կ්ෂේලմու ան კլոյնութ- սերցուրուս ցարմունու նյուրսախալուր կոմპուտերունուս ալսանունացագ.

World-Wide Web (WWW) ~ Всемирная паутина, Сеть ~ dünya capında ağı ~ Dünya hörümçək toru մեռունու ქ්ෂේල් - դանանուլենունու սուստիմա, րոմելու უზրունցացුցուու օնտերնեթու ჩարտու սեցագասեցա կոմპուտերու ցանտացացեցու յրտմանետուան դաշտավանդունու դուկումենտուան նուգումաս. մեռունու ქ්ෂේලուս ալսանունացագ եռունաց ույենենուն սութպուա „ցեպս“ դա ածրեցուաթուրա www-ս.

İNFORMATİKA – 9
Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün
“Informatika” fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər: **Ramin Əli Nazim oğlu Mahmudzadə**
İsmayıllı Calal oğlu Sadıqov
Naidə Rizvan qızı İsayeva

Elmi redaktor	R.Əliquliyev , akademik, t.e.d., professor
Tərcüməçi	L.Bakradze
Redaktoru	S.Nozadze
Bədii redaktor	T.Məlikov
Texniki redaktor	Z.İsayev
Dizayner	E.Çikarışvili
Rəssamlar	M.Hüseynov, E.Məmmədov
Korrektor	N.Kusraşvili

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birləşə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin
03.06.2016-ci il tarixli 369 №-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 7,4. Fiziki çap vərəqi 8,5. Səhifə sayı 136.
Kağız formatı $70 \times 100^1/16$. Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

“YAZ” nəşriyyatı
Bakı, AZ 1001, H.Seyidbəyli küç. 30